საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 34 (837) | ხუთშაბათი, 3 მარტი, 1994 წელი | ფასი 2000 კუპონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლასთან დაკავშირებით

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ეს ინფორმაცია 1 მარტს დილის სხდომაზე დაურიგდათ საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს

დღეს საქართველოს პარლამენტმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს — შეუერთდეს თუ არა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას. ამ ნაბიჯის მნიშვნელობას განაპირობებს თვით იმ არჩევანის სირთულე, რომლის წინაშეც დგას დღეს ჩვენი სახელმწიფო, სწორედ დღეს ყოველმა ჩვენთაგანმა სინდისისა და გონების კარნახით უნდა გადაწყვიტოს, თუ რა გზით წავიდეს ჩვენი ქვეყანა — ემოციების, ილუზიების და, აქედან გამომდინარე, [illegible]ებული იმედების გზით, თუ იხელმძღვანელოს რეალური სიტუაციის სერიოზული ანალიზით და პრაგმატულად მიუდგეს ჩვენთვის საარსებო საკითხებს.

საბჭოთა იმპერიის დანგრევამ ერთის მხრივ წარმოშვა თხუთმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო. მაგრამ მეორეს მხრივ მან მრავალი ახალი ტიპის საფრთხე შეუქმნა როგორც თვით ამ ქვეყნების არსებობას და განვითარებას, ისე მსოფლიოსაც. ასეთი სცენარით მოვლენების შემდგომი განვითარება შესაძლოა სრული კატასტროფით დასრულებულიყო. სწორედ ამით იყო განპირობებული შექმნილი უმძიმესი ვითარებიდან მინიმალური დანაკარგებით გამოსვლის გზების ძიება და, ჩემი აზრით, ამ ძიების შედეგი გახდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნა.

თავდაპირველად დსთ აშკარად არ წარმოადგენდა იმ სტრუქტურას, რომელიც შეძლებდა ცალკეული ქვეყნების და, მათ შორის, საქართველოს წინაშე მდგომი პრობლემების ეფექტურ გადაწყვეტას, მაგრამ ამავე დროს მისი თვითგამორკვევის და ჩამოყალიბების პროცესში დსთ-ს ფარგლებში მუშავდებოდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, ყალიბდებოდა მრავალმხრივი თანამშრომლობის მექანიზმი. საქართველო ამ ეტაპზე მონაწილეობდა დსთ-ს სხვადასხვა ორგანოების მუშაობაში, მაგრამ ეს ხდებოდა ძირითადად მეთვალყურის სტატუსით, რითაც იზღუდებოდა ჩვენი გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და შესაბამისად არ იყო სრულად უზრუნველყოფილი ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვა.

ამ პერიოდში საქართველო ცდილობდა სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობათა მოწესრიგებას. ჩვენთვის ამ უაღრესად მნიშვნელოვან პარტნიორებთან დინამიურად ყალიბდებოდა ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების საკმაოდ სოლიდური სამართლებრივი ბაზა. მაგრამ მარტო ეს ახალ პირობებში — დსთ-ს სახით რეგიონული ინტეგრაციული პროცესების განვითარების ფონზე — საკმარისი არ აღმოჩნდა. დსთ-ში პროცესების განვითარებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა ის ჭეშმარიტება, რომ პატარა ქვეყნის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ინტერესების დაცვა შეიძლება ეფექტურად განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორმხრივი თანამშრომლობის პრაქტიკა შეივსება მრავალმხრივი თანამშრომლობის მექანიზმებით.

დსთ შესაძლოა არ წარმოადგენდეს უსაფრთხოების უდავო გარანტიას, მაგრამ ეს არის ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის სამართლებრივი უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფაქტორი.

დსთ-ს წესდება ითვალისწინებს აგრეთვე მისი წევრების კოლექტიური უსაფრთხოების, კონფლიქტების აღმოფხვრისა და სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრის მექანიზმების შექმნას. დსთ-ს წესდების დებულებათა რეალიზაცია ხელს შეუწყობს დარღვეული ეკონომიკური კავშირების აღდგენას და განვითარებას სრულიად ახალ საფუძველზე, რაც საქართველოს ეკონომიკური გაჯანსაღების, კრიზისული მდგომარეობიდან თავის დაღწევის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელი რეფორმების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

ამრიგად დსთ-ში გაწევრიანება ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანას დაიმკვიდროს სრულყოფილი ადგილი საერთაშორისო რეგიონული ურთიერთობების სისტემაში, ჩაება მრავალმხრივი თანამშრომლობის მექანიზმებში, გამოიყენოს კოლექტიური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კავშირების ხელშეკრულებები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის სამართლებრივი განმტკიცებისათვის, რეგიონული პროცესების განვითარებაზე ზემოქმედებისათვის, ეკონომიკური კრიზისის დაძლევის წინაპირობების შესაქმნელად.

დსთ-ს წესდებასთან მიერთებით ჩვენი სახელმწიფო ადასტურებს საერთაშორისო ურთიერთობების ცივილიზებული განვითარებისადმი სწრაფვას, აქტიური საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს, იძენს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების დამატებით საშუალებებს, ხდება თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი შესაბამისი უფლებებითა და, რასაკვირველია, პასუხისმგებლობით.

დსთ იმყოფება თავისი ფორმირების საწყის ეტაპზე. მისი ჩამოყალიბების პროცესი ვითარდება საკმაოდ წინააღმდეგობრივად. ესა თუ ის საკითხი იშვიათად წყდება მწვავე კამათის გარეშე. ხშირად დისკუსიები მძაფრი და უკომპრომისო ხასიათისაა.

გამოიწვევს თუ არა საქართველოს შესვლა დსთ-ში დასავლეთის უარყოფით რეაქციას? ამის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს საქართველოს პოლიტიკურ წრეებში.

ჩემი შეხედულება ასეთია: მსოფლიოში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ეტაპზე, მრავალი კონტინენტალური და რეგიონული სახელმწიფოთაშორისი წარმონაქმნები ჩამოყალიბდა. მათი უმეტესობა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და ბევრმა, საქართველოზე უფრო გაჭირვებულმა ქვეყანამაც, საიმედო გზა იპოვა კრიზისიდან და სიდუხჭირიდან გამოსასვლელად.

თანამეგობრობამ ძირითადად უნდა იაროს ამ გამოცდილების გაზიარების გზით და მაშინ ეჭვებისათვის ნაკლები საფუძველი იქნება, ამ საქმეში კი ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ სერიოზული სიტყვა.

ის გარემოება, რომ თანამეგობრობის უმეტეს სახელმწიფოებთან ჩვენ ხელმოწერილი გვაქვს ყოვლისმომცველი ხელშეკრულებები მეგობრობის, თანამშრომლობის, კეთილმეზობლობისა თუ ურთიერთდახმარების თაობაზე, გვაძლევს იმედს, რომ ბუნებრივ მოკავშირეებთან მუშაობის საფუძველზე ჩვენ მოგვეცემა საშუალება ჩამოვაყალიბოთ დსთ, როგორც ცივილიზებული ინტეგრაციული გაერთიანება და ამ მიმართულებით საქართველოსაც ძალუძს თავისი ღირსეული წვლილის შეტანა.

დარწმუნებული ვარ, დსთ-ში ჩვენი აქტიური მონაწილეობა ხელს შეუწყობს დღევანდელი კრიზისის დაძლევას, ქვეყნის სტაბილიზაციისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემის შეჩერებას.

ედუარდ შევარდნაძე

ბოლო სვეტი

შეხვედრა სახელმწიფოს მეთაურთან

2 მარტს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა გერმანელ ბიზნესმენს გრაფ ფონ ბრიაულს და კულტურის, მეცნიერებისა და ეკონომიკის საერთაშორისო ფონდის თავმჯდომარეს ბატონ ლევ ლუპიჩევს.

შეხვედრაზე იყვნენ პრემიერ მინისტრი ოთარ ფაცაცია, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი გიორგი კვესიტაძე, ქალაქის ვიცე-მერი კოტე კაპანაძე და სხვა ოფიციალური პირები.

დაისახა თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების დარგში თანამშრომლობის პერსპექტივა.

მხარს ვუჭერთ პარლამენტის გადაწყვეტილებას

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური საბჭო მხარს უჭერს პარლამენტის 1 მარტის გადაწყვეტილებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდებასთან საქართველოს შეერთების რატიფიცირების შესახებ, — ამ პარტიის პოლიტიკური საბჭოს განცხადებაში, — აუცილებელია მთელი ძალისხმევა მოვახმაროთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შესაძლებლობების ამოქმედების საფუძველზე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და მოპოვებული დამოუკიდებლობის განმტკიცების, ეკონომიკისა და კულტურის აღორძინების, ქაოსის დაძლევისა და კანონიერების დაცვის საქმეს.

საქართველოს ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატთა კავშირი ასევე მიესალმა პარლამენტის 1 მარტის გადაწყვეტილებას და იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის რატიფიკაციასთან მიიჩნია უდიდეს ეპოქალურ გარდატეხად საქართველოს ისტორიაში.

იქნება ავტომობილები

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში გრძელდება მუშაობა ახალი ტიპის მანქანების სერიული გამოშვების მომზადებისათვის.

ინჟინერ-კონსტრუქტორებმა უკვე დაამთავრეს „კამაზის" ტიპის სამხედრო მანქანის სრულყოფილი ნიმუშის შექმნა. ეს მაღალი გამტარუნარიანობის ტექნიკა, რომელიც არსებული მანქანის ბაზაზე დამზადდება, თერთმეტი ტონა ტვირთის გადასაზიდად არის გათვალისწინებული და საათში 90 კილომეტრს განავითარებს.

დამთავრების სტადიაშია საშუალო სიდიდის ავტობუსების აგება, რომელიც სპეციალისტების ერთსულოვანი დასკვნით — მაღალმთიანი რეგიონებისათვის შეუცვლელი სატრანსპორტო საშუალება იქნება.

3 მარტი დასვენების დღეა

3 მარტს აღინიშნება „დედის დღე". ამასთან დაკავშირებით იგი უქმე დღეა. პარასკევი — 4 მარტი, ჩვეულებრივი სამუშაო დღეა.

საქართველო შეუერთდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდებას

საქართველოს პარლამენტის 1 მარტის სხდომის დღიური

საქართველოს ბევრი რთული, მძიმე და ტრაგიკული დღე ახსოვს, ასეთად პირველი მარტიც ჩაითვლება. უკვე ყველამ იცის, რომ ამ დღეს პარლამენტის სხდომაზე განიხილებოდა საკითხი „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდებასთან შეერთების შესახებ".

ტრაგიკულით ვთქვით, იმდენად, რამდენადაც განსახილველი საკითხი, ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე, ნაკარნახევი იძულება იყო. ვინ მიიყვანა ქვეყანა აქამდე, ამაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ოპოზიცია ხელისუფლებას აბრალებს, ხელისუფლებას სხვა არგუმენტირებული მოსაზრებები აქვს, მაგრამ საქართველო რომ კატასტროფამდეა მისული, რეალობაა, ის რეალობა, გამოსავლის პოვნის რომ გვავალდებულებს, გამოსავალს კი საპარლამენტო უმრავლესობა თანამეგობრობის წესდებასთან შეერთებაში ხედავს, ოპოზიცია — პირიქით, ამგვარ გადაწყვეტილებას ეროვნულ ღალატად და ქვეყნის დაღუპვად მიიჩნევს.

სხდომა მძიმედ დაიწყო, გაიმართა მწვავე, ემოციური კამათი, არც იყო გასაკვირი. საპარლამენტო უმცირესობა თავიდანვე დროის გაჭიანურების ტაქტიკას დაადგა. მიზანი აშკარა იყო, — ყველა ღონე ეხმარათ, ოღონდ თანამეგობრობის წესდებასთან შეერთებისთვის კენჭი არ ეყარათ. ირინა სარიშვილი და ნოდარ ნათაძე საკითხის გადადების მომხრე იყვნენ. მუშაობა წინა სხდომაზე პროვოკაციულად შეწყვეტილი საკითხიდან დავიწყოთო, — თქვა ნოდარ ნათაძემ. მერე ვახტანგ ძაბირაძემ თანამდებობაზე მყოფი დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტა მოითხოვა. ორივე წინადადებას კენჭი უყარეს, არც ერთი არ გავიდა... სამაგიეროდ დრო გავიდა და მიკროფონებთან კვლავ კენჭისყრის შედეგებით უკმაყოფილოთა რიგი დადგა.

ექვსი საათის განმავლობაში მიღებული თუ მიუღებელი ეთიკური ნორმებით ორი სხვადასხვა აზრი ებრძოდა ერთმანეთს. იყო ლანძღვა, გინება, მუშტი-კრივი, ისტერია. თვითონ განსაჯეთ, რა ჰქვია იმას, როცა ირაკლი წერეთელი ხელ-ფეხს აბრახუნებს და გაბმით ყვირის: რუსეთი! ლენინი! ელცინი!; აკაკი ბობოხიძე პულტს ამსხვრევს; ლუიზა შაქიაშვილი სსრ კავშირის ჰიმნს მღერის; თამრიკო ჩხეიძე ადამიანებზე იწევს; ვანო ხუხუნაიშვილი, ვაჟა ადამია, გია [illegible], ირაკლი მელაშვილი, ფრიდონ საყვარელიძე დეპუტატის ქცევის „უნიკალურ" ნიმუშებს გვიჩვენებენ. ზოგიერთი ოპოზიციონერი თვითონვე იხიბლებოდა საკუთარი გამოსვლით, ნიშნისმოგებით იღიმებოდა, — ესეც თქვენო.

თუ დეპუტატ ვახტანგ ძაბირაძის სიტყვას დავეთანხმებით, ორი აზრიდან ერთი უაზრობაა (ამგვარად მან გიგა ლორთქიფანიძეს უპასუხა რეპლიკაზე), რომელს მიეკუთვნება საპარლამენტო უმრავლესობის პოზიცია, რომელიც საბოლოოდ კენჭისყრით დამტკიცდა (124 მომხრე, 47 წინააღმდეგი, 4 თავი შეიკავა) და რომელს ოპოზიციისა, რომელიც მათი ყველანაირი მცდელობის მიუხედავად, ვერ გავიდა, — ამას ისტორია იტყვის. ჩვენ ერთი შეგვიძლია ვთქვათ: პარლამენტი სახელმწიფოებრივი აზრის შემოქმედია, სადაც უმრავლესობა და უმცირესობა კონსტრუქციული თანამშრომლობის საფუძველს უნდა იძლეოდეს. სამწუხაროდ, აქ ასე არ ხდება...

ნოდარ ნათაძემ მისთვის ჩვეულ რადიკალურ გამოსვლაში სიტუაციას კონსტიტუციური ძალის მქონე კანონის დარღვევა, ზემოდან სახელმწიფო გადატრიალება, უწოდა.

— სიტუაციის ზედმეტად დრამატიზება საჭირო არ არის, — თქვა თავის პირველ გამოსვლაში სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, — ოფიციალური წერილი მივიღეთ რუსეთიდან, რომელშიც აღნიშნულია პარლამენტის მიერ რატიფიცირებული თუ არ იქნება დსთ-ში შესვლის საკითხი, მაშინ საქართველომ დსთ-ს წევრ ქვეყნებს ვადების გაგრძელება უნდა სთხოვოსო.

რატომ ვჩქარობთ? დსთ-ში შესვლას სერიოზული საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იმას, უჭერს თუ არა სახელმწიფოს მეთაურს მხარს პარლამენტი, დიდი მნიშვნელობა ექნება აფხაზეთის საკითხის განხილვისას ამერიკაში, 7 მარტს, 9 მარტს კი მეორე ტური. ჯაბა იოსელიანი დღეს მიემგზავრება ექსპერტებთან ერთად, შაბათს მეც მივდივარ. ზოგიერთ სახელმწიფოს, მაგალითად, ყაზახსტანის პრეზიდენტს თბილისში ჩამოსვლა სურს. პასუხი დღესვე უნდა მივცე... ქვეყანა უკიდურეს გაჭირვებაშია, ეკონომიკური კავშირების აღდგენა რუსეთთან, უკრაინასთან, ბელორუსთან, აზერბაიჯანთან, თურქმენისტანთან ცოტას ამოასუნთქებს ქვეყანას.

ბევრი ქვეყანა, რომელთანაც ვთანამშრომლობთ, პირდაპირ გვიცხადებს, თუ გსურთ ჩვენი ეს თანამშრომლობა გაგრძელდეს, გახდით დსთ-ს წევრი და მერე ვისაუბროთო. დსთ-ს შიდა ბაზარზე კი ფასები მსოფლიო ბაზართან შედარებით 40 პროცენტით ნაკლებია, რაც საქართველოსთვის დიდი შეღავათი იქნება...

სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლამ დარბაზი თითქოს დაამშვიდა, სპიკერმა საკითხის კენჭისყრა მოითხოვა, მაგრამ აურზაურისათვის კვლავ მოინახა საბაბი: ხუთწუთიანი შესვენების შემდეგ დეპუტატმა ნოდარ ნათაძემ პარლამენტს აუწყა — გარეთ ლტოლვილები დაურბევიათო. გიორგი კობახიძემ მთავრობას „პარლამენტის ნახევარფაბრიკატული მუშაობის ნაყოფი" უწოდა, ხოლო დავით ბერძენიშვილმა იმ დეპუტატების ხმების კანონიერება დააყენა ეჭვქვეშ, რომელთა უფლებამოსილების შეწყვეტა სხდომის დასაწყისში მოითხოვეს.

სახელმწიფოს მეთაურმა კიდევ ერთხელ მოუწოდა დეპუტატებს ელემენტარული წესრიგისაკენ და შეახსენა, რომ ეს პარლამენტია და არა ქუჩა. შეგუებოდნენ იმ აზრს, რომ პარლამენტში არსებობს უმრავლესობა და უმცირესობა, და პატივი ეცათ ამ რეალური შეფარდებისთვის. დეპუტატებს სთხოვა, დინჯად ეყარათ კენჭი დღის წესრიგის პირველი საკითხისთვის.

საპარლამენტო ისტერიამ აპოგეას მიაღწია, ოპოზიცია დაჟინებით მოითხოვდა მიკროფონების ჩართვას, სპიკერი კი საკითხის კენჭისყრას ცდილობდა; გ. ხავთასმა სახელმწიფოს მეთაური ხელისუფლების უზურპაცია დააბრალა, ჯაბა იოსელიანმა თქვა, რომ მთელი სხდომის მანძილზე „ჭინკობის" მეტს ვერაფერს ხედავდა, რომ ოპოზიცია ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად უმრავლესობას კონკრეტულ ალტერნატივას ვერ სთავაზობდა. მან ისიც შეახსენა დეპუტატებს, რომ სახელმწიფოს მეთაურს უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი.

პარლამენტართა სიფიცხე რამდენადმე განელა ბატონ ივლიანე ხაინდრავას ემოციურმა, მაგრამ კორექტულმა გამოსვლამ, რომელმაც ერთგვარი დანანებით აღნიშნა, რომ ოპოზიციას მხოლოდ იმაში თუ დასდებენ ბრალს, რომ ხელი ვერ შეუშალა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვას. საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ისტორიას კი გაცრუებული იმედების ისტორია უწოდა. დასასრულ კი ასე მიმართა ჭაბუა ამირეჯიბსა და ელდარ შენგელაიას, „დათა თუთაშხია" და „შერეკილები" მხოლოდ მხატვრული შემოქმედებაა თუ მათი ავტორების თავისუფლებისთვის სწრაფვააო. რაზეც თავის გამოსვლაში მოსწრებულად უპასუხა ელდარ შენგელაიამ: ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ბატონ ივლიანეს ამ ფილმის მხოლოდ ფინალი აქვს ნანახი, როცა გმირები უკვე გაფრინდებიან, მანამდე კი იყო მუხლჩაუხრელი შრომა, წვალება, იმედის გაცრუება და ათასი სხვა რამ...

კორექტული იყო ბატონების აკაკი ასათიანის, ზურაბ ჟვანიას, ვალერი კვარაცხელიას და თედო პაატაშვილის გამოსვლები, რომლებმაც თავიანთი თვალსაზრისი პარლამენტარის შესაფერი ფორმით გამოხატეს.

გავიხსენებთ ირინა სარიშვილის სიტყვებს, დამარცხებულ ქვეყანას არ შეიძლება გამარჯვებული ხელისუფლება ჰყავდეს, ამიტომ მიუხედავად იმისა, როგორი შედეგით დამთავრდება დღევანდელი სხდომა, დარბაზს გამარჯვებული ვერც ერთი მხარე ვერ დატოვებსო.

დეპუტატებმა ნესტან კირთაძემ, გიგი ლომინაძემ, ჭაბუა ამირეჯიბმა თავიანთ გამოსვლებში დამაჯერებლად ახსნეს რატომ იყვნენ თანამეგობრობაში შესვლის მომხრე.

მორიგი აურზაურის საბაბი დეპუტატ მანანა გიგინეიშვილის გამოსვლა გახდა, რომელშიც ოპოზიციისადმი ბრალდებები სჭარბობდა. ვნებათაღელვა შესვენებამაც ვერ დააცხრო. მაგრამ თანამეგობრობის წესდებასთან შეერთების რატიფიცირება სახელობითი კენჭისყრით მაინც მოხდა.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. მან პარლამენტარებს ერთხელ კიდევ შეახსენა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდების მნიშვნელოვანი დებულებები.

— ამას იმიტომ შევახსენებ, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ, — რომ თავისთავად ამ დოკუმენტში, რომელსაც ჩვენ უნდა შევუერთდეთ, საკამათოს და საეჭვოს ვერაფერს ვხედავ. სხვა საკითხია, შეიძლება თუ არა მოხდეს ამ შეთანხმების დარღვევა, რომელსაც ვუერთდებით. ამის გამორიცხვა ძნელია. ჯობია, სხვა ქვეყნებთან ერთად შევუერთდეთ მას, ვიდრე გარეთ ვიყოთ.

ხელშეკრულებაში არის რამდენიმე მუხლი, რომლებიც ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის გარკვეული გარანტია. მაგალითად, მესამე მუხლი ეწინააღმდეგება სხვა ქვეყნების ტერიტორიის დაპყრობის სურვილს. ხაზგასმულია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში საერთაშორისო სამართლის უზენაესობა და ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობა. დავფიქრდეთ იმაზეც, ხომ არ ნიშნავს თანამეგობრობაში შესვლა, რომ რუსეთში შეიზღუდება ის ძალები, რომლებზედაც ბორის ელცინი ლაპარაკობდა თბილისში.

რა თქმა უნდა, ნორმალური მოვლენა არ არის, როცა სახელმწიფოს მეთაური პარლამენტისა და ხალხის დაუკითხავად იღებს ასეთ გადაწყვეტილებას. მაგრამ, გავიხსენოთ, როდის და რატომ მივიღე იგი? მივიღე მას შემდეგ, რაც საქართველო გავიდა გარკვეულ სივრცეებში, როცა ჩვენი ბედი დავუკავშირეთ გაეროს, ევროგაერთიანებას, დავიწყეთ თანამშრომლობა ნატოსთან, სხვა ევროპულ საპარლამენტო სტრუქტურებთან, მას შემდეგ, რაც გაირკვა ჩვენი ურთიერთობა თურქეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ირანთან, დასავლეთის ქვეყნებთან. მას შემდეგ, რაც ჩვენ შევედით შავიზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკურ ალიანსში, რომლის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და დამაარსებელი ვართ, მას შემდეგ, რაც დატრიალდა ის უბედურება, როცა ქობალიას რაზმები მოადგა ქუთაისს, თითქმის ალებული იყო წყალტუბო...

სამოქალაქო ომი გარდაუვალი გახდა, იგი, ფაქტობრივად, დაიწყო საქართველოში. მიმაჩნდა, რომ ჩვენ ლამის განწყობილი ვართ მასობრივი ხოცვა-ჟლეტისათვის. გახსოვთ ის განგაშის ზარები, რომლებიც აქ ირეკებოდა...

იმ ტრაგიკულ დღეებში მოსკოვს ვეწვიე და ვთხოვე, დაეცვათ რკინიგზის მაგისტრალები, ჩვენი ნავსადგურები, რადგან დაიკავეს და გაძარცვეს ფოთი, სამტრედია, გადაიჭრა თბილისისაკენ, და არა მარტო თბილისისაკენ, მომავალი ყველა არტერია. თბილისში დარჩა 3-4 დღის ფქვილის მარაგი. ამაზე რთული და მძიმე ვითარების წარმოდგენა ძნელია. ჩვენი თხოვნით იყო ის, რომ მოსკოვში მოიწვიეს სომხეთის, აზერბაიჯანის პრეზიდენტები ჩემთან ერთად და ოთხეული მივედით იმ დასკვნამდე, რომ შეიძლება დატრიალდეს დიდი უბედურება მთელ ამიერკავკასიაში. მივაღწიეთ შეთანხმებას მაგისტრალების დაცვაზე. იმდენად დრამატული და ტრაგიკული იყო ყოველივე ეს, რომ ათჯერ მაინც ველაპარაკე ადმირალ ბალტინს დაეცვა ფოთი, რათა იგი ხელისუფლებას დაბრუნებოდა. სხვაგვარად უნდა დაგვეყარა ფარხმალი, ექსპრეზიდენტის მომხრეებსა და თავად მათ ლიდერთან დიალოგი არ გამოგვივიდა. რამდენიმე სამხედრო გემი შემოვიდა ფოთში. მაშინ გადარჩა დედაქალაქი, და, პრაქტიკულად, საქართველო.

აი, ასეთ პირობებში მივიღე გადაწყვეტილება, როცა კბილებამდე შეიარაღებული რაზმები — არა მარტო აფხაზები, არამედ ჩეჩნები, კაზაკები, სხვა დაქირავებულები შემოვიდნენ სოხუმში. მე თავად ვიყავი ხობში, ვნახე ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა. ხობსა და სენაკში დაქირავებულები ხვრეტდნენ ხალხს.

როცა დავრწმუნდი, რომ სხვა გამოსავალი აღარ იყო, მაშინ მივიღე გადაწყვეტილება, რომ საქართველო უნდა შევიდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

როცა ვამბობთ, თანამეგობრობაში შესვლით საქართველო თავისუფლებას კარგავსო, დავფიქრდეთ, ხომ არ ვაყენებთ ამით შეურაცხყოფას თანამეგობრობის სხვა წევრ ქვეყნებს. საქართველო უნდა ცდილობდეს ნორმალური ურთიერთობის დამყარებას ყველა ქვეყანასთან. მით უმეტეს, რომ დიდ ქვეყნებთან ურთიერთობაში ბევრი რამ უნდა გავითვალისწინოთ.

რაც შეეხება ეჭვს, მოახდენს თუ არა გავლენას თანამეგობრობაში გაერთიანების რატიფიკაცია ჩვენს ვიზიტზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ამერიკაშიც და სხვაგანაც იციან, რომ ჩვენ სხვა ალტერნატივა არ გვქონდა. ამ პროცესის გაჭიანურება კი ეგებ უარესიც იყოს.

თანამეგობრობაში შესვლა საქართველოს არ შეუშლის ხელს სხვა ქვეყნებთანაც ითანამშრომლოს.

თავის გამოსვლაში ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა: ჩვენ პატიოსან პოლიტიკას უნდა მივსდიოთ. უნდა გამოვიყენოთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, ვითანამშრომლოთ ყველა ქვეყანასთან. ისეთ მდგომარეობაში მყოფმა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, როცა ტერიტორიული ერთიანობის პრობლემა, საზღვრების ხელშეუხებლობა ხვალაც შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, უნდა ეძებოს გარანტები, ჰყავდეს მეგობრები, მათ შორის, ის წარმონაქმნი, რომელსაც თანამეგობრობა ჰქვია. უფლება არა გვაქვს უარი ვთქვათ თუნდაც უმცირეს შანსზე, რომელიც გვეძლევა იმისათვის, რომ თავი გადავირჩინოთ.

ამგვარად, სახელმწიფოს მეთაურმა მიიღო პარლამენტის მხარდაჭერა, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა საერთაშორისო გაერთიანებებთან ერთად საქართველო მონაწილეობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

* * *

საქართველოს პარლამენტის პირველი მარტის სხდომა ლაკმუსის ქაღალდი აღმოჩნდა. თანამეგობრობაში საქართველოს შესვლის საკითხის განხილვამ საბოლოოდ გაამჟღავნა ზოგიერთი დეპუტატის ეთიკა, და თუ მათი ქცევის მიხედვით განვსჯით, იქნებ ბევრმა კიდეც ვინანოთ არჩევნებში ზოგიერთისთვის მიცემული ხმა.

გარეთ კი, ყველაფრის მიუხედავად, გაზაფხულის პირველი დღე იდგა, გაზაფხულისა, რომლის ერთმანეთისთვის მილოცვა, უბრალოდ, დაავიწყდათ ჩვენს პარლამენტარებს!

რუსუდან ლორთქიფანიძე.
ფერიდე ზიჩაძე

„საქართველოს რესპუბლიკის" საპარლამენტო კორესპონდენტები.

საბაჟო ქვეყნის სახეა

ამ დღეებში საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართა სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. როგორც სხდომის დასაწყისში ბატონმა შევარდნაძემ აღნიშნა, ბოლო დროს გააქტიურდა ბრძოლა დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ, რამაც საბაჟოს საქმიანობაზეც უნდა იქონიოს დადებითი გავლენა. საბაჟო ქვეყნის სახეა, — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა, — უცხოელისთვის საქართველოს გაცნობა სწორედ საბაჟოდან იწყება და ამიტომ, ის თავის სიმაღლეზე უნდა იდგას.

საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვიქტორ ლორთქიფანიძემ ვრცლად ისაუბრა საბაჟო სამსახურის წინაშე მდგომ პრობლემებზე და აღნიშნა, რომ დღეს არსებული საკონტროლო-გამშვები პუნქტებიდან, რომლებიც საქართველო-რუსეთის საზღვარზე მდებარეობენ ქართული მხარე უმრავლესობას ვერ აკონტროლებს, ხოლო რომლებზეც ხელი მიუწვდება, მათი ტექნიკური აღჭურვილობის დონე სავალალოა.

აუცილებელია საზღვრებზე საბაჟო ზონის შექმნა, სადაც შემოწმებას გაივლიან მეზობელი ქვეყნებიდან შემოსული პირები. ქართველ მებაჟეებს მშვიდობიანი ურთიერთობები აქვთ თავიანთ სომეხ და აზერბაიჯანელ კოლეგებთან, თუმცა, აზერბაიჯანთან სადემარკაციო ზოლის არარსებობა ხშირად კონფლიქტურ სიტუაციებს იწვევს, — განაცხადა ვიქტორ ლორთქიფანიძემ — მიმაჩნია, რომ მებაჟეებს ცეცხლსასროლი იარაღი არ სჭირდებათ და ეს უფრო სხვა ორგანოების პრეროგატივაა.

შეხვედრის დასასრულს სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ სასაზღვრო ჯარი უნდა გამოვიდეს თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობიდან და უზრუნველყოს ერთადერთი ამოცანის შესრულება — საზღვრის დაცვა. საბაჟოს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირების საქმეში, — აღნიშნა მან, — ამიტომ, აუცილებელია ყველა საბაჟოზე, ტრასებსა თუ აეროპორტში სანიმუშო წესრიგი დამყარდეს.

ამგვარი სახის შეხვედრები კვლავაც მოეწყობა, რომლებზეც უკვე კონკრეტულ შედეგებზე იქნება საუბარი, — დასძინა სახელმწიფოს მეთაურმა.

3 მარტი დედის დღეა

სიმონ კილაძის ფოტო.

ნოდარ შამანაძე

მიდიან და მიდიან

ეს რა მეხი დაგვეცა და რა უბედურება, —
შვილებს დედის არ ესმით, დედის არ ეყურებათ.
გუდანაბადს იკრავენ, მიდიან და მიდიან,
დიდი არის ქვეყნები, გზასავალი დიდია.
მიდიან და მიდიან, სად მიდიან, სად არა,
უფრო პატარავდება საქართველო პატარა.
რა ღვთის წყრომა დაგვიდგა, რა ღვთაებამ შეგვრისხა, —
დედინაცვალს ეძებენ, თმობენ კალთას დედისას.
დედას ძლიერ რომ უჭირს, სწორედ ახლა უგანეს,
უცხოურ მზეს ელტვიან და უცხოურ უნაგირს.
მიდიან და მიდიან, საქართველო იცლება,
სამშობლოთი ვაჭრობენ, არის აღებ-მიცემა.
მიდიან და მიდიან, მიდიან და მიდიან,
არც არავის დარდი აქვთ, არც არავის რიდი აქვთ,
ფიქრი გამდიდრებისა საგზალივით ჰკიდიათ.
მიდიან და მიდიან, სადღა აღარ მიდიან,
ნიჭს და უნარს ყიდიან, ხან ნამუსსაც ყიდიან.
ეს რა მეხი დაგვეცა და რა უბედურება,
ღმერთო, ყველა წასული დაგვიბრუნე უვნებლად.

1. III. 94 წ.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

[illegible]

არ შეესაბამება სინამდვილეს!

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნოს განცხადება

საქართველოს პარლამენტის სხდომაზე პარლამენტის წევრმა ქალბატონმა თამარ ჩხეიძემ განმარტება მოითხოვა იმის შესახებ, თუ რატომ გადაიცა დეზინფორმაცია ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ყრილობის შესახებ სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელის ფაქსით. შემდგომ მისი ეს განცხადება სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით გაავრცელა ზოგიერთმა საინფორმაციო სააგენტომაც.

სახელმწიფოს მეთაურის აპარატის თანამშრომელთან, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრებთან და თავად ქალბატონ თამარ ჩხეიძესთან ერთად საკითხის შესწავლით დადგინდა, რომ ზემოხსენებული ბრალდება არ შეესაბამება სინამდვილეს. გაირკვა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ავტორის მიუთითებლად შეადგინა და გადასცა იმავე საზოგადოების წევრმა ბატონმა გუძა აფაქიძემ (ამის შესახებ მან თვითონვე გააკეთა განცხადება პრესის მეშვეობით). ინფორმაციის გადასაცემად გ. აფაქიძემ გამოიყენა სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახურის, და არა აპარატის ხელმძღვანელის, ფაქსი.

საკითხის ობიექტური შესწავლა საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ამ შემთხვევაში პრესსამდივნოს აპარატურა გამოიყენეს მხოლოდ როგორც ტექნიკური საშუალება. სახელმწიფოს მეთაურის აპარატსა და მის თანამშრომლებს ინფორმაციასთან კავშირი არა აქვთ. ამდენად, მართებული არ არის ამ ინციდენტისათვის სახელმწიფოს მეთაურის აპარატისაგან პასუხის მოთხოვნა.

იმის მიუხედავად, რომ თანამშრომლებისა და აკრედიტებული ჟურნალისტების მიერ პრესსამდივნოს ტექნიკის გამოყენების შეზღუდვა ვერ ხერხდება, რადგან ჩვენს შენობაში მუშაობის დროს მათ ხელი მიუწვდებათ მხოლოდ პრესსამდივნოს ოთახში მდგარ ფაქსთან და ისინი ძირითადად ინფორმაციებს სწორედ მისი მეშვეობით ავრცელებენ, პრესსამდივნოს მაინც სამწუხაროდ მიაჩნია, რომ გაუგებრობის გამომწვევი ინფორმაციის გადაცემა მოხდა მისი ფაქსით, მით უფრო, როცა რომელიმე პოლიტიკური პარტიისა თუ ორგანიზაციის შინაური საქმეების გაშუქება სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნოს მიერ პრინციპულად მიუღებლად მიგვაჩნია.

მომავალში რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სააგენტოებისა და პრესსამსახურების საყურადღებოდ გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენგან არ გადაიცემა ინფორმაცია, რომელშიც დადასტურებული არ იქნება პრესსამდივნოს ავტორობა. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო ჩვენგან ამგვარი ინფორმაცია მაინც გავა, კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ იგი არ გავრცელდეს და დადგინდეს მისი ავტორი და გადაცემის პირობები.

„ვერ იქნა და ვერ გავიგეთ. გამართლება ვერ მოვუძებნეთ აფხაზთა წარმომადგენლების პოზიციას"

რუსეთის დელეგაციის მეთაურმა ასე შეაფასა ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის მოგვარების თაობაზე ჟენევის მოლაპარაკების მორიგი რაუნდის შედეგები

ჟენევა, 25 თებერვალი (იტარ-ტასის კორ. კონსტანტინე პრიბიტკოვი). რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბორის პასტუხოვმა სინანული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ „სასურველი შედეგი" არ ჰქონდა 22-25 თებერვალს აქ გამართულ მოლაპარაკებას გაეროს ეგიდით რუსეთის ხელშეწყობით ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების შესახებ. ჟენევაში იტარ-ტასის საკორესპონდენტო პუნქტისთვის გადაცემულ, პრესისათვის განკუთვნილ განცხადებაში იგი მიუთითებს, რომ „ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტები — განცხადება ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ და ოთხმხრივი ხელშეკრულება დევნილთა (გადაადგილებულ პირთა) ნებაყოფლობითი დაბრუნების თაობაზე — ხელმოუწერელი დარჩა".

ამასთან, რუსეთის დიპლომატს მიაჩნია, რომ „არაობიექტური იქნებოდა არ აღგვენიშნა მეტად მნიშვნელოვანი პროგრესი, კომპრომისისაკენ წინსვლა" მოლაპარაკების ამ, რიგით მესამე რაუნდის მიმდინარეობისას. ეს, უპირველეს ყოვლისა ის არის, რომ „უთუოდ დადასტურდა მხარეების დაინტერესება რაც შეიძლება ჩქარა დაიწყოს მშვიდობის დაცვის ოპერაციები და გაეროს სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში მონაწილეობდეს რუსეთის სამხედრო კონტინგენტი". ასეთი ღონისძიებები შექმნიდნენ დევნილთა (გადაადგილებულ პირთა) უსაფრთხო დაბრუნების ხელშეწყობის შესაძლებლობას. ბორის პასტუხოვს „მხარეების პოზიციებში უმნიშვნელოვანეს წინსვლად" მიაჩნია მათ მიერ გამოთქმული სურვილი შექმნან კომიტეტი „საქართველოსა და აფხაზეთს შორის სახელმწიფო-სამართლებრივ ურთიერთობათა აღდგენის წინადადებათა შესამუშავებლად", რომელიც იმუშავებდა მუდმივ საფუძველზე გაეროს, ევროთათბირისა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით. მიღწეულ იქნა ურთიერთგაგება საკითხში, რომ მოხდეს „დელეგირება უფლებამოსილებათა ერთობლივი წარმართვისათვის რიგ ძალზე მნიშვნელოვან სფეროებში, რომელთა შორის არის, მაგალითად, საგარეო პოლიტიკა და ეკონომიკური კავშირურთიერთობანი, ადამიანისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა".

ამასთან ერთად, „არ იყო რეალური წინსვლა და თანხმობა იმ ფორმულის მიხედვით, რომელიც უკავშირდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას და აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის უფლებათა სრულ უზრუნველყოფას. არ გაკეთებულა განცხადება, გარდა სრულიად ზოგადი ხასიათის წინადადებებისა, აფხაზეთის შესაძლო პოლიტიკური სტატუსისა და სახელმწიფო მოწყობის შესახებ. პირველ ყოვლისა, სწორედ ამ პრობლემატიკაში არსებულმა წინააღმდეგობამ შეუშალა ხელი განცხადების ხელმოწერას".

„მთელი გარკვეულობით მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, — მიუთითებს შემდეგ ბორის პასტუხოვი, — რომ თუ რიგი პოლიტიკური საკითხების განხილვა, ურომლისოდაც შეუძლებელია სრულმასშტაბიანი მოწესრიგება აფხაზეთში, შეიძლება გაგრძელდეს, რადგან ცხადია, რომ მათი სირთულე გარკვეულ დროს მოითხოვს, რუსეთის მხარის შეხედულებით გამართლება არა აქვს დევნილთა საქმეებზე გაეროს უმაღლესი კომისრის სამმართველოს უაღრესად აქტიური მონაწილეობით შეთანხმებული დოკუმენტის საფუძველზე დევნილთა პრობლემის გადაწყვეტის ყოველგვარ გაჭიანურებას, ნებისმიერ გადადებას". კამათი დევნილთა შესახებ შეთანხმების მესამე პარაგრაფზე, რომელიც მრავალი კვირაა გრძელდება, „სრულიად რა შეედრება" იმ ათობით ათასი ადამიანის უბედურებასა და ტანჯვა-ვაებას, მშობლიურ კერაზე დაბრუნებას რომ ელოდებიან. „მოლაპარაკების ამ რაუნდის მსვლელობაში ვერ იქნა და ვერ გავიგეთ, გამართლება ვერ მოვუძებნეთ აფხაზთა წარმომადგენლების პოზიციას; მათ არ ისურვეს გამოეჩინათ მოქნილობა ამ განსაკუთრებით მწვავე და სათუთი საკითხის გადაწყვეტისადმი", — ნათქვამია განცხადებაში.

რუსეთის დელეგაციამ მხარი დაუჭირა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ედუარდ ბრუნერის წინადადებას, რომ მხარეები 7 მარტს შეიკრიბონ ნიუ-იორკში და განიხილონ იმ დოკუმენტების პროექტები, რომელთა ხელმოწერა არ მოხერხდა ჟენევაში. ბორის პასტუხოვმა იმედი გამოთქვა, რომ „მხარეები თავიანთ ხელმძღვანელობასთან კომპრომისის მისაღწევად განიხილავენ რა ამ, მორიგებისათვის მნიშვნელოვან დოკუმენტებს, გამოიჩენენ მოქნილობას, პოლიტიკურ ნებას".

3 მარტი დედის დღეა!

დ ე დ ა

გაზაფხულის პირველსავე დღეებში, 3 მარტს აღინიშნება დედის დღე. ეს — სიმბოლურად, თორემ საქართველოში წელიწადის ყოველი დღე დედას ეკუთვნის, დედას — მშვენიერსა და ამაღლებულს, სიცოცხლის საწყისს, ყველა სიკეთის სათავესა და წყაროს. ქართულმა ენამ დააკანონა ბრძენი ილიას გამოთქმა: „ქართვლის დედა", რომელმაც ამით სამუდამოდ აამაღლა ქალის ღირსება და აქცია ქართვლის დედა საქართველოს სიმბოლოდ. არის სალოცავი, განუმეორებელი სიტყვა ჩვენს მშობლიურ ენაში დედაშვილობა, მართლაც და, რა შეედრება ამ უნეტარეს გრძნობას, რომელიც უკიდეგანოა თავისი შინაარსით. დედის მადლი და ლოცვა-კურთხევა მარადიული მეგზურია ჩვენი და გვინათებს გზას ცხოვრების ურთულეს ლაბირინთებში. დედაა ჩვენი სალოცავი და საფიცარი, ფარიცა და მახვილიც ერთდროულად. სწორედ ასეთად წარმოგვიდგება ქართვლის დედის მონუმენტური ფიგურა, ერთ ხელში მახვილითა და მეორეში ფიალით რომ გადმოსცქერის თბილისს...

საქართველოში ხომ ოდითგან მოსდგამთ ქალის პატივისცემა. ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის ისტორიამ ქართველ ქალთა არაერთი ბრწყინვალე სახელი შემოგვინახა, რომლებითაც სამართლიანად ვართ ამაყი და მდიდარი. რად ღირს დიდებული მეფეთმეფე თამარის სახელი, რომლის წინამძღოლობისა და მფარველობის დროს ქართველი ერი მედგარი, ძლიერი, რაინდული, კეთილშობილი იყო, სწორედ მისმა გონიერებამ გახადა შესაძლებელი, რომ ათასი ჯურის მტერს მოეხარა ქედი და საქართველოსაკენ ავი თვალით გამოხედვა ვერ გაებედა. რად ღირს ჩვენი წინაპარი მანდილოსნების დიდი დიპლომატიური ალღო და ნიჭი. მარტო ხვაშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელის სახელის გახსენებაც კმარა, რომლებმაც აბობოქრებული დიდებულები დააშოშმინეს...

დღეს, როცა ჩვენს ქვეყანას უჭირს, საავდრო ღრუბლები ხშირად მოეძალებიან ხოლმე მის ცაფირუზს, ამ დროს ჩვენი აზრი და გონება მიპყრობილია იმათკენ, ვისი მოწამებრივი ცხოვრება, ღვაწლი ერისა და მამულის წინაშე, გვამხნევებს, ძალას გვმატებს, იმედის სხივად გამობრწყინდება.

ამ იმედით, ამ რწმენით გამოიარა ქართველმა დედამ წუთისოფლის ცოდვა-მადლიანი გრძელი გზა. და თუ დღევანდლამდე მოვაღწიეთ, შევინარჩუნეთ ჩვენი თავისთავადობა, ტრადიციები, ცხოვრების წესი, ამაში დიდია დედის დამსახურება, რომლის კეთილგონიერება, სიბრძნე და დარბაისლობა, სამშობლოს უდიდესი სიყვარულის ნიჭი გვიხსნიდა და დღესაც გვიხსნის ყველაზე ძნელი გასაჭირიდანაც კი. ახლა საქართველოს ყველა კუთხეში მომრავლდნენ შავოსანი დედები. მათმა შვილებმა უყოყმანოდ შესწირეს თავი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას. და დღეს, როცა ულრმესი პატივისცემითა და მოწიწებით აღვნიშნავთ დედის დღეს, მაგონდება აფხაზეთის სოფელ შრომასთან დაღუპული ერთ-ერთი ვაჟკაცის დედის სიტყვები, რომელმაც მისი შვილის ცხედართან გამოსათხოვრად მისულ სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გულიდან ამომსკდარი სიტყვებით მიმართა „ოღონდ ქვეყანას ეშველოს და ჩემი დაღუპული შვილის მაგივრად სამმრად მე წავალო"... როცა ქვეყანას ასეთი ქალები ჰყავს, მას მტერი მართლაც ვერაფერს დააკლებს...

მადლობა თქვენ, ძვირფასო დედებო, ყველაფრისათვის, რაც გააკეთეთ, მადლობა იმ უძილო ღამეებისათვის, რომლებიც არაერთი გქონდათ, ვიდრე შვილები დაფრთიანდებოდნენ, იმ უწონავი ამაგისათვის, რომელსაც ვერასოდეს გადავიხდით, იმ უზარმაზარი გარჯისათვის, რისი წყალობითაც ცხოვრების დიდ გზაზე გამოვედით.

ამ ნათელ დღესასწაულზე ვილოცებთ თქვენთვის, დედასამშობლოსათვის, ქვეყნად სიცოცხლის, სიყვარულისა და სილამაზისათვის, მშვიდობისა და სიხარულისათვის. ბედნიერი ყოფილიყოს ყველა დედა!

მერი გაგრიაძე.

ჭეშმარიტი დემოკრატია — ეს არის კანონის დიქტატურა

მკითხველებს ვთავაზობთ საუბარს გურამ ფანჯიკიძესთან

აქტუალური ინტერვიუ

— ბატონო გურამ! გილოცავთ ახალი რომანის „ეშმაკის ბორბალის" გამოქვეყნებას. იგი ჟურნალ „მნათობში" დაიბეჭდა. შეზღუდული ტირაჟის გამო რომანი ბევრმა ვერ წაიკითხა, ვინც წაიკითხა, ძალზე მოიწონა. „ეშმაკის ბორბალზე" ვრცელი რეცენზია გამოაქვეყნა „ლიტერატურულმა საქართველომ", სადაც რომანს მაღალი შეფასება მიეცა. როდის გამოვა იგი ცალკე წიგნად? როდის მიეცემა ფართო მკითხველს რომანის წაკითხვის საშუალება?

— თბილი სიტყვებისათვის გმადლობთ, რომანის გამოცემის თაობაზე კი ვერაფერს მოგახსენებთ. ყველაფერი ქაღალდის შოვნაზეა დამოკიდებული.

— ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ აღნიშნეთ, რომ დეპუტატობაზე არასოდეს იყრით კენჭს და არც ერთი პარტიის წევრი არ გახდებით. მაშ რამ განაპირობა თქვენი შესვლა მოქალაქეთა კავშირში?

— დიახ, ვთქვი და კვლავ ჩემს სიტყვაზე ვდგავარ. მე პარტიასა და, საერთოდ, პარტიებზე ჩემი აზრი მაქვს. თუმცა, ეტყობა, ჯობია სოლჟენიცინი მოვიშველიო, რომელმაც ჩემზე ადრე გამოთქვა აზრი პარტიების თაობაზე და არ შეიძლება არ დაეთანხმო მას: „პარტია ნიშნავს ნაწილს, — წერს სოლჟენიცინი, — **დავიყოთ პარტიებად — ნიშნავს დავიყოთ ნაწილებად. ვისი მოწინააღმდეგეა პარტია, როგორც ხალხის ნაწილი? ცხადია, დანარჩენი ხალხისა, რომელიც მას არ მიჰყვება.** თითოეული პარტია იბრძვის, უწინარეს ყოვლისა, არა მთელი ერისათვის, არამედ თავისთვის და თავისიანებისთვის. ეროვნული ინტერესები პარტიული ინტერესებით იჩრდილება.

პარტიული მეტოქეობა აყალიბებს ხალხის ნებას. პარტიულობის პრინციპი თრგუნავს პიროვნებას და მის როლს. ყოველგვარი პარტია — ეს არის პიროვნების გამარტივება-გაუხეშება".

გაცილებით ადრე კი ტიტუს ლივიუსი წერდა: „ბრძოლა პარტიებს შორის ხალხისათვის არის და ყოველთვის იქნება **გაცილებით დიდი უბედურება, ვიდრე ომი, შიმშილი, ჟამიანობა ან ღვთის ნებისმიერი სხვა რისხვა".** (ხაზი აქაც და ყველგან გ. ფანჯიკიძისაა. რედ.).

მოქალაქეთა კავშირში კი იმიტომ შევედი, რომ იგი არ არის პარტია. კავშირში გაერთიანდნენ სხვადასხვა პოზიციის მქონე მოქალაქენი, ხოლო ისინი გააერთიანა იმ უმსგავსობამ, რაც ჩვენს ირგვლივ სუფევს, გააერთიანა სამოქალაქო ომის დაწყებამ და, პირდაპირ მინდა ვთქვა, მოქალაქეთა კავშირმა ამ სამარცხვინო, ძმათამკვლელი ომის აღკვეთაში დიდი როლი შეასრულა.

ჩვენი დევიზია წესრიგი, მშვიდობა, ეკონომიკის აღორძინება, ქვეყნის ფეხზე წამოყენება. თეორიულ თუ პოზიციურ კამათს შემდეგაც მოვასწრებთ.

და თუ მოქალაქეთა კავშირი პარტიად ან პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაკეთდება, რასაკვირველია, მე ვერ გავხდები მისი წევრი.

— თქვენ ერთხელ უკვე გამოაქვეყნეთ ინტერვიუ სათაურით: „ქართველებს მტერიც რომ ისე სძულდეთ, როგორც ერთმანეთი სძულთ, ბევრი საქმე, ალბათ, მოგვარებული იქნებოდა". ძალზე მკაცრი სიტყვებია. დღესაც იგივეს ფიქრობთ?

— რასაკვირველია. ასეთი მოსაზრების საჯაროდ გამოთქმა უბრალოდ, ემოციით არ ხდება. აფხაზეთის ომში ბევრი რამ გვაკლდა ქართველებს, იარაღიც, დისციპლინაც, გამოცდილებაც, მაგრამ, ვფიქრობ და მჯერა, რომ გვაკლდა ერთი უმთავრესი რამ — მტრის სიძულვილი. დიახ, მტრის სიძულვილი! აფხაზებმა შეძლეს შეექმნათ მტრის ხატი. ამ ქვეყანაზე არაფერი მათ ისე არ სძულთ, როგორც ქართველი ხალხი. რით მიაღწიეს ამას? ათობით წლის მანძილზე ბავშვებს ასწავლიდნენ გაყალბებულ ისტორიას, სადაც ქართველები გამოყვანილი ვიყავით დამპყრობლებად, სისხლისმსმელებად, რომლებმაც გაანადგურეს აფხაზი ხალხი. აფხაზ ბავშვებს გულში უნერგავდნენ ქართველი ხალხის სიძულვილს, შურისძიებას. ქართველები კი რას ვაკეთებდით? მხოლოდ ვაშოშმინებდით აფხაზ „ძმებს", ვცდილობდით, იმ წუთში ჩაგვეწყნარებინა სიტუაცია, იმ წუთში არ მომხდარიყო არეულობა. აკრძალული გვქონდა საპასუხო წერილების გამოქვეყნება, სადაც ვამხელდით აფხაზ ფალსიფიკატორებსა და პროვოკატორებს. შემდეგ, თანდათანობით, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. როცა ადამიანი ხშირად იმეორებს ტყუილს, იგი თვითონვე იჯერებს მას. დღეს, დარწმუნებული ვარ, თვით მთელი ამ ფალსიფიკაციის შემთხზველებსაც კი სჯერათ, რომ მართალი არიან.

საქართველოში კი ისეთი სიტუაცია იყო, თითქოს აფხაზეთის ომი ქართველთა 90 პროცენტს არც კი ეხებოდა. 17 სექტემბერს, როცა აფხაზეთში გადავფრინდით, აქეთ ომში მიმავალი ბიჭები ისწრაფვოდნენ პირველსავე რეისებში ჩამსხდარიყვნენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად ჩაბმულიყვნენ მტერთან ომში. იქით კი, სულ ასი მეტრის დაშორებით, ასევე ქართველ ბიჭებს, საზღვარგარეთ რომ მიდიოდნენ, პირდაპირ მანქანის კაპოტებზე ჰქონდათ სუფრები გაშლილი, იყო შამპანურის ბათქა-ბუთქი, სიცილ-კისკისი, არავითარი მორიდება, სირცხვილი, თითქოს სხვადასხვა ქვეყნის შვილები არიანო. რასაკვირველია, ცხოვრება ომის დროსაც გრძელდება, მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი ფორმა აქვს?!

— თქვენ, როგორც აფხაზეთის ომის უშუალო მონაწილეს, როგორ გგონიათ, აფხაზებს რუსები რომ არ დაექირავებინათ, მოიგებდნენ ამ ომს?

— არ მინდა გავამარტივო ომის მექანიზმი. არ მინდა საქმე ისე იოლად დავხატო, თითქოს იქით აფხაზები იდგნენ დაქირავებული რუსებითა და კონფედერატებით, აქეთ კი ჩვენ და, ვინაიდან აფხაზებს დაქირავებული მკვლელები ეხმარებოდნენ, ომი იმიტომ წავაგეთ.

აფხაზეთის ომს ძალზე რთული მექანიზმი ჰქონდა და აქვს. მისი ძირითადი სამართავი პულტი მოსკოვშია, ხოლო გაცილებით ნაკლები მნიშვნელობის ქვეპულტები — ჩრდილოეთ კავკასიაში და, იქნებ, რომელიმე მეზობელ რესპუბლიკაშიც, აფხაზეთი იყო და არის ამ რთული მექანიზმის მხოლოდ სისხლიანი ფოკუსი, ვოლტის რკალი. ამიტომაც, ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, აფხაზებმა კი არ იქირავეს რუსები, რუსებმა იქირავეს აფხაზები და დიდი წარმატებითაც.

— მაინც რამ განაპირობა რუსეთის ასეთი დამოკიდებულება ჩვენს მიმართ?

— რუსები იმიტომ კი არ გვებრძვიან, ქართველები რომ ვართ. რუსებს აშფოთებთ ერთი დიდი ამბავი. საქართველოს დაკარგვით ისინი დაკარგავენ დიდ სტრატეგიულ საბუფერო ზონას.

მოდით, კიდევ უფრო ფართოდ ვიმსჯელოთ. ამისათვის რუსეთს, ორ პირობით ნაწილად გავყოფ — დემოკრატიულ რუსეთად და იმპერიულად განწყობილ რუსეთად.

იმასაც თამამად ვიტყვი, რომ იმპერიის დანგრევით შეშფოთებული რუსები მეტნი არიან, ვიდრე დემოკრატიული ძალები. შემთხვევითი არ არის კომუნისტების გააქტიურება, რომლებიც კვლავ ერთიანი საბჭოთა კავშირის აღდგენაზე ოცნებობენ და არამარტო ოცნებობენ....

ჟირინოვსკი ვინც არის და რასაც წარმოადგენს, ვფიქრობთ, არ არის ძნელი მისახვედრი. მაშ, რატომ მისცა მას ხალხმა ხმა? ღრმად ვარ დარწმუნებული, ხალხმა ჟირინოვსკის კი არა, მის იდეებს, რუსეთის იმპერიის აღდგენასა და გაძლიერების იდეას მისცა ხმა. რუსეთში ჯერ კიდევ იმ დროიდან, პეტრე პირველმა რომ ევროპისკენ „გაჭრა ფანჯარა", დიდი ხანია ოცნებობენ, რომ რუს ჯარისკაცს ინდოეთის ოკეანეში ჩაერეცხა ტალახიანი ჩექმები.

მეორე ნაწილია დემოკრატიული რუსეთი. იგი ერთგვაროვანი არ არის. მათში არიან ჭეშმარიტი დემოკრატებიც. ოღონდ უმცირესობას შეადგენენ. უმრავლესობა კი ისეთი დემოკრატები არიან, რომლებიც გულში იმპერიას მისტირიან, მაგრამ იციან, რომ მას ყავლი გაუვიდა. იმპერია უკვე ისტორიაა, კაცობრიობის გუშინდელი დღეა. ისინი შეელევიან ყოფილ „მოძმე" რესპუბლიკებს. შეელევიან საქართველოსაც, ოღონდ ერთი პირობით, საქართველოც და სხვა რესპუბლიკებიც მათი მეგობარი და დასაყრდენი უნდა იყოს.

— მაშ გამოსავალი არ ყოფილა!

— იდეალური გამოსავალი, მით უმეტეს, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, საქართველო რომ არის, არ არსებობს. პოლიტიკოსების ამოცანაა პრობლემათა ამ გაფთრებულ ჭიდილში მიაგნონ ყველაზე რაციონალურ გზას.

— შევეხოთ აფხაზეთის ომის რთულ მექანიზმს. თვით ბრძოლის დროს პროფესიულად რა შეცდომები იყო დაშვებული ჩვენი მხრიდან?

— პროფესიული შეცდომები ღრმა ანალიზს მოითხოვს. მე არ გახლავართ ამ საქმის სპეციალისტი, თუმცა ბევრი რამის თქმა კი შემიძლია: არასპეციალისტისათვისაც ნათელი იყო ის შეცდომები, იქ რომ ხდებოდა.



მე სხვა რამეზე ვილაპარაკებ. წეღან ვთქვი, აფხაზეთის ომი საქართველოში არ იყო ყველას ომი-მეთქი. ყველას ვინ დაეძებს, გულრიფშის რაიონშიც კი ახალგაზრდა და ჯანმაგი კაცების უმრავლესობა არავითარ სურვილს არ გამოთქვამდა, ომში მონაწილეობა მიეღო.

ერთ დღეს გვაცნობეს, კოდორზე ჩვენი ჯარები გადმოვიდნენო. უმალვე იქით გავიშურე. ჩაფიქრებული გვქონდა, კოდორზე გადმოსვლა ზარზეიმით აგვეღნიშნა, რათა ხალხიც გაგვემხნევებინა და მებრძოლებიც. თანაც, გვინდოდა ამ საზეიმო ხმას გუდაუთამდეც ჩაეღწია. სოხუმიდან კოდორის ხიდამდე, თუ არ ვცდები, 15-17 კილომეტრია. მთელი ამ გზის მანძილზე ჭიშკრებთან მსხდომ ახალგაზრდებს და უფროსი თაობის კაცებს ვხედავდი. ისინი ისე უზრუნველად ლაპარაკობდნენ, თითქოს ყურის ძირში ომი არც კი ყოფილიყოს.

კოდორის ხეობიდან იმედგაცრუებული ვბრუნდებოდით. უცებ აეროდრომზე ორ ტოტად ამომავალი შავი ბოლი შევნიშნეთ. რა მოხდა-მეთქი, ვკითხე სახლის თავზე შემდგარ ახალგაზრდებს. თბილისიდან მომავალი თვითმფრინავი ჩამოაგდესო, იყო პასუხი. უმალვე აეროდრომისაკენ გავემართეთ, რაც იქ ვნახეთ, მისი გადმოცემა შეუძლებელია. იქვე ტრიალებდნენ ლევან თედიაშვილი და მისი ვაჟი, რომლებიც იმავე თვითმფრინავით უნდა დაბრუნებულიყვნენ თბილისში. ბუნებრივია, ვერ გამოემგზავრნენ, მეორე დღეს კი ლევანის შვილი აეროდრომის დაბომბვის დროს დაიღუპა, მამას ხელში ჩააკვდა. გაოცებული და გაცოფებული ვიყავი, მეზობელი სოფლებიდან თითქმის არავინ მოგვეშველა. მხოლოდ ოცდახუთი კაცი გადარჩა ცოცხალი. ვინმე რომ მოგვეშველებოდა, იქნებ ორი-სამი კაცით მეტი გადაგვერჩინა.

მეორე დღეს კვლავ დაირხა ხმა, კოდორზე ჩვენები გადმოვიდნენო. კვლავ იქით გავემართეთ. კვლავ იმედგაცრუებული გამოვბრუნდით. ერთ ადგილზე ოცდაათამდე კაცი დავინახე. მათ შორის მხოლოდ ორი იყო ავტომატიანი. მანქანა გავაჩერეთ და მე და გენო კალანდია მათთან მივედით. რატომ არ იბრძვით-მეთქი, დავიწყე პირდაპირ. იმიტომ რომ იარაღი არა გვაქვსო, — თითქმის ერთხმად მიპასუხეს. მერე რატომ არ გაქვთ? — ვკითხე წონასწორობიდან გამოსულმა, — აფხაზები რომ თქვენს მოსაკლავად იარაღს იძენდნენ, თქვენ ბროლის ჭიქებს რატომ ყიდულობდით-მეთქი. ან იქნებ ომი მარტო სროლა გგონიათ? არ შეიძლება დაჭრილები საავადმყოფოში გადაიყვანოთ, სანგრები გაჭრათ ან ჯარისკაცებს პოზიციებზე წყალი მიუტანოთ? გუშინ სახლის სახურავებზე ჩამოვარდნილ თვითმფრინავს რომ გასცქეროდით, რატომ არავინ მოგვეშველეთ, არ იცით, რომ სოხუმის დაცემის შემდეგ თქვენი რიგიც დადგება-მეთქი?

ერთი ავტომატიანი ისე გაგულისდა, ხელი იარაღისაკენ წაიღო. არ გაბედო, თორემ ავტომატი მე უკვე ფეხზე მაქვს შეყენებული-მეთქი, — დავემუქრე.

დღესაც ვერ ამიხსნია (უფრო სწორად, არ მინდა ყველაფერს თავისი სახელი დავარქვა), რატომ არ იბრძოდნენ ისინი. ეტყობა, ადგილობრივმა თუ საგანგებოდ გამოგზავნილმა ზვიადისტებმა დაარწმუნეს ან დააშინეს რაიონის მოსახლეობის ნაწილი (ამის დასტურია ისიც, გალის რაიონის გარკვეული ნაწილი რა ზეიმით შეხვდა პრეზიდენტყოფილს), რომ სოხუმის დაკარგვის შემდეგ შევარდნაძეს გამსახურდია შეცვლიდა, აფხაზები და ქართველები შერიგდებოდნენ და საამური ცხოვრება დაიწყებოდა.

არც ის დამავიწყდება, ერთ დღეს ქობალიას ხალხმა რომ გადმოსცა რადიოთი, კოდორის გადმოღმა ესა და ეს კვადრატი დაბომბეთო. მეც ვმონაწილეობდი ამ ოპერაციაში. ჩვენმა ბიჭებმა ასამდე მარტო „მუხა" ისროლეს, ამდენი სროლის შემდეგ კოდორზე გადმოსვლას ვინ დაეძებდა, რაციითაც კი აღარ გამოგველაპარაკნენ. რასაკვირველია, მოგვატყუეს და ალბათ სიცილით კვდებოდნენ, ამდენი ტყვია-წამალი ტყუილად რომ დაგვახარჯინეს.

— კიდევ რას გაიხსენებდით აფხაზეთის დღეებიდან?

— აფხაზეთში მეოთხედ გახლდით. იმ თორმეტი დღიდან კი, ბოლოს იქ რომ დავყავი, კარგს ბევრს ვერაფერს გავიხსენებ. ცუდი კი რამდენიც გნებავთ. ერთხელ მე და სოხუმის სამართლის თავმჯდომარე ვაჟა კაპალიანი უკან გამოქცეულ პანიკით შეპყრობილ ჯარისკაცებს წინ გადავუდექით. ნუ გეშინიათ ბიჭებო, პროვოკატორებს ნუ აჰყვებით, არაფერი საფრთხე არ გელის! — ვყვიროდით ჩვენ. ისევ გვატყუებთო! — იყვირა ერთმა დაჭრილმა და ავტომატი მოგვიღერა. სიკვდილს შემთხვევით გადავრჩით. ჩვენს შორის შეშინებულმა ახალგაზრდებმა გაირბინეს. ჩვენც დავიკუზეთ და უკან გავყევით. დამეთანხმებით, არ იყო სასიამოვნო წუთები.

მინდა, ორი კომიკური ეპიზოდი გავიხსენო, რომლებიც არასდროს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან.

ერთხელ თხუთმეტი კაცი მინისტრთა საბჭოს შენობაში ალყაში მოვყევით. ეჭვი არც ადრე გვეპარებოდა, რომ მინისტრთა საბჭოს თანამშრომელთა შორის ვიღაც ჯაშუშობდა და კიდეც გამართლდა ჩვენი ეჭვი. იმ დღეს ყველანი შტაბში იყვნენ. შენობაში, როგორც ვთქვი, მხოლოდ თხუთმეტი კაცი ვიყავით დარჩენილი. ეს, ეტყობა, უმალვე გადასცეს აფხაზებს და ერთმა რაზმმა პირდაპირ შენობას შემოარტყა ალყა. ეს იყო ოცდახუთ სექტემბერს. ამ თხუთმეტი კაციდან ერთი რადისტი იყო. მე მეოთხე სართულის წინა მხარე მომანდეს. რაცია მეოთხე სართულზე იყო და თუ ვინმეს დავუკავშირდებოდით, შველა უნდა მეთხოვა. ორსაათნახევრის შემდეგ რადისტი ჩემთან ყვირილით შემოვარდა და მითხრა, ხაზზე შევარდნაძეაო. დაფეთებული რაციის ოთახისაკენ გავვარდი. — ბატონო ედუარდ! — ჩავძახე ყურმილს. — ძალიან ცუდ დღეში ვართ, რკალი თანდათან ვიწროვდება-მეთქი. ვიცით, ამ მიმართულებით ჯაბა იოსელიანი მუშაობს, მითხრა მან. იმედი მოგვეცა, მაგრამ მშველელი მხოლოდ საათნახევრის შემდეგ მოვიდა. ეს იყო გია ჩეჩელაშვილის რაზმი. აფხაზებმა უკან დაიხიეს. არ დამავიწყდება, ხუთი წუთი ფეხზე ველარ წამოვდექი. ხელები საშინლად მტკიოდა. ეტყობა, იმ ოთხი საათის განმავლობაში, ალყაში რომ ვიყავით, ავტომატს ხელებს საშინელი ძალით ვუჭერდი. კაცმა რომ თქვას, სოხუმში პირველი დღიდანვე ალყაში ვიყავით. არ იყო სინათლე, წყალი, არავითარი ინფორმაცია, მაგრამ როცა ცასა და ტყეებს ხედავ, შიშს იმდენად არ განიცდი. ალყაშემორტყმულ შენობაში ყოფნა კი მართლაც საშინელება ყოფილა. თანაც ოთხი საათი! გული ისე მქონდა დამძიმებული, მეგონა, ტონა მაინც გახდა.

უფრო საშინელი კი გამომგზავრება იყო. კარჭაპზე ასული საათნახევარს ვუყურებდი ცეცხლის ალში გახვეულ სოხუმს. ვბრუნდებოდით დამარცხებული, შეურაცხყოფილი, გათელილი... თავს იმითღა ვინუგეშებდით, რომ ქართველმა ბიჭებმა ომში ენით აუწერელი მამაცობა გამოიჩინეს, ხოლო დამარცხების „შემოქმედნი" ვინც იყვნენ, ისიც კარგად ვიცოდით, თან გვჯეროდა, აფხაზეთის დაკარგვა ეპიზოდი იყო ჯერ დაუმთავრებელი ომისა. ხოლო ომს მარტო იარაღი კი არა, სიმართლე იგებს.

იქნებ, მოვრჩეთ აფხაზეთის ომზე საუბარს. მე საერთოდ არ ვაპირებ ჩემი შთაბეჭდილებების გამოქვეყნებას. მით უმეტეს, რომ საამაყო და კარგად მოსაგონებელი ბევრი არაფერი მაქვს.

— კი, ბატონო! თქვენის ნებართვით, სულ სხვა თემაზე გადავალ. თავის დროზე თქვენ მხარი დაუჭირეთ დსთ-ში შესვლას. დღეს ლაპარაკია სამანეთო ზონაში შესვლაზე. ხართ თუ არა მომხრე სამანეთო ზონაში შესვლისა?

— შეკითხვაზე შეკითხვითვე მინდა გიპასუხოთ. ვართ კი გამოსული სამანეთო ზონიდან?! განა ჩვენი კუპონი სადმე გადის?! თავის დროზე, როცა დადგენილება მიიღეს, რესპუბლიკაში ვაჭრობა მხოლოდ კუპონით უნდა განხორციელდესო, გავოცდი. განა სპეციალისტებმა არ იცოდნენ, რომ რუსეთში, თუ სხვა რესპუბლიკებსა და ქვეყნებში, დოლარითა და მანეთით ნაყიდი საქონელი კუპონზე არ გაიყიდებოდა?!

ბაზარი, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, სოლიდური რამ არის. მას თავისი კანონები აქვს და მთავრობას კი არა, **ღმერთსაც არ ემორჩილება.**

და მაინც, უნდა შევიდეთ თუ არა სამანეთო ზონაში? ძალიან მიჭირს პასუხის გაცემა. არ ვარ ამ საკითხში ღრმად ჩახედული. რასაკვირველია, სჯობია, კუპონის კურსი გავამყაროთ, მაგრამ როგორ? ერთი რამ მაინც მინდა ვთქვა: სამანეთო ზონაში შესვლის ყველაზე სასტიკი მოწინააღმდეგენი ისინი არიან, ჯიბე რომ სხვა ფულითა აქვთ სავსე. რაც შეეხება დსთ-ში შესვლას, მინდა გკითხოთ, რომ ჩემი ერის, არავისზე ნაკლები პატრიოტი არა ვარ, არავისზე ნაკლებად არ ვიცი, რას ნიშნავს ჭეშმარიტად თავისუფალი, ძლიერი და დემოკრატიული საქართველო, მაგრამ ერთია სურვილი, მეორე — რეალობა. პრობლემებს, მით უმეტეს, ისეთი დიდი პრობლემების გადაჭრისას, ქვეყნის თავისუფლება და დემოკრატია რომ არის, სურვილებიდან და ოცნებებიდან კი არ უნდა გამოვიდეთ, არამედ **მკაცრი რეალობიდან.**

საქართველოზე მსჯელობის დროს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ყველა ფაქტორი, უმნიშვნელო ნიუანსიც კი, რომელსაც თუნდაც მცირეოდენი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია საქართველოს ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე.

უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა; ვინ არიან ჩვენი მეზობლები, რა ინტერესები (აგრეთვე პრეტენზიები) აქვთ მათ ჩვენს მიმართ; რა მდგომარეობა გვაქვს თვით რესპუბლიკაში, როგორი, რამდენნაირი და რა სიძლიერისაა „მეხუთე კოლონა", როგორია ჩვენი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, რამდენად „ვზივართ" მსოფლიოს ბაზარზე, რა სანედლეულო და ენერგეტიკული კავშირები გვაქვს მეზობლებთან, რა პრობლემების წინაშე დაგვაყენებს რომელიმე მათგანთან კონფლიქტი...

ერთხელ უკვე დავწერე და კვლავ მინდა გავიმეორო, ამიერკავკასია იყო დიდი ბუფერული ზონა რუსეთსა და ისლამურ სამყაროს შორის. ამიერკავკასიის დაკარგვის შემდეგ ისლამის ტალღა პირდაპირ მიაწყდა კავკასიონს. ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ჩრდილოეთ კავკასია ოსების გარდა ისლამური ტომებითაც არის დასახლებული. შუა აზიის სახელმწიფოებს, რომლებიც აქამდე მოწყვეტილი იყვნენ ევროპას, დასავლეთთან კავშირი მხოლოდ რუსეთის მეშვეობით ჰქონდათ, ამჟამად შესაძლებლობა ეძლევათ, ევროპას ამიერკავკასიის ფართო დერეფნით დაუკავშირდნენ და ამავე დროს თურქეთთან იოლად დაამყარონ დიდი სულიერი და ეკონომიკური ურთიერთობანი. არ დაგვავიწყდეს, რომ შუა აზიის რესპუბლიკებში თურქული წარმოშობის ხალხები ცხოვრობენ.

ბუნებრივია, ამიერკავკასიის დერეფანმა ძალზე შეაშფოთა რუსეთი, რადგან ევროპასა და თურქეთთან შუა აზიის ამ გზით დაკავშირება ძალზე შეასუსტებს მის ზეგავლენას ამიერკავკასიისა და შუა აზიის დამოუკიდებელ, სუვერენულ რესპუბლიკებზე.

— ბატონო გურამ! მახსოვს ადრე ძალზე საგულისხმო აზრი გამოთქვით კასპიის ზღვის თაობაზე.

— დიახ, მაშინ არცთუ უსაფუძვლო მოსაზრება გამოვთქვი, რუსეთი თითქმის მთლიანად კარგავს კასპიის ზღვას-მეთქი. ამიერკავკასიის მხარეს კასპიის ზღვას ეკვრიან აზერბაიჯანი და ჩრდილოეთ კავკასიის ისლამური ქვეყნები, სამხრეთიდან ირანი, აღმოსავლეთით კი შუა აზიის რესპუბლიკები. თვით ასტრახანიც კი თათრული ქალაქი გახლავთ. კასპიის ზღვას შავი ზღვაც მიემატა. უკრაინისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რუსეთს ძალზე შეუვიწროვდა შავ ზღვაზე გასასვლელი.

როგორც კი რუსეთმა საფრთხე იგრძნო, თვითონ მიჰყო ხელი რეგიონული კონფლიქტების გაღვივებას, ხოლო, როცა ცეცხლი მთელი ძალით გაჩაღდა, ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მშვიდობის დასამყარებლად გაეროს საერთაშორისო მანდატი მოსთხოვა.

ამ დიდი პრობლემების მოგვარებაში საქართველოს თავისი გეოგრაფიული მდგომარეობით ლამის გადამწყვეტი ადგილი უჭირავს. ამიტომაც იქირავეს რუსებმა ჯერ ოსები, შემდეგ აფხაზები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ საქმეს კიდევ უფრო გავართულებდით, მათ რეზერვში ჰყავდათ (და ჰყავთ) 400 ათასი მესხეთელი თურქი, რომლებსაც, როცა უნდათ, მაშინ შემოუშვებენ თავიანთ „კანონიერ სამშობლოში". არც მესხეთ-ჯავახეთი და სხვა რაიონები უნდა დავივიწყოთ, არაქართული მოსახლეობით რომ არის დასახლებული.

სომხებმა მრავალ ენაზე გამოსცეს „მეცნიერული" ლიტერატურა, სადაც ამტკიცებენ, ახალციხე სომხური ქალაქიაო. რამდენი ზარალი ნახა სომხეთმა აფხაზეთის ომით. სადმე გაგიგიათ მათი პროტესტი აფხაზების მიმართ? უფრო მეტიც, ხმასაც არ იღებენ. საქართველოში ქართველების მიერვე ჩამოსახლებულმა სომხებმა ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი შექმნეს და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გვებრძვიან, ქართველები აფხაზურ-სომხური მიწა-წყლიდან უნდა გავდევნოთო (?!), გაჰკივიან. მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის დროს სომხები სისასტიკეში თვით აფხაზებსა და კაზაკებსაც კი სჯობნიდნენ. ისინი ოცნებობენ, რომ აფხაზეთში შეიქმნას ძლიერი სომხური კოლონია. არ უნდა დაგვავიწყდეს, ადლერში მოსახლეობის 70 პროცენტი სომეხია. შემდეგ კი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სომხებით დასახლებული შავი ზღვისპირა რაიონები როსტოვამდე. როსტოვში კი მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი სომეხია. უამრავი სომეხი ცხოვრობს კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებშიც. წეღან ვთქვი, ჩვენ მხოლოდ ეპიზოდი წავაგეთ, ომი წინ გვაქვს-მეთქი. საბოლოოდ დამარცხებულები კი, ჩემი ღრმა რწმენით, **„გამარჯვებული" აფხაზები არიან.** მათი ნახევარი აიყარა და რუსეთში წავიდა. ბევრი დაიხოცა. ერთი მუჭა ხალხისაგან ნახევარი მუჭაც აღარ დარჩა. ამ ომში რუსებს, სომხებსა და კონფედერატებს თავთავიანთი ამოცანა ჰქონდათ. კიდევაც რომ მოხდეს და აფხაზეთი საქართველოს აღარ დაუბრუნდეს, აფხაზეთი მაინც აღარ იქნება, თუნდაც რესპუბლიკა დაარქვან, ან უფრო შთამბეჭდავი სახელი. მათ მხოლოდ ღერბი, დროშა, ჰიმნი და სხვა სიმბოლოები შერჩებათ, ენა ისედაც დაკარგული ჰქონდათ, ახლა საკუთარ სამშობლოში მხოლოდ სათამაშო ფიგურებად თუღა გამოდგებიან დიდ პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე.

— გჯერათ, რომ აფხაზეთის საკითხი მშვიდობიანი გზით მოგვარდება?

— მე ერთს რამ მჯერა, თუ რუსეთი მოინდომებს, აფხაზეთის პრობლემა მშვიდობიანი გზით მოგვარდება. თუ ბრძოლის გზით მოინდომებს, ბრძოლის გზით მოგვარდება. თუ საერთოდ არ მოინდომებს, კარგახანს არ მოგვარდება. ამიტომ ზოგიერთი ჩემი კოლეგის მოწოდება, ახლავე დავიწყოთ ომიო, სწორი არ არის, მით უმეტეს, რომ არ გაქვს სხვისი შვილების ომში გაგზავნის უფლება, როცა საკუთარი ვაჟი გერმანიაში გყავს საიმედოდ დამალული. კმარა ერის ხარჯზე ამდენი პოპულიზმი და იაფფასიანი ტაში!

— თვითონ აფხაზებმა რომ შემოგვიტიონ?

— აბა, რა უნდა ექნათ? თუ რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას განხორციელება უწერია, მთელი მათი მცდელობა, მონდომება და ბრძოლით მოპოვებული „გამარჯვება" ხომ წყალში ჩაყრილი აღმოჩნდება.

აღარაფერს ვლაპარაკობ რუსეთთან ენერგეტიკულ და ეკონომიკურ კავშირებზე, რაზეც არაერთხელ დავწერე. მხოლოდ ორიოდე მაგალითს შევახსენებთ. რადგანაც რუსეთიდან საწვავად აღარ შემოდის ელექტროენერგია და ნავთობი, უმოწყალოდ იჩეხება საქართველოს ტყეები. ამას ემატება ის ორი მილიონი კუბური მეტრი ხე-ტყე, რომელიც ადრე რუსეთიდან შემოგვქონდა. ტყეების გაჩეხვა ნიშნავს ნაკადულების დაშრობას, ნიადაგის ეროზიას, საბოლოოდ მიწის სიკვდილს.

ხმა კი ვერ ამოგვიღია. პოპულისტი და ცრუპოლიტიკოსი არამკითხე ჯალათივით გადგას თავზე.

არადა, პოპულისტი ყოველთვის მოგებულია, იგი არაფერს რისკავს.

თუ დსთ-ში შესვლის მომხრე ხარ, იმიტომ კი არა, რომ რამე საოცრებას მოელი, უბრალოდ, ამ წუთში სხვა გზას ვერ ხედავ, უკვე წამგებიანი პოზიცია გიჭირავს. ისიც წინასწარ გჯერა, დსთ მხოლოდ გარკვეულწილად თუ შეგვეშველება ძირითადი პრობლემის ასე თუ ისე მოგვარებაში. ამიტომ როცა დსთ-ს უჭერ მხარს, ბუნებრივია, ბევრს რისკავ.

პოპულისტი უმალვე ქორივით დაგაცხრება თავს. ხომ გეუბნებოდით, დსთ-ში შესვლით არაფერი გამოვაო. იმედგაცრუებული ხალხი, რომელიც დსთ-დან სამოთხეს ელოდა, უმალვე პოპულისტის მხარეს დაიჭერს.

კიდევ ვიმეორებ, პოპულისტი არამკითხე ყოველთვის მომგებიან მდგომარეობაშია. იგი მხოლოდ მარადიული ოცნების გამომხატველ სიტყვებს გაჰყვირის — „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!", თითქოს იმ ხალხს, რომელიც მსჯელობს, გამოსავალს ეძებს, შრომობს და იბრძვის, საქართველოს თავისუფლება არ ეწადოს.

პოპულისტი მხოლოდ დამწუნებლის როლშია. იგი არაფერს აკეთებს, ე. ი. არაფერზე პასუხს არ აგებს, აქედან გამომდინარე, ნაკლსაც ვერ უპოვი. თანაც, ისეთ ლოზუნგებს გაჰყვირის, წუნს რომ ვერ დასდებ. იგი მხოლოდ ნაკლს ეძებს, ნაკლი კი, იცოცხლე, საკმარისზე მეტია. პოპულისტი გაჭირვებული ხალხის ნერვებს უღიტინებს და უბირი საზოგადოების თვალში ქულებს აგროვებს.

აქედან გამომდინარე, პოპულისტი ხელს უწყობს ხალხში მცდარი პოზიციების შექმნას, რეალური სიტუაციის შეუფასებლობას, დაბნეულობას, არასტაბილურობას. ყველაფერი ეს კი უზარმაზარ ზიანს აყენებს სახელმწიფოს პოლიტიკურ სიმტკიცეს, ეკონომიკას, ადამიანთა სულიერ შემართებას.

ერთი სიტყვით, პოპულისტები ზრუნავენ თავიანთი ბიოგრაფიისათვის და არა ქვეყნისათვის. ბოლოს, როცა ყველანი გაღმა გავალთ, მათი მოწოდებანი გაცილებით პატრიოტული „აღმოჩნდება", თუ მომავალი საქართველო საჭიროდ ჩათვლის ჩვენი [illegible] გაიხსენოს და გააანალიზოს.

ისე კი იდეოლოგიური სამსახური რომ თავის სიმაღლეზე იდგეს, რა იოლია მათი მხილება! მხოლოდ პოპულისტების ბრალია გრაჩოვის წინადადება — აფხაზეთ-

(დასასრული მე-5 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციის სტუმარი

ერთიანი, ძლიერი და აყვავებული



[illegible] გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის [illegible] რუსეთის ფედერაციის ელჩი საქართველოში ვლადი-[illegible] ზემსკი და საელჩოს პრესატაშე ალექსანდრე სპარიხინი. [illegible] დაინტერესდა რესპუბლიკის ყველაზე დიდტირაჟიანი და [illegible]ული გაზეთის შემოქმედებითი კოლექტივის წარსულითა და [illegible]. გაზეთის მთავარმა რედაქტორმა გურამ გოგიაშ-[illegible] ელჩს მოკლედ გააცნო რედაქციის წინაშე მდგარი პრობლემები [illegible] ურთიერთსასარგებლო კონტაქტების გაღრმავების სუ-[illegible]ლი.

— ჩვენი მთავარი მიზანია, — თქვა შეხვედრაზე — რუსეთ-სა-[illegible]ველოს ურთიერთობის ყოველმხრივი აქტივიზაციისათვის ხელის [illegible]წყობა, ორ თავისუფალ, სუვერენულ, თანასწორუფლებიან ქვე-[illegible] შორის ტრადიციული მეგობრობის განმტკიცება, საერთო სა-[illegible]სათვის სასარგებლო, ჯანსაღი, პირუთვნელი კრიტიკა, როგორც [illegible]ნალისტები იტყვიან ხოლმე — დღევანდელი ურთულესი პოლ-[illegible]კური და ეკონომიკური პრობლემების იდეოლოგიური უზრუნვ-[illegible]ფა...

[illegible]ჩმა უპასუხა რედაქციის წარმომადგენელთა შეკითხვებს, რო-[illegible]თაგან უმთავრესი, რა თქმა უნდა, აფხაზეთის საკითხთან რუს-[illegible]ის დამოკიდებულების [illegible] შეფასება იყო.

[illegible]ის მიუხედავად, რომ რუსეთში ურთულესი პოლიტიკური ვითა-[illegible]ა, — განაცხადა ელჩმა, პრეზიდენტ ელცინისა და მთელი დე-[illegible]კრატიული რუსეთის პოზიცია საქართველოს მიმართ არ შეცვ-[illegible]ლა: ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანო-[illegible] და ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ რუსეთის სამხრეთით, [illegible]ართველოს სახით, ერთიანი, ძლიერი და აყვავებული მეზობელი [illegible]ყავდეს. მართალია, რუსეთსა და საქართველოში საკმაოდ არიან [illegible]ლები, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს მეგობრობას, მაგრამ ამან [illegible] უნდა შეგვაშინოს. თანამიმდევრული, აღიარებული, დემოკრატი-[illegible]ლი მეთოდებით ბრძოლა, ბრძნული პოლიტიკა დაგვეხმარება, რომ [illegible]სურველ შედეგს მივაღწიოთ. ყურადღების მოდუნება ერთი წუ-[illegible]თაც არ შეიძლება. რუსეთი ახლო აღმოსავლეთში მონოპოლიური [illegible]ტონობისათვის არ იბრძვის, მაგრამ კავკასიის გლობალური პრო-[illegible]ლემების მოგვარება რომ ურუსეთოდ შეუძლებელია, ცხადზე უც-[illegible]ადესია...

[illegible] რუსეთის საელჩოს საქართველოში გადაწყვეტილი აქვს 9 მარტს, [illegible] საათზე, რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებების ხელმძღვანე-[illegible]ებს მოუწყოს შეხვედრა. მიზანი ერთია: საქმიანი, შემოქმედებითი [illegible]ნტაქტების გაღრმავება.

სპარტაკ ქობულია.

სურათზე: რუსეთის ფედერაციის ელჩი ვლადიმერ ზემსკი სტუმრად რედაქციაში.

სიმონ კილაძის ფოტო.

ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის ერთობლივი ძალისხმევაა საჭირო

რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ვლადიმერ ზემსკის კარგად იცნობენ ჩვენი გაზეთის მკითხველები, რესპუბლიკის საზოგადოებრიობა. იცნობენ მის პირად წვლილს ორი სახელმწიფოს ურთიერთობის რადიკალურად გაუმჯობესების საქმეში, რომელიც დროდადრო მკვეთრ კონფრონტაციულ ხასიათს ღებულობდა. ამას აპირობებდა რესპუბლიკაში მოვლენების ტრაგიკული განვითარება, რუსეთში ხელისუფლების დამბლა, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მწვავე, უკომპრომისო დაპირისპირების გამო.

უკანასკნელი პერიოდის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ადასტურებს, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა არსებითად არის დაინტერესებული ჩვენს დიდ ჩრდილოელ მეზობელთან, რუსეთთან თანასწორუფლებიანი, ორივე მხარისათვის სასარგებლო ურთიერთკავშირების აღდგენა-განვითარებაში.

ჩვენი გაზეთის სპეციალურმა კორესპონდენტმა ირაკლი ჯაფარიძემ ამ დღეებში ინტერვიუ სთხოვა ბ-ნ ვლადიმერ ზემსკის. გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

— ბატონო ელჩო, ახლა, როცა საქართველოში წარმატებით დამთავრდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის ოფიციალური ვიზიტი, ხელმოწერილია ორ ქვეყანას შორის ყოვლისმომცველი ხელშეკრულება მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ, მრავალი უმნიშვნელოვანესი შეთანხმება, რაც დღეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობას აწესრიგებს და რომელთა ხელმოწერა, როგორც ამას რუსეთის პრესაც აღნიშნავს, არის ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელების, დიპლომატთა დიდი ჯგუფის, სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლების უაღრესად მძიმე და შრომატევადი მუშაობის შედეგი, როგორ აფასებთ ამ ისტორიული ვიზიტის შედეგებს ორივე ქვეყნისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისათვის?

— საქართველოში — ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოში — რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის პირველ ჩამოსვლას ყოვლისმომცველი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობის განსავითარებლად. საქართველოს მხარემ, საქართველოს ხელმძღვანელობამ, თვით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ეს ვიზიტი შეაფასეს როგორც ორი სახელმწიფოს ურთიერთობისათვის ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა. მე, როგორც რუსეთის ელჩი საქართველოში, ვიზიარებ ამ შეფასებას. ვიზიტმა პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძვლები ჩაუყარა ურთიერთობის განვითარებას ყველა შესაძლებელი მიმართულებით ამჟამად და სამომავლოდ.

ხელმოწერილი იყო 12 შეთანხმება, მათ შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ. ეს არის ყოვლისმომცველი ხელშეკრულება, რომელმაც შეადუღაბა, განამტკიცა ჩვენ სახელმწიფოებს შორის ხელმოწერილი სახელშეკრულებო დოკუმენტები. მათი საერთო რაოდენობა იმ თორმეტთან ერთად, რომლებსაც ხელი მოაწერეს ბორის ელცინის ვიზიტის დროს, უკვე შეადგენს 35 დოკუმენტს. ამავე დროს, და ეს მე არაერთხელ მითქვამს, დღის ამოცანა ვისარგებლოთ ამ ვიზიტის წარმატებით. ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რასაც მივაღწიეთ. ყველაზე მთავარია, თუ ასე შეიძლება ითქვას, ჩავეჭიდოთ წარმატების ტალღას, გამოვიყენოთ ეს დასაწყისი — პოლიტიკური, სამართლებრივი, რომელიც დაფუძნდა ვიზიტის მსვლელობაში და კონკრეტული შინაარსით შევავსოთ ამ ვიზიტის დროს ხელმოწერილი პრინციპული მორიგებანი და სამართლებრივი დოკუმენტები. ეს ძალზე დიდი სამუშაოა და მე საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობის თათბირზე ვიზიტის დამთავრების მეორე დღესვე განვაცხადე ამის შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრია კოზირევმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბორის პასტუხოვმა მითხრეს და მეც ეს ასევე მესმის, რომ წინ არანაკლებ დიდი, შეიძლება, უფრო დიდი მუშაობა მოგვიწევს ჩვენს სახელმწიფოებს შორის პრაქტიკული კავშირებისა და კონტაქტების კონკრეტული განვითარებისათვის.

— ბატონო ელჩო, რას იტყოდით გაეროს ეგიდით რუსეთის სამშვიდობო ძალების, ქართულ-აფხაზთა კონფლიქტში გამოყენების შესახებ, აგრეთვე, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში ასეთი ძალების შექმნის შესახებ?

— პრინციპული მორიგება რუსეთის სამშვიდობო ძალების ქართულ-აფხაზთა კონფლიქტის ზონაში გამოყენების შესახებ, მიღწეულია. ხელმოწერილია ორი სახელმწიფოს მეთაურის მიმართვა გაეროს გენერალური მდივნისადმი, რათა ამ სამშვიდობო ძალებმა იმოქმედონ გაეროს ეგიდით. რაც შეეხება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში სამშვიდობო ძალების შექმნას: თუმცა მე ვერ ვხედავ უშუალო კავშირს ამ ვიზიტსა და კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების, აგრეთვე, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში სამშვიდობო ძალების შექმნის შესაძლებლობას შორის, მაგრამ ის გარემოება, რომ ვიზიტის დროს ბევრი ითქვა რუსეთის ჯარების როგორც სამშვიდობო ძალების გამოყენების აუცილებლობის შესახებ, მაფიქრებინებს, რომ ეს ქმნის ხელსაყრელ ფონს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და კოლექტიური უშიშროების ფარგლებში სამშვიდობო ძალების შექმნის შესახებ საკითხის განსახილველად და გადასაწყვეტად. ის, რომ მიმდინარეობდა ამ საკითხის განხილვა, თავისთავად პოზიტიურ როლს თამაშობს.

როცა ვლაპარაკობთ საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების მოწესრიგებაში სამშვიდობო ძალების გამოყენების შესახებ, ძალზე მნიშვნელოვანია მხედველობაში გვქონდეს ის, რომ მას შემდეგ, რაც გაიმართა ბორის ელცინის ვიზიტი საქართველოში, როცა მიღწეულია მორიგებანი გაეროს ეგიდით, რუსეთის ჯარის მონაწილეობაზე სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში, როცა პრინციპულ ჭრილში იყო ნათქვამი კონფლიქტების მოგვარების აუცილებლობაზე, მსოფლიო საზოგადოებრიობას, აგრეთვე რუსეთში, არ შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ვიზიტი გამოყენებული იქნება საქართველოსა და რუსეთის გარკვეულ ძალთა მომსახურებისათვის, იმისათვის, რომ გააგრძელონ კონფლიქტები, სხვადასხვა სახის სამხედრო რევანშის აქციები.

— ბატონო ელჩო, „საქართველოს რესპუბლიკისათვის" ინტერვიუში 1993 წლის 6 აპრილს თქვენ დაადასტურეთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მჭიდროდ ინტეგრირებული ეკონომიკური კავშირების დანგრევამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა უკლებლივ ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, რომ აუცილებელია ეკონომიკური კავშირების ახალ საფუძველზე აღდგენა. თქვენის მხრივ აღნიშნეთ, რომ ეკონომიკური კავშირები უნდა აღდგეს უშუალოდ საწარმოთა დონეზეც და, რომ ამ მხრივ რუსეთის საელჩო არ იშურებს ძალისხმევას. თქვენთან საუბარში აღვნიშნე, რომ ამ მიმართულებით არ იყო სწორი მანეთის ზონიდან რესპუბლიკების განდევნის ხაზი. ახლა, როცა ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში ეკონომიკური კავშირის ხელმოწერის საკითხი დგას, როგორ უყურებთ თბილისში შეხვედრის შედეგებს და საქართველოს ერთიანი მანეთის ზონაში შესვლის საკითხს?

ელჩის აზრი

— მოხარული ვარ, რომ შემახსენეთ ჩემი იდეა სამეურნეო კავშირების აღდგენის აუცილებლობაზე საწარმოთა დონეზე; ამ ხაზს ყოველთვის ვატარებ ჩემს პრაქტიკულ საქმიანობაში, ამ ხაზმა თავისი ასახვა ჰპოვა ვიზიტის დროს. გაფართოებულ სხდომაზე, როცა დელეგაციებს ხელმძღვანელობდნენ ბორის ელცინი და ედუარდ შევარდნაძე, გამოვედი ეკონომიკური საკითხების განხილვისას. სხდომაზე ასე იყო: პაველ გრაჩოვი მოახსენებდა სამხედრო სფეროში მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ, ოლეგ სოსკოვეცი — ეკონომიკურ საკითხებზე, ანდრია კოზირევი — პოლიტიკურზე და ასე შემდეგ. ჩემთვის დიდად სასიამოვნოა ვთქვა, რომ ოლეგ სოსკოვეცმა, რომელიც რუსეთის პირველი ვიცე-პრემიერია, მაღალი შეფასება მისცა საქართველოს მხარის მზადყოფნას, მის მიზანსწრაფვას განავითაროს ეკონომიკური კავშირები, აღადგინოს გაწყვეტილი სამეურნეო ურთიერთობანი. რუსეთის მხარეს შესთავაზეს შესაძლებლობა გამოიყენონ საქართველოს საწარმოები რუსული ინვესტიციების დასაბანდებლად. ეს არის რკინიგზები, საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურები, სხვადასხვა დიდი ქარხნები, მაგალითად ნავთობგადამამუშავებელი და სხვები. ოლეგ სოსკოვეცმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს კონკრეტულ წინადადებებს, შეაფასა ისინი, როგორც ღრმად გააზრებული, რომლებიც, მიმართულია ორმხრივი ეკონომიკური კავშირების აღდგენისაკენ; ისინი შეესაბამება თანამედროვე კავშირების მოთხოვნებს (ვინაიდან მათში არის ახალი ელემენტები — ინვესტიციები, სახელმწიფო აქციების პაკეტი, წინადადება აზია-ევროპის სატრანსპორტო დერეფნის შესახებ საქართველოზე გავლით). ამრიგად, მოლაპარაკებებმა გვიჩვენა, რომ საქართველო ემზადება ეკონომიკურ საკითხებზე ასეთი მსჯელობისთვის. ამას კარგი რეზონანსი მოჰყვა.

რაც შეეხება მანეთის ზონას, ამ საკითხზე იმსჯელეს სახელმწიფო მეთაურებმა პირისპირ შეხვედრისას და, აგრეთვე, გაფართოებულ სხდომაზე, სადაც ბორის ნიკოლოზის ძე ამ საკითხზე ინფორმაციით გამოვიდა. მან აღნიშნა, რომ მორიგდნენ შექმნან ექსპერტთა სამუშაო ჯგუფები, საგულდაგულოდ შეისწავლონ, თუ რას მოუტანს ეს რუსეთსა და საქართველოს, ყველაფერი გულდაჯერებით აწონ-დაწონონ და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგნენ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებას. რასაკვირველია, საჭიროა ვხელმძღვანელობდეთ მსოფლიო ეკონომიკური ტენდენციებით, დასავლეთის ინტეგრაციული მაგალითით, როცა ევროპის კავშირი ერთი ვალუტისაკენ მიდის, ჩვენ კი ამ დროს, ჩვენი ადრინდელი ერთი ვალუტა ეროვნულ ვალუტებად დავანაწილეთ და ყველა ცალ-ცალკე ვიბრძვით და უზარმაზარ პრობლემებს ვაწყდებით. საჭიროა ამ მაგალითით ვხელმძღვანელობდეთ. იყო ჩვენთვის გაუთვალისწინებელი ამბები, რაც სასარგებლო იყო, შეიძლებოდა მისი შენარჩუნება, მაგრამ ახლა, როგორც იტყვიან, მატარებელი უკვე წავიდა და მიღებულმა ღონისძიებებმა, ისე დაგვაცალკევა, რომ ამჟამად უკვე შეუძლებელია ავტომატურად ყველაფერი ამის ძველ დონეზე აღდგენა, საკითხი ერთიანი მანეთის ზონის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე რთულია. იგი მოითხოვს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მთელი ერის მხრივ, პოლიტიკური არჩევანის გაკეთებას, შემდგომ საგულდაგულო მოლაპარაკებას, გააზრებას, თუ რას მოუტანს ეს თითოეულ სახელმწიფოს. იგი მოითხოვს ეკონომიკური რეფორმების განხორციელების მაღალი ხარისხით სინქრონიზებას, ერთობლივ ხაზს საგარეო პოლიტიკის სფეროში. მოკლედ რომ ვთქვათ, ამაში არის ელემენტები, როცა ერთიანი მანეთის ზონისათვის საჭირო იქნება სუვერენული სამუშაოების დელეგირება, კერძოდ, ფულის ემისიის საკითხში და ასე შემდეგ. ესე იგი, ეს მოითხოვს გარკვეულ პოლიტიკურ ნაბიჯებს. ეს არ არის სუფთა ეკონომიკური საკითხი. მოლაპარაკებამ ბელარუსში ეს განსაკუთრებული სიცხადით წარმოაჩინა. ამიტომ იმედი უნდა გვქონდეს უკეთესი პერსპექტივისა, მაგრამ საჭიროა შვიდჯერ გაზომვა.

მართალია, ევროპის კავშირი ამჟამად ჩვენზე სწრაფად მიიწევს წინ, მაგრამ ისინი ამისაკენ მიდიან ათეული წლები, დაწყებული 1957 წლიდან. მართალია, საბჭოთა კავშირი მჭიდროდ ინტეგრირებული ეკონომიკური სივრცე იყო, მაგრამ ახლა, ბევრი რამის დაბრუნება ადრინდელ დონეზე, ეკონომიკური თვალსაზრისით, უკვე შეუძლებელია, მით უმეტეს ძველ საფუძველზე. ამიტომ, როგორც მოლაპარაკებაზე ითქვა, და ეს სოსკოვეცმაც აღნიშნა, საჭიროა ამ კავშირების განახლება ახლებურ საფუძვლებზე.

— ბატონო ელჩო, რას იტყოდით რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატის, სახელმწიფო სათათბიროს ყველა ფრაქციის (გარდა „12 დეკემბრის" ჯგუფისა, რომელიც ფრაქციაც არ არის) ლიდერების ნეგატიური რეაქციის შესახებ საქართველო-რუსეთის დიდი ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, ხომ არ მძლავრობს სათათბიროში, ასე ვთქვათ, სელექციური მიდგომა ყოფილი საბჭოთა კავშირის ცალკეულ რესპუბლიკებთან სახელშეკრულებო კავშირების დადგენის სფეროში? საიდუმლო არ არის, რომ ზოგი რესპუბლიკა ერთმანეთს აგრესიასა და ტერიტორიულ მიტაცებაში ადანაშაულებს, მაგრამ მათთან ხელშეკრულებები იდება. და ახლა, როცა ხელმოწერილია დიდმნიშვნელოვანი, პერსპექტიული ხასიათის, არა მარტო ორმხრივ სასარგებლო ხელშეკრულება, ასეთი, რომ იტყვიან, „ერთსულოვანი" ნეგატიური რეაქცია, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია...

— ჯერ ერთი, ჩვენს პარლამენტს, ისევე როგორც თქვენს პარლამენტს, [illegible] შორის იმაზე, არის თუ არა მი-[illegible] საქართველოში ვიზიტი. [illegible] პარლამენტის [illegible] ფრაქციები ჯერ კიდევ ვიზიტამდე, ამ ვიზიტის წინააღმდეგი იყო. მიუხედავად ამისა, ბორის ნიკოლოზის ძე ჩამოვიდა. ეს ძირითადი ფრაქციები გამოდიან ამ ხელშეკრულების ხელმოწერის წინააღმდეგ. მაგრამ ბორის ნიკოლოზის ძემ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ბორის ნიკოლოზის ძის ვიზიტი შეესაბამება რუსეთის უმაღლეს სახელმწიფო ინტერესებს, რომლის [illegible]სიც ის არის, რომ ჰქონდეს ურთიერთობა ძლიერ, აყვავებულ, ერთიან, ტერიტორიულად მთლიან, სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკასთან, რათა რუსეთს თავის სამხრეთ საზღვრებთან არ ჰყავდეს სახელმწიფო, რომელსაც გლეჯს წინააღმდეგობანი, სადაც გამუდმებით მიმდინარეობს შეიარაღებული კონფლიქტები. ასეთია რუსეთის სახელმწიფოებრივი მიდგომა, მისი სახელმწიფო-პოლიტიკური ხაზი და ამის შესაბამისად ჩამოვიდა აქ პრეზიდენტი ელცინი. მან თავის პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ნებისმიერ ხელშეკრულებაზე, რომლის რატიფიკაცია უნდა მოხდეს, მრავალგზის მსჯელობენ. მე, მაგალითად, ვიცი, რომ ხელშეკრულება სომხეთთან და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოსთან, რამდენჯერმე განიხილა უზენაესმა საბჭომ და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო. ზოგი ხელშეკრულების რატიფიკაცია კი სწრაფად ხდება. ერთ-ერთ ინტერვიუში განვაცხადე, საჭიროა იმით ვიხელმძღვანელოთ, რომ ურთიერთობა განვითარდება, ვითარება თანდათან გაუმჯობესდება-მეთქი. ამის იმედი უნდა გვქონდეს, ამ იმედით უნდა ვმუშაობდეთ. დადგება დრო, როცა იმსჯელებენ და მოახდენენ ამ ხელშეკრულების რატიფიკაციას. ჩემი აზრით, ასეთი ურთიერთობის გაგების აუცილებლობამდე სახელმწიფო სათათბირო — ჩვენი პარლამენტიც მივა. და კარგი შედეგის იმედიც უნდა გვქონდეს. ახლა უნდა ვეცადოთ, რომ ის, რაც ჩადებულია ამ ხელშეკრულებაში, რეალურად მოქმედებდეს, რეალურად ხორციელდებოდეს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობაში, და მაშინ გამოჩნდება მისი რატიფიკაციის პოლიტიკური, პრაქტიკული მიზანშეწონილობა. მაგრამ ამისთვის საჭიროა ბევრი რამის გაკეთება კონფლიქტების მოსაწესრიგებლად, მდგომარეობის საერთო სტაბილიზაციისათვის საქართველოსა და კავკასიაში. ჩემი აზრით, ამ ვიზიტმა პოლიტიკური საფუძვლები ჩაუყარა სტაბილიზაციას მთლიანად კავკასიის რეგიონსა და საქართველოში. და საქართველოს აქ შეუძლია შეასრულოს თავისი დიდი როლი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მე [illegible] მეს ასე ვხედავ: რატიფი[illegible] საკითხი, მისი ცხოვრებ[illegible] რება ის საკითხია, რომ [illegible] ვისთავად კი არა [illegible] პოლიტიკური პირ[illegible] პოლიტიკური ბრძოლ[illegible] წყდება. საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა მისი რატიფიკაციისათვის, და თუ ჩვენ მოვინდომებთ — საქართველო და რუსეთის მხარე, დაბრკოლება დაძლეული იქნება.

— დიდ მადლობას გიხდით, ბატონო ელჩო, ესოდენ ვრცელი და საინტერესო საუბრისათვის.

გალავანი

2. ჩამოირეკა ზამთრის ზარები

კახეთის რეგიონული თათბირი, როგორც ვთქვით, 18 თებერვალს გაიმართა გურჯაანის ღვინის ქარხნის სხდომათა დარბაზში, პირდაპირ საწარმოში.

არ ვიცი, საიდან დაიწყეს ათვლა, მაგრამ მეშვიდე შეკრებაა, გამოაცხადეს.

მაშ, მეშვიდე შეკრებაზე ვართ.

საერთო პრობლემები — ელექტროენერგიის, პურის ფქვილის უქონლობა, უმძიმესი კრიმინოგენური ვითარება ყველა გამოსვლაში მეორდება. ყველას კიდევ თავ-თავისი სატკივარი აქვს და დახმარებას ყველა მთავრობას სთხოვს.

მაგრამ ეს მოთხოვნა არ იყო ულტიმატუმი შემთხვევისა გამო, უფრო — საქმიანი წინადადებების შეთავაზება, ან მიპატიჟება გამოსავლის ერთობლივად მოსაძებნად.

უმეტესთა შესახებ მოვახსენებთ, ყველაზე არა, რადგან ზოგიერთი მოადგილეობისა გამო, გამგებლის ნაცვლად ავიდა „ეშაფოტზე".

ერთ-ერთი მთავარი საკითხი საგაზაფხულო სამუშაოებისათვის სახელმწიფო სესხის გამოყოფა იყო. გადადება არ ეგებისო.

— მიწა მოუხნავია, ვერ ვამუშავებთ ტექნიკას, არა გვაქვს საწვავი, შერამდენე წელიწადია, სასუქი არ შეგვიტანია, მიწა იფიტება. საწვავის, სასუქის, შხამქიმიკატებისთვის გვჭირდება ფული. ძალიან ხელმოჭერილად ვიანგარიშეთ და 370 მილიარდამდე კუპონი მაინც უნდა გამოვეყოს. არ ვიცი, პარლამენტში რა ციფრები უდევთ, რატომ ჭიანურდება ამ საკითხის გადაწყვეტა, მაგრამ დრო რომ არ ითმენს, ნამდვილად ვიცი, — თქვა **საგარეჯოს რაიონის გამგებელმა ლადო მარხვაშვილმა.**

ნიაზ ჯეირანაშვილი, გურჯაანის რაიონის გამგებელი, ოქროს კვეთის კუთხით უყურებს იმავე პრობლემას:

— ეროვნული ბანკი კრედიტების ამ სახით გაცემის წინააღმდეგი რომ არის, ბანკის პოზიციიდან მართალია. პარლამენტსაც თავისი არგუმენტები აქვს. მაგრამ, თუ სოფელი ფეხზე არ წამოვაყენეთ, მაშინ არც ბანკი იქნება და არც ხალხი.

ქალაქი ველარ კვებავს მოსახლეობას, არ მუშაობს საწარმოები, მატერიალური დოვლათი არ იქმნება. დაიწყო თბილისიდან მოსახლეობის „გადინების" სერიოზული პროცესი, — სოფელს უბრუნდება ხალხი, სპონტანურად, სტიქიურად, მთავრობის სათანადო სტრუქტურებმა დროულად უნდა გააანალიზონ ეს ახალი ტენდენცია და შეიმუშაონ შესაბამისი ღონისძიებები ამ სამუშაო ძალის დასაქმების, მისთვის სოციალური და ეკონომიკური პირობების შესაქმნელად.

ღვინო — სტრატეგიული პროდუქტი, ვალების გასტუმრების უმთავრესი წყარო. დაზუსტდა, ჩემო ბატონო, ეს წყარო. იმიტომ კი არა, რომ დაშრიტა, საოცრებას გეტყვით, — იმიტომ, რომ არის და საკმაოდ ბევრიც არის.

დევს უძრავად ამხელა ქონება და ასე იქნება, სანამ, როგორც ეჭვობენ, შინნაზარდი მაფია არ იტყვის — გაიყიდოს! ფირმებისა თუ კოოპერატივების მიერ ნაყიდი ეს პროდუქცია სახელმწიფო ღვინოსაცავებში ინახება. არც გაიტანენ, სანამ ბაზარზე ისე არ გაძვირდება, რომ მათი პატრონების მადას დიდ მოგებაზე არ დააკმაყოფილებს.

აი, ასე ფიქრობენ და ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობისთვის ისინი, ვისაც ქვეყნის ბედი უნდა ჩავაბაროთ ახალი ეკონომიკური ურთიერთობების დროს. ბიზნესი სინდისიანმა ხალხმა უნდა აკეთოს, — ალტრუისტულ ლოზუნგად რჩება. სამაგიეროდ „მუშაობს" სხვა მოწოდება: — მაფიის საქმიანობისათვის საბრძოლველად იყავით მზად!

— მზად ვართ!

ეს ერთი.

მეორე. ღვინომასალა ქარხნებში არის და ვერ ამუშავებენ, რადგან ზოგან — როგორც, მაგალითად, აკურის ღვინის ქარხანაში, რამდენიმე წელიწადია, ვერ უშოვიათ ფილტრები, არც ელექტროენერგია აქვთ. **(დავით სავანელი, თელავის რაიონის გამგებელი).**

და მესამე. ღვინის პროდუქცია გასატანად გამზადებულია და ცისტერნების უქონლობის გამო ადგილზე რჩება.

— თითო ცისტერნის შოვნას 5 მილიონი მანეთი „ვერხი" სჭირდება, — რეპლიკა დარბაზიდან.

პრემიერ-მინისტრმა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, გენერალ-მაიორ დემურ მიქაძეს პერსონალურად დაავალა ამ არეულ საქმეში გარკვევა და ობიექტური ინფორმაციის პირადად მისთვის მოხსენება, თუ კონკრეტულად ვისი მიზეზით არის გამოწვეული ასეთი ანარქია.

დაიმშაო კახეთი, ვიღაცამ თქვა: უსინათლობას მივეჩვიეთ, ახლა უპურობას გვაჩვევენო.

მშიერი კახეთი?!

უჭირთ, რა თქმა უნდა, ზოგჯერ — ძალიანაც, მაგრამ დამბლა არ დასცემიათ, დროზე ადრე არ ჩაწოლილან საფლავებში.

უსინათლობაო?

ასეა. მაგრამ:

ვეჯინში ომისდროინდელი პატარა ჰესი ვალიკო მჭედლიშვილმა იჯარით აიღო, გამართა, ამუშავებს და სამი სოფელი — თავად ვეჯინი, კოლაგი და ბაკურციხე ისეა გაჩირაღდნებული, როგორც „ენერგოკრიზისამდელ ეპოქაში".

ყვარლის რაიონში ინწობაჰესის მშენებლობის სამუშაოების დამთავრებას სამაისოდ აპირებენ, მეორის მშენებლობა მდინარე ჩელთზე უკვე დაიწყეს.

საკუთარი ჰიდროელექტროსადგურის აგებას აპირებენ თელავის რაიონშიც, მილები უკვე შეიძინეს, და თუ ტემპი შეინარჩუნეს, წლის ბოლომდე საკუთარი 15 მეგავატი ექნებათ. ცოტაა? ცდილობენ თავიანთ ენერგეტიკულ კრიზისს თვითონვე მოუარონ და ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

თითქოს დიდი არაფერი, მაგრამ იმავე რაიონში მოახერხეს და 50 ტონა ღვინომასალა მედიკამენტებზე, შესაზავევ მასალებზე გაცვალეს. თელავის საავადმყოფო ნებისმიერ თბილისურზე უფრო უზრუნველყოფილი დღეს.

დედოფლისწყაროსა და რესპუბლიკის რკინიგზის დეპარტამენტის ერთობლივი ძალისხმევით ერთი კვირაა თბომავალი რამდენიმე სამგზავრო ვაგონით თბილისსა და რაიონის ცენტრს შორის დადის,

და ასე შემდეგ.

არ იყო ეს გამარჯვებულთა პატაკები პარტიას და ხელისუფლებას. საქმიანმა ხალხმა საქმე გააკეთა, სოფელს შეეხიდნენ და ეგებ ერთი-ორი მარცვალი სამომავლოდაც ჩააგდეს.

დამოუკიდებლად მუშაობას სწავლობენ ამ გაძნელებულ პირობებში, სხვას ხელებში არ შესცქერიან და არც არავის შეხციცინებენ თვალებში — რამე ხომ არ გაწყენინეთო.

რა თქმა უნდა, ის ურთიერთობები — სამეურნეო, ეკონომიკური, რომელთაც ამყარებენ, ჯერ კიდევ არ არის საბაზრო ეკონომიკა, მაგრამ... მაგრამ ეგებ, ჩამოვიდეს ვინმე ჩვენებური და ახწავლოს, აი, მე რასაც ვაკეთებ, — ის არისო. კონკრეტიკას ვგულისხმობ, არა პერსპექტივის „ბრწყინვალე მწვერვალებს": „იმ ფერმა დემწიხლოსო", ასეა და...

შეიძლება ზედახ ფათურით მიდიან? არა მგონია. თუმცა, ზოგჯერ იქნებ ასეც იყოს. მაგრამ არ დგანან, და გზასაც კარგად აგნებენ, არ მიჰყვებიან ჯოხის კაკუნს.

აქვთ სერიოზული წინადადებები, რომლებიც, ვთქვათ აზე, 18 თებერვლის შეკრებაზე მთავრობაზე მოხინჯეს.

მაგალითად, სახელმწიფოსთვის მიყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფულით ანაზღაურება ყოველთვის ჭირდა და ჭირს. იქნებ ამის ნაცვლად ნატურით, ვთქვათ, პურის ფქვილით ანაზღაურებაზე სამთავითვე ვიფიქროთ, გადავწყვიტოთ და ხალხსაც ახლავე ვაცნობოთო. **(დავით სავანელი).**

ან: სოფლის მეურნეობის შესაბამისმა სამინისტრომ უნდა მოუაროს და არა თავდაცვის სამინისტრომ. ამიტომ ის მეურნეობები, რომლებიც სამხედროებს გადასცეს და ჩანაგდება, რაიონებს დავუბრუნოთო. **(ლადო მარხვაშვილი).**

ან კიდევ: მოსახლეობისათვის მიწის ნაკვეთების შევსებას პრივატიზაცია დავარქვით. თუ ასე გაგრძელდა, 2-3 წელიწადში ყველაფერი დაგვემწვრევაო. ამის პასუხად გურჯაანის რაიონის გამგებელმა ნიაზ ჯეირანაშვილმა მიწის რენტის შემოღების საკითხი დააყენა.

ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ ცალუღელგაწეული პრივატიზაცია (მიწის დარიგება) სხვა არაფრით იყო გამაგრებული და ამიტომ არის, რომ გლეხი — მიწის პატრონი და ქვეყნის მარჩენალი ისევ მომავალშია გადანაცვლებული; დღეს კერძო სექტორში მიწას საერთოდ ვერ ამუშავებენ — არა აქვთ არც საწვავი, არც სასუქი, არც შხამ-ქიმიკატები. **(თამაზ იმედაშვილი, ყვარლის რაიონის გამგებელი).**

ერთი სიტყვით, საფიქრალი ბევრია, გადასაწყვეტი და მოსაგვარებელი უფრო მეტი, მაგრამ კახეთში ისეთი ხალხია, თუ მოჰკიდა საქმეს ხელი, გაუკეთებელს გააკეთებს, მთავრობაც თუ დაეხმარება, — მით უფრო.

თათბირის მუშაობის შეჯამებისას ბატონმა ოთარ ფაცაციამ ილაპარაკა რესპუბლიკაში შექმნილი უმძიმესი კრიტიკული სიტუაციის, მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ, იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც მთავრობა განახორციელებს მათ დასაძლევად.

პრემიერ-მინისტრმა დიდი მადლობა გადაუხადა კახეთის რაიონის მშრომელ მოსახლეობას, ახალგაზრდობას აფხაზეთის ომში გამოჩენილი გმირობისა და თავდადებისათვის, სამშობლოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობის საქმის ერთგულებისათვის, მხარდაჭერისთვის, უდიდესი გაჭირვების ჟამს რომ გამოიჩინეს თანამოძმეთა მიმართ, რისი მოწმეც პრემიერი თავად იყო, იმ სიმტკიცისა და სულიერი გაუტეხელობისთვის, რომელსაც ამჟამინდელი კრიზისის დროს იჩენენ.

ბატონმა ოთარ ფაცაციამ მხარი დაუჭირა თათბირზე წამოყენებულ წინადადებებს, შესთავაზა მათი რეალიზაციის ოპტიმალური გზები და, საერთოდ, შეხვედრის ეს ნაწილი იმ საქმიანი კალაპოტით წარიმართა, სადაც საკითხების დაკონკრეტება, დავალებების შემსრულებელთა პერსონიფიცირება, შესრულების ვადების სიზუსტე და, საერთოდ, ციფრების სიუხვე პროფესიონალების გარდა სხვათათვის ცოტა ძნელი გასაგები და აღსაქმელია. თუმცა, სწორედ ასეთი პრაგმატიზმია იმის გარანტი, რომ მომრავლებულ თეთრხელთათმანიან მზრუნველთა უსაგნო პროექტებით გაწამებულ ქვეყანაში რაღაც პრაქტიკული, ხელშესახები საქმე მაინც გაკეთდება.

• • •

დაღამდა 18 თებერვალიც. ყინულის სტალაქტიტებზე ზამთრის ზარები ჩამორეკა ჩამომვლელმა.

ცაზე წუხანდელივით ეკიდა მცხრალი მთვარე — ჰორიზონტების უსასრულობაში ტრიალით ალესილი იატაგანი, გაცვეთილი და გალეული, როგორც ხალხის მოთმინება.

გალავნად ერტყა კახეთი საქართველოს სიმშვიდეს, კახეთი — საქართველოს ფალავანი.

პოსტსკრიპტუმის

ნაცვლად

გასულ შაბათამდე ოთხი დღე, და — კიდევ ორი წინა კვირისა, „საქართველოს რესპუბლიკა" არ გამოსულა, არ იყო ელექტროენერგია, — ჩვენთვის.

სამაგიეროდ, გამოვიდა ყველა სხვა გაზეთი, ან თითქმის ყველა. ზოგიერთ ამ გამოცემაში ინკოგნიტო თუ პერსონიფიცირებული ავტორები ისეთი გაფთრებით დაესხნენ თავს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, როგორც თავის დროზე „როსტა" თომას ვუდრო ვილსონს, ამერიკის 28-ე პრეზიდენტს, ანტისაბჭოთა კომპანიის ინიციატორს. ბატონ ოთარ ფაცაციასთან ამ თემაზე საუბარი პროფესიული აუცილებლობა გახდა.

როგორც კი საშუალება მოგვეცა (პრემიერი კახეთის შემდეგ სასწრაფოდ გაფრინდა ერევანში, შემდეგ — ბაქოში, შემდეგ — ფოთში, ზუგდიდსა და სენაკშიც ჩავიდა ისეთი მწვავე საკითხების მოსაგვარებლად, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის კრიზისის შენელებასთან იყო დაკავშირებული), შევხვდით და მისი რეაქციით დავინტერესდით.

პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ამ პუბლიკაციებს იგი საკმაოდ მშვიდად შეხვდა და შეეცადა კიდეც რაიმე რაციონალური მოეძებნა მათში, რაც, სამწუხაროდ, ვერ აღმოაჩინა. სამაგიეროდ, ბევრი პარალელი იპოვა ახლო წარსულის იარლიყების მიწებების პრაქტიკასთან.

მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აქამდეც ბევრი ცდილობდა მინისტრთა კაბინეტი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოდან სადისკუსიო კლუბად ექცია და, ეს რომ ვერ შეძლეს, ახლა მისი ამოგდება საქმიანი კალაპოტიდან ამგვარი კამპანიების მოწყობით სურთ. საკითხები, რომლებიც სადავოდ სურთ გამოიტანონ — პრემიერ-მინისტრის დამოკიდებულება საბაზრო ეკონომიკისა და ეკონომიკური რეფორმებისადმი, ჩვენს ქვეყანაში ახალი ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების გზებისა და საშუალებებისადმი, ამ საქმეში მინისტრთა კაბინეტის როლისადმი, ჩამოყალიბებულია მოხსენებაში, რომელიც მან წარუდგინა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გაფართოებულ სხდომას 1994 წლის 9 თებერვალს და რომელიც საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა იყოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" პუბლიკაციით („ქვეყნის მომავალი რეფორმების განხორციელებასა და ეკონომიკის გამოცოცხლებაზეა დამოკიდებული", („სრ" № 28, 1994 წლის 12 თებერვალი). ზოგიერთი „ეკონომიკური ექსპერტის" მოსაზრებები, რომლებიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, პრემიერის აზრით, არ არის მინისტრთა კაბინეტის რეალისტური პოლიტიკის ობიექტური ანალიზი, სამწუხაროდ, კატეგორიული, დაუსაბუთებელი და აშკარა მიკერძოების ბეჭედდასმული ოპუსებია.

— საბაზრო ეკონომიკის მოწინააღმდეგედ ჩემი გამოყვანა რომ სურს ზოგიერთს, — თქვა ამასთან დაკავშირებით პრემიერმა, — ვურჩევდი ჩავიდნენ ზუგდიდში, გაეცნონ ენგურქაღალდკომბინატის საქმიანობას, მის ისტორიას და დარწმუნდებიან, რომ ჯერ კიდევ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში სწორედ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით ვმუშაობდით და არარაობიდან დარგი შევქმენით რესპუბლიკაში.

პრემიერ-მინისტრს მიაჩნია, რომ არ შეიძლება სერიოზულად ეკამათო იმას, ვისაც სურს „ლაფსუს ლინგვა" კონცეპტუალური დისკუსიის საგანი გახადოს, ან ისეთი აზრები მიაწეროს ოპონენტს, რომლებიც თავად ამ ოპონენტის პოზიციას პრინციპულად ეწინააღმდეგება, აბრალებს მას პასეიზმს; პარტიაზე, კომუნისტებზე დაწერილი ლექსების კარგად დამახსოვრებული სტროფების ციტირება, ღვარძლიანი ქვეტექსტები, ეთიკის ელემენტარული ნორმების უგულებელყოფა „ახალ პუბლიცისტიკად" სურს გაასაღოს.

მაშინ, როცა საქართველოში ექსტრემალურმა სიტუაციამ კატასტროფულ ზღვარს მიაღწია, როცა არა მარტო თითოეული დღე, თითოეული საათიც კი შეიძლება გადამწყვეტი იყოს, მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელის მოცდენა უმწვავესი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების პრაქტიკულად გადაწყვეტისაგან და სადისკუსიო მარათონში ჩაბმა, ხალხისთვის გაუგებარი იქნება. ბატონი ოთარ ფაცაცია ფიქრობს, პრაქტიკოსებისთვის მაინც, დღეს არგუმენტების ომის დრო არ არის, როგორც კი გადავიტანთ კრიზისულ სიტუაციას (სწამს, რომ ხელისუფლება და მთავრობა შეძლებს ამის გაკეთებას), შეეცდება საჯაროდ უპასუხოს პუბლიკაციათა ავტორებს, თუმცა ისიც თქვა, რომ ზოგიერთი მომენტი ამ ნაწერებში იმდენად ცილისმწამებლური და პიროვნული ღირსების შემლახავია, რომ სასამართლოს სხდომის განსჯას უფრო შეეფერდებოდა.

— გასულ შაბათს, — თქვა დასასრულს პრემიერმა, — საშუალება მომეცა შევხვედროდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ-მასწავლებლებს, ძალიან საინტერესო და სასარგებლო საუბარი გაიმართა. მიმაჩნია, რომ ეს იყო შეხვედრა ჭეშმარიტ საქართველოსთან, და ჩემთვის ესაა მთავარი.

ამღვრეული წყალი კი ჩაიცლის და დაიწმინდება.

არმაზ სანებლიძე.

პოზიცია

დავფიქრდეთ...

უკვე მერამდენედ, მთელი მსოფლიოს თვალწინ, ფაშისტური შეუბრალებლობითა და ცინიზმით აფხაზეთში იჟლიტება და იდევნება ქართული მოსახლეობა, უკვე მერამდენედ, საქართველოს ხელისუფლება მიმართავს ყველას დახმარების სასოწარკვეთილი მუდარით, მაგრამ რეალური დახმარება არსაიდან ჩანს... არავის არ სურს თავისი შვილები საქართველოს ინტერესებს ანაცვალოს, არავის სურს რუსეთს დაუპირისპირდეს საქართველოს გამო, რადგან გავლენის სფეროები განაწილებულია, რუსეთიც მომძლავრდა და ევროპიდან თუ ავღანეთიდან გამოსული ათასობით ჯარისკაცი შერცხვენილი ჯარისა, სულაც არ იტყვის უარს მდიდარ ევროპასა და ამერიკას შეესიოს.

მოკლედ, არავის სურს საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები ანაცვალოს საქართველოს ინტერესებს.

ასე რომ, გვინდა თუ არა გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, რუსებს უნდა მოველაპარაკოთ, რუსებთან თანაბარი თანამშრომლობა უნდა ვისწავლოთ, ზოგი რამ დავიწყებული გავიხსენოთ, ზოგ რამეს ახლა დავარქვათ სახელი და ზოგ რამეზეც ახლავე შევთანხმდეთ.

ხვნაში უნდა გარიგდე, რომ მკაში ჩხუბი არ მოგივიდეს.

ეს ყოველივე, რომ გაგვეთავისებინა, ის, რაც აფხაზეთსა და შიდა ქართლში გვჭირს, არ გვეჭირვებოდა.

ბოლოს და ბოლოს რას აძლევენ აფხაზები რუსეთს ისეთს, ჩვენ რომ ვერ მივცეთ?

ჩვენ აქ საბედისწერო შეცდომები დავუშვით, ბოლო ტრაგიკული შეცდომა კი ის იყო, სოხუმის დაცემის წინ ქართულმა მხარემ უარი რომ თქვა რუსეთის სამშვიდობო დივიზიის შემოსვლაზე სოხუმში. ეს რომ არა, არც ასეთი მსხვერპლი გვექნებოდა და არც ტერიტორიას დავკარგავდით ამ ეტაპზე.

ზუსტად უნდა გაირკვეს, რატომ მოხდა ყოველივე.

ისევე, როგორც ზუსტად უნდა გაირკვეს აფხაზეთის ომის ყველა პერიპეტია, მისი დაწყებითა და ტრაგიკული დამარცხებებით დამთავრებული.

ეს უნდა გაირკვეს ყველასთვის, მკვდრებისთვისაც და ცოცხლებისთვისაც და მათთვისაც, ვინც ჯერ არ დაბადებულა.

უკვე მერამდენედ, ჩვენი სისხლიანი ისტორიის მანძილზე...

გვპირდებიან და გვატყუებენ, ვენდობით და ვტყუვდებით, იმედი გვებადება და იმედი გვიქრება...

რა ვქნათ, რა ვიღონოთ, როცა ევროპისა და აზიის დაპირისპირების გადაუწყვეტელი დილემა ისევ მთელი სიმწვავით წამოიჭრა ჩვენს წინაშე, როდესაც აფხაზეთსა თუ შიდა ქართლში დღესაც ვერ დაგვიცავს ჩვენი თანამოძმე, როდესაც ლეკიანობა ისევ რეალობად გვექცა, როცა დედაწულს ისევ გვიხოცავენ, როდესაც უმეობისგან [illegible] არჩევანი აღარ იყო, ოღონდ გაექცე ამ მწარე სინამდვილეს — [illegible], ღალატს, ერის შეურაცხყოფას, ყაჩაღობას, უმადურობას, ძალადობას...

მერამდენედ ჩვენი ისტორიის მანძილზე, მერამდენედ...

მერამდენედ უნდა წყდებოდეს ჩვენი ბედი სხვაგან და სხვაგან, მერამდენედ ვართ არჩევანში შეზღუდულნი და მერამდენედ — პოეტური და მითოლოგიური აზროვნების დონეზე გვსურს გადავწყვიტოთ ჩვენი სახელმწიფოს, თავად ჩვენი თუ ჩვენი შთამომავლობის ბედი.

იქნებ, ჩვენი ბუნების საწინააღმდეგოდ გავხდეთ პრაგმატისტები, აფთიაქის სასწორით ავწონოთ ყველაფერი და ჭიანჭველის სიბეჯითითა და გამძლეობით ვზიდოთ ჩვენი ტვირთი.

• • •

ერის ბრძოლა არსებობისათვის მისი ისტორიის მანძილზე გრძელდება და ესა თუ ის მარცხი თუ ყოველი ჩვენგანისთვის ხშირად დასასრულია ყოველივესი, ერის არსებობის თვალსაზრისით იგი, მხოლოდ ერთი წაგებული ბრძოლაა და მეტი არაფერი.

სწორედ ამ პოზიციებიდან უნდა განვასხვავოთ — პიროვნული დრო და ისტორიული დრო, პიროვნული სივრცე და საქვეყნო სივრცე, პიროვნული ინტერესები და საქვეყნო ინტერესები.

აქ ხშირად წინააღმდეგობა იჩენს თავს და იგი მხოლოდ საქვეყნო გადასახედიდან უნდა გადაიჭრას, პიროვნული ემოციებისა და ინტერესების გარეშე.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასაც, მე ვფიქრობ, ამ ისტორიულ ასპექტში უნდა შევხედოთ. ასეთივე კუთხით უნდა შევაფასოთ რუსეთის პრეზიდენტის ის ვიზიტიც საქართველოში, რომელიც სამ თებერვალს შედგა, ვიზიტისა, რომლის ექო ჯერ კიდევ ისმის, როგორც იქ, რუსეთში, ისე აქ, საქართველოში და შორეულ თუ ახლობელ უცხოეთშიც.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა არაა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ეს არც კავკასიის პრობლემაა მხოლოდ, რადგან, სანამ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ვერ მოგვარდება, მსოფლიო მშვიდად ვერ იძინებს.

მთელი რიგი პრობლემებია აქ გადასაწყვეტი და მთელი რიგი საკითხები გადასაჭრელი — ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, სამხედრო...

რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დადებას ჩვენ დამარცხებული ქვეყნის როლში შევხვდით, თუმცაღა, სუბიექტურად, ბევრი ჩვენგანი ისევ იმ მოთხოვნების ტყვეობაშია ადრე, გამარჯვებული ქვეყნის მოთხოვნებად რომ ჩამოყალიბდა, და ვერ გრძნობს, რომ გარეთ 1994 წელია და არა 1991.

ჩვენ სამი წლის წინათ რომ ვყოფილიყავით მზად ამ ხელშეკრულების დასადებად, ალბათ ხელშეკრულებაც სხვაგვარი იქნებოდა და მდგომარეობაც ჩვენთან სხვაგვარი; რაც გვჭირს აფხაზეთსა და შიდა ქართლში, ის აღარ გვეჭირვებოდა, არც ეკონომიკა გვექნებოდა ასე განადგურებული, არც მეცნიერება დაქვეითებული, ხელოვნება დაღუპვის პირას მისული და ქვეყანა გაძარცული.

მეტად მძიმე დღეში ვართ.

აფხაზეთსა და შიდა ქართლის დიდ ნაწილში ჩვენი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება ვერ ხორციელდება, სულ ახლახან, ვერ აკონტროლებდა სახელმწიფო სიტუაციას სამეგრელოში, ფეთქებადი სიტუაცია იყო ქვემო ქართლში...

საქართველოს დიდ ნაწილში დღესაც გრძელდება სისხლიანი დევნა ქართველებისა, მოსახლეობის ეთნიკური წმენდა...

მოკლედ, რასაც შეგვპირდა ექსპრეზიდენტი, თუ მე არ ვიქნები პრეზიდენტად ნაწილ-ნაწილ დაიშლება საქართველო და ბანდიტები შეესევიან ქვეყანასო, თითქმის ბოლომდე აგვიხდა, ერთის გამოკლებით... რღვევისა და დაშლის პროცესი საქართველოში მაინც შეჩერდა, ბანდიტიზმმაც ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იკლო... თუ გაძარცული ეკონომიკაც ნელნელა გასწორდება წელში, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ გადავრჩით...

ახლა ლაპარაკი მხოლოდ ჩვენს გადარჩენაზეა — ფიზიკურ გადარჩენაზე...

გადავურჩით შიმშილით სიკვდილს, გადავურჩით ტერიტორიების დაკარგვას, გადავურჩით, საქართველოს ქართველთაგან დაცარიელებას.

ამბობენ, ნახევარმა მილიონმა ქართველმა უკვე დატოვა საქართველო, აფხაზეთსა და შიდა ქართლს გარდა, სხვა კუთხეებსაც დაადგეს თვალი „კეთილმა" მეზობლებმა; შიმშილმა მარტო ყოველი ჩვენგანის ოჯახში კი არ შემოაბიჯა, იგი ჩვენსავე ხვალინდელ დღესაც ემუქრება, რადგან ყმაწვილისა და მოზარდის ორგანიზმში შიმშილი შეუქცევად ფიზიკურ და გონებრივ ცვლილებებს იწვევს.

რამ მიგვიყვანა აქამდე?

გარე თუ შიდა მტერმა, მტრის ჭკუამ და ჩვენმა უჭკუობამ.

მაგრამ ქვეყანა, ერთი კაცის გამო რომ შუაზე გაიყოფა და ერთი ოჯახის წევრები ერთმანეთს პოლიტიკის გამო გასაჟლეტად გაიმეტებენ, მეტის ღირსია.

ქვეყანა, სადაც ქალიან-კაციანა, ოჯახიანა ძარცვავენ საკუთარ სახელმწიფოს, მეტის ღირსია.

ქვეყანა, რომლის ჯარიც მოსახლეობით სავსე საკუთარი ქალაქებიდან გამორბის და მტერს უტოვებს საჯიჯგნად, მეტის ღირსია.

ქვეყანა, სადაც ბარისა და ნიჩბის ნაცვლად ავტომატით შოულობენ სარჩო-საბადებელს, — მეტის ღირსია.

ქვეყანა, რომელიც ვერ დაიცავს თავის მოქალაქეს, მეტის ღირსია.

ქვეყანა, სადაც დასახმარებლად მოსულ უცხოელებს ძარცვავენ და ხოცავენ, მეტის ღირსია.

ქვეყანა, რომლის ხელისუფალნი პირველნი არღვევენ თავისსავე მიღებულ კანონებს და პირველნი ძარცვავენ ხალხს, მეტის ღირსია.

და თუ საქართველო მარტო ეს არის, იგი არცაა არსებობის ღირსი და ვერც იარსებებს;

მაგრამ არაა საქართველო მხოლოდ ეს, არაა საქართველო მხოლოდ მხდალების, მოღალატეების, მძარცველების და უქნარების ქვეყანა.

მადლობა ღმერთს — აქ ჯერ არც ქვეყნის დაცვა დავიწყებიათ, არც პატიოსნება, არც შრომა, არც ფიქრი, სიყვარულიც იციან, ღმერთიც სწამთ და მომავლისაც სჯერათ.

საქართველო ასეთი ხალხის არის და სწორედ ასეთი ხალხი გადაარჩენს საქართველოს.

მთავარია, ახლა, ამ ეტაპზე, შეჩერდეს ნგრევა და ძარცვა, მთავარია, შევინარჩუნოთ წინაპართა მიერ გადმოცემული ტერიტორია და გადავარჩინოთ ჩვენი მომავალი.

მთავარია, ახლა, ამ ეტაპზე, ჩვენი უმთავრესი მიზანი გამოვკვეთოთ და მისკენ წარვმართოთ მთელი ჩვენი მცდელობა.

მთავარია, გავითავისოთ, რომ დრო შეიცვალა და გარემოც შეიცვალა.

რაც შეგვეძლო ოთხი წლის წინ, ის ახლა აღარ შეგვიძლია — აღმოჩნდა, რომ მშვენიერი ოცნება სხვაა, ხოლო მკაცრი რეალობა — სხვა.

ისიც აღმოჩნდა, რომ პირობებს მარტო ჩვენ არ ვაყენებთ, თურმე პირობებს ჩვენც გვიყენებენ.

მხოლოდ საკუთარი სურვილებით ცხოვრება ოჯახშიც არ შეიძლება, ქვეყანათა და ხალხთა თანაცხოვრებაში მით უფრო, მეტიც, სწორედ სახელმწიფოთა და ხალხთა ურთიერთობაშია განსაკუთრებულად საჭირო სხვათა სურვილებისა და მოთხოვნების გათვალისწინება.

გულუბრყვილოდ გვეგონა — მსოფლიო თავს გამოიდებდა ჩვენთვის...

ზოგს ნატოს ჯარების იმედი ჰქონდა, ზოგი რუსეთს უცხადებდა ომს, ზოგი ოსებსა და აფხაზებს...

არადა, ხომ ჩანდა, რომ ათწლეულების მანძილზე მიზანმიმართულად მივყავდით ამ კონფლიქტებისკენ და ნაცვლად იმისა, რომ აგვერიდებინა ისინი, ფორმალურად ჩვენვე აღმოვჩნდით იმ ომების წამომწყებნი, რომლებშიც საუკეთესონი დაიღუპნენ, ხოლო ყველაზე უღირსნი გამდიდრდნენ, საუკეთესონი დასახიჩრდნენ და ყველაზე უღირსნი ან ხელისუფლების ან მერსედესების სავარძლებზე მოკალათდნენ.

შეხედეთ თბილისს, — მას დააკლდა საუცხოო ბიჭები...

შეხედეთ თბილისს, — იგი გაავსო უცხო მანქანებმა.

ყველა ნორმალურ ომში რკინის ჯვრებს არიგებენ, ჩვენთან მანქანები დაირიგეს.

იმიტომაც წავაგეთ ომი.

ისიც სათქმელია, სულ ახლო წარსულში ჩვენ ვყალიბდებოდით ქურდებისა და ყაჩაღების სახელმწიფოდ, სადაც არავითარი კანონი აღარ მოქმედებდა, მათ შორის არც ქურდული.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რუსეთში ქართველი „რამკიანი" ქურდების მიერ ქვეყნის თავდასაცავად შეგროვებული ფული თბილისელმა „თანამდებობრივმა" ქურდებმა სადღაც გააქრეს.

რაზე შეიძლება ამის შემდეგ ლაპარაკი.

ერთი გაზეთი კი (თუმცა მარტო ერთი არა) სავსებით სერიოზულად უმტკიცებდა მკითხველს ქურდული მორალის უპირატესობაზე პატიოსანი ადამიანის მორალთან შედარებით.

და ამ დროს, ერთი სოხუმელი ბიჭი, ლანდი რომ გასდის ლოყებში, ჩვენსა და უცხოეთის ბიბლიოთეკებში იჯდა და ძველ ფოლიანტებს ჩაჰკირკიტებდა ისტორიული სიმართლის ძიებაში.

მეორე ტანკს შეუვარდა ქვეშ.

მესამემ უცხოეთში თავი ისახელა და ქვეყანას დაანახა, რომ ქართველები მარტო ყაჩაღები და კაცისმკვლელები არ არიან.

ჭეშმარიტი საქართველო ესაა.

ამ საქართველოს გადარჩენა უნდა, რადგან ეს მომავლის საქართველოა.

მე და ჩემი თაობა შეიძლება ვეღარც მოვესწროთ ისეთ საქართველოს, როგორზეც გვიოცნებია, მაგრამ ჩვენი შვილები მოესწრებიან და ჩვენ ვალდებულნი ვართ (სწორედ ჩვენ, უდაბნოს თაობა), ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ქვეყანა და ხალხი გადარჩეს, რომ ჩვენს ერს ხვალინდელი დღე ჰქონდეს.

• • •

ყველაზე მწვავედ, ჩვენი ხალხი, ალბათ რუსის ჯარის სამხედრო ბაზების არსებობას აღიქვამს საქართველოს ტერიტორიაზე — მხედველობაში მაქვს სამი ბაზა — ახალქალაქის, ბათუმის და თბილისის. იურიდიული თვალსაზრისით ეს არაა საოკუპაციო ჯარი — მსგავსი ბაზები თუნდაც ამერიკის შეერთებულ შტატებს არაერთი ქვეყნის ტერიტორიაზე აქვთ და ისინი იცავენ არა მარტო შტატების, არამედ იმ ქვეყნის ინტერესებსაც, სადაც ისინი განლაგებულნი არიან.

შევხედოთ სინამდვილეს თვალებში — ახალქალაქშიც და ბათუმშიც საჭიროა სამხედრო ბაზების არსებობა. ჩვენ ამ ბაზების არც აღკვეთა და არც შენახვა არ შეგვიძლია. ეს ბაზები სჭირდება რუსეთსაც და გვჭირდება ჩვენც. აქაა ორმხრივი დაინტერესება და ალბათ ორმხრივი სარგებლიანობა, უფრო დეტალურად ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინოს კონკრეტულმა ხელშეკრულებამ, რომელიც ჯერ კიდევ დასადებია და მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად უნდა დაიდოს — ზუსტად განისაზღვროს ბაზების იურიდიული სტატუსი, განისაზღვროს მათი არსებობის ვადა, ბაზების თანამშრომლები ბაზის ტერიტორიის გარეთ უნდა დაექვემდებარონ საქართველოს იურისდიქციას, რუსეთის მხარემ საქართველოს მხარეს უნდა გადაუხადოს ტერიტორიის არენდის ფული, მოუმზადოს საქართველოს მხარეს ის სამხედრო ეროვნული კადრი, რომელიც რუსების შემდეგ უპატრონებს ბაზას, განისაზღვროს ისიც, რომ ბაზის სამოქალაქო მოსამსახურენი მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებით შეიძლება დაკომპლექტდეს, განისაზღვროს სამხედრო ბაზებისათვის შემოსული დიდძალი რუსული ფულის ჩვენს ეროვნულ საფინანსო-საბანკო სისტემაში მოქცევის გზები... მოკლედ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს ისე, როგორც მთელ მსოფლიოში კეთდება.

ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთი უნდა დაგვეხმაროს რეგულარული არმიის შექმნაში. ჩვენ ომი აფხაზეთში ხომ იმიტომ წავაგეთ, რომ რეგულარული არმია არ გვყავდა. არმია შესაქმნელია და ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ დავით აღმაშენებელმა ქვეყნის გასაძლიერებლად ყივჩაღები ჩამოიყვანა, ყივჩაღები ჩააყენა საქართველოს სამსახურში, ყივჩაღები აბრძოლა საქართველოს ინტერესებისთვის.

ბოლოს და ბოლოს, ისტორია, მარტო საკითხავი წიგნი ხომ არ არის, იგი ჭკუისსასწავლი სახელმძღვანელოც გახლავთ...

თანაც, ისტორიამ, განმეორებანიც იცის, განმეორებანი სხვა დროსა და სხვა სივრცეში...

განა სოხუმი — 1993 არ იყო მთელი თავისი თავდადებით და ღალატით მსგავსი კრწანისის ცნობილი ბრძოლისა?

ყივჩაღებიც უნდა მოვიხმოთ, თუ საჭიროა, რაკიღა სხვა გზა არა გვაქვს.

• • •

ამ რამდენიმე წლის წინ, როდესაც ჩვენ დამოუკიდებლობის აქტი მივიღეთ, ერთბაშად კი არ უნდა გადაგვეჭრა ყველა ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური თუ კულტურული კავშირი რუსეთთან და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, არამედ მრავალწლიანი ხელშეკრულებებით ნელნელა გამოგვეთავისუფლებინა ჩვენი ქვეყანა კაბალური დამოკიდებულებებიდან, დაგვეძებნა ახალი კავშირები ევროპის, აზიისა თუ ამერიკის ქვეყნებთან.

თავდაპირველად ჩვენ იზოლაციონიზმის გზას დავადექით. მეტიც, მტრის ხატიც შევქმენით — ყველა და ყველაფერი რუსული ვაგინეთ...

რუსული იმპერიალიზმი რაც არის, სხვებთან ერთად მეც შესანიშნავად ვიცი, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ვწერდი ამაზე (თუნდაც წერილში „დიდი და ძნელი გამოცდები"), მაგრამ არასდროს არ მიქადაგია ყოველივე რუსულის სიძულვილი, არამხოლოდ იმიტომ, რომ სიძულვილის ქადაგება უზნეობაა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ სიძულვილი ანგრევს პიროვნებასაც და ერსაც, არამედ იმიტომაც, რომ რუსული კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება — მსოფლიო ცივილიზაციის დიდი მოვლენაა და თანაც ქართული კულტურა თავისი სიღრმისეული ტენდენციებით მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ამ კულტურასთან.

ამ კავშირების წყვეტის ერთი შედეგი ისიც გახლავთ, რომ მეცნიერების მთელი რიგი დარგების განვითარება შეჩერდა, შეწყდა სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლა რუსეთთან და მნიშვნელოვანწილად მსოფლიოსთანაც, რაკიღა ეს პროცესი ძირითადად რუსულენოვანი ჟურნალების მეშვეობით ხორციელდებოდა, შეწყდა რეაქტივებისა და დანადგარების შემოტანა და განახლება, შეწყდა გარკვეული ერთობლივი პროექტების დაფინანსება, შეწყდა კადრების განსწავლა რუსეთის სამეცნიერო ცენტრებში, შეწყდა მეცნიერთა უშუალო კონტაქტები, შედეგი ამისა კი გახლავთ მეცნიერთა უმუშევრობა, ინტელექტის სხვა სფეროებში და სხვა ქვეყნებში გადინება, მეცნიერული პროცესის შეჩერება და პერსპექტივაში ინტელექტუალური კვდომა.

თავის დროზე უდიდესი შეცდომა და მზაკვრული ჩანაფიქრი იყო, როდესაც საქართველო მხოლოდ რუსეთზე იყო ორიენტირებული, ახლა კი უდიდესი ტრაგიკული შეცდომა იყო, როდესაც რუსეთთან ყოველგვარ კონტაქტებსა და თანამშრომლობაზე უარი ვთქვით.

მით უფრო მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებთან ანალოგიური ინტენსიობისა და მნიშვნელობის რეალური და სრულფასოვანი კავშირები ჯერ დამყარებული არ გვაქვს. მართალია, დადებული გვაქვს მეტად მნიშვნელოვანი ხელშეკრულებანი მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან, მაგრამ ჩვენი უნიათობისა და ქვეყანაში არეულობის გამო, ეს ხელშეკრულებანი კონკრეტულ საქმეებად ჯერ არაა ქცეული. ესეც საკითხავია რატომ. რატომ ხდება, რომ პოლიტიკურ ნაბიჯებს არ მოსდევს კონკრეტული ნაბიჯები ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. აშენებაზე ნელად ვირჯებით, ნგრევაზე კი ძალიან სწრაფი ვართ. რით შეიძლება გავამართლოთ, თუ არა ნგრევის უგუნური ინსტიქტით, რომ პოლიტიკური მოსაზრებებით უარი ვთქვათ ისეთ დიდ ბაზარზე, როგორიც რუსეთის ბაზარია (რადა სწორედ ბაზრის და გავლენის სფეროებისათვის სწარმოებდა ბევრი ომი) ევროპისა და მსოფლიო ბაზარზე ჩვენ კონკურენციას ხომ ჯერჯერობით ვერ ვუძლებთ. ამავე პოლიტიკური მიზეზით უარი ვთქვით რუსეთთან აქტიურ სამეცნიერო ურთიერთობებზეც...

რატომ?

შედეგად რა გვაქვს და დახურული სამეცნიერო ინსტიტუტები, გაჩერებული ქარხნები, გაღატაკებული და პროფესია-დაკარგული მეცნიერები. სხვა სფეროებზე აღარას ვამბობ.

ქვეყნის გადარჩენის ამ ეტაპზე **მე აუცილებლად მიმაჩნია რუსეთთან სამეცნიერო კონტაქტების აღდგენა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა ვეძებოთ დამოუკიდებელი საქართველოს დამოუკიდებელი მეცნიერების დამოუკიდებლად არსებობის გზები...** პირველი ნაბიჯი აქეთკენ გადადგმული ისაა, რომ ადამიანები, კონკრეტული პიროვნებანი და კონკრეტული პროექტები გადავარჩინოთ. ამავე დროს, ზუსტად უნდა განისაზღვროს ისიც, რა შეუძლია ამ მხრივ საქართველოს, რისი შენახვა და დაფინანსება.

საქართველოს ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციისა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების ფარგლებში ზუსტად უნდა განისაზღვროს ის მეცნიერული მიმართულებანი, რომელნიც სახელმწიფოს მეცნიერულ პოლიტიკაში წამყვანი უნდა გახდეს.

ამ ყველაფერს — გადაწყვეტილების მიღებასა და განხორციელებას წლები უნდა, ხოლო მანამდე იმ დიდმნიშვნელოვანი და ძვირადღირებული ინსტიტუტებისა და კადრების გაუქმების უფლება ნამდვილად არ გვაქვს. ერთადერთი გზა ამ პროცესის თავიდან აცილებისა, მარტო რუსეთთან დადებული ხელშეკრულება კი არაა, არამედ უცხოეთის სხვა ქვეყნებთან, ფონდებთან თუ კერძო ფირმებთან თანამშრომლობაც, მაგრამ დიდი ნაწილი, უდიდესი ნაწილი დღეს, ქვეყნის ინტელექტის გადარჩენის ამ პროცესში რუსეთს ეკუთვნის, რუსეთთან თანაბარ და გონივრულ თანამშრომლობას.

ნუ დაგვავიწყდება — ჩვენმა მეცნიერებამ გადამწყვეტი მონაწილეობა უნდა მიიღოს დამოუკიდებელი საქართველოს დამოუკიდებელი ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, პოლიტიკის განვითარებაში, ქვეყნის თავდაცვაში, საზოგადოების სააზროვნო დონის ამაღლებაში.

თუ რუსეთთან ხელშეკრულებას ჩვენ ამ უმთავრესი ეროვნული მიზნისათვის გამოვიყენებთ, ეს იქნება გონივრულიც და შორსმჭვრეტელური საქმიანი ნაბიჯიც გადადგმული ჩვენი თაობის მიერ.

• • •

სხვა დრო დადგა ახლა.

დრო პოპულისტურ ლოზუნგებზე უარის თქმისა და ქვეყნის რეალური შენების.

ჭეშმარიტმა ეროვნულმა მოძრაობამ, რომელიც არაა დახარბებული ფულისა და თანამდებობების შოვნას, სწორედ ახლა უნდა დაიწყოს ახალი ეტაპი თავის მოღვაწეობაში — ააშენოს დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკა, მეცნიერება, ხელოვნება, ჯარი, ჩამოაყალიბოს თავისუფლად მოაზროვნე უკომპლექსო საზოგადოება, აირჩიოს ღირსეული პარლამენტი, დანიშნოს პროფესიულად მომზადებული და პატიოსანი მთავრობა, თავად განიწმინდოს მოღალატეების, ყაჩაღების, მძარცველების, ქურდებისა და უვიცებისგან.

განა პარადოქსი არაა ჩვენი ღატაკი სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათ შორის პარლამენტარებსაც, უცხოეთში სახლები რომ აქვთ ნაყიდი და ბანკებში ანგარიშები გახსნილი?

ასეთი ხალხი, რა თქმა უნდა, პატრიოტობის ბუქს დააყენებს, რომ თავისი ბნელი საქმეები მიჩქმალოს, ასეთი ხალხი, დიახაც რომ წინააღმდეგია რუსეთთან ხელშეკრულების დადებისა — არეულ ქვეყანაში მათთვის არავის ეცლება, მაგრამ ჩვენ როგორ მოვიქცეთ, ვინც ამ გაუფასურებული კუპონით ვღაფავთ სულს, ვინც არსად აპირებს წასვლას, ვისთვისაც ეს ქვეყანაა საწყისიც და დასასრულიც ყოველივესი?

ჩვენ იმ კომპრომისებზე უნდა წავიდეთ, რომელზეც არაერთხელ წასულან ჩვენი ბედკრული ქვეყნის მესვეურნი საუკუნეთა მანძილზე, რადგან მარტო ხმლის ქნევამ კი არ გადაარჩინა საქართველო, არამედ ქართულმა სახელმწიფო გონმაც.

მე ახლაც ამ გონის იმედი მაქვს.

• • •

ჩვენ ვიბრძვით არა მარტო ტერიტორიის, არამედ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვისაც.

ძნელია, ეს ბრძოლა, იგი ყოველდღიურ თავდადებასა და ქმედებას, ფიქრს, შრომას მოითხოვს. ერთის შეხედვით სჯობს გარანტიები დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა სხვამ მოგვცეს, მაგრამ ჩვენს ბრძოლას სხვა ვერ მოიგებს.

არადა ბრძოლისთვის ახლა ნამდვილად გვაქვს რეალური საფუძველი, რადგან დროც სხვა არის ახლა და ჩვენც სხვანი ვართ.

იურიდიულად მაინც თავისუფლები, თუ ეკონომიკურად არა.

გაეროს წევრიც არის საქართველო, ევროგაერთიანებისაც და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ალიანსის წევრიც და რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი ორმხრივი ხელშეკრულების თანაბარი პარტნიორიც.

ეს ბევრს ნიშნავს.

ჩვენ მხოლოდ რუსეთს აღარ ვართ შეჩერებულნი. საბაზრო ეკონომიკაც სხვაგვარი რეალობაა, იგი ვერ ითმენს ტოტალიტარიზმს.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ გზა ეკონომიკური დამოუკიდებლობისკენ არაა დახშული... არც ჩვენი სამხედროებისათვის დაუკეტავს ვინმეს გზა, რომ რუსეთს იქით გაიხედონ, არც ჩვენი სტუდენტობისთვის, არც მეცნიერებისთვის, არც ხელოვანთათვის... ახლა მთავარია, ჩვენ ვივარგოთ, მთავარია, ჩვენ თვითონ ავაშენოთ ეს ქვეყანა — თავისუფალი საქართველო, რადგან სხვის მიერ ბოძებული თავისუფლება მონობის სახესხვაობაა და მეტი არაფერი.

თავისუფლება თავად ჩვენ უნდა მოვიპოვოთ ჩვენივე ყოველდღიური მცდელობით, ჩვენი შრომით, ჩვენი ნიჭითა და უნარით.

დღეს ჩვენ სისხლი გვდის, გვშია და გვცივა, დღეს გვხოცავენ და გვატყუებენ.

საქართველოს ისტორიამ ეს უკვე იცის.

მაგრამ საქართველოს ისტორიამ ისიც იცის, რომ ქვეყანას გაუძლია ამ ყველაფრისათვის, დაჩოქილი წამომართულა და გადარჩენილა.

ახლაც გადავრჩებით და ახლაც ფეხზე დავდგებით.

მინაწერი: წერილი რედაქციაში იდო, როდესაც მოსკოვში კვლავ აიჭრა სიტუაცია, ჟენევაში გუდაუთის მხარესთან მოლაპარაკებაც ჩაიშალა.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს, რომ ჩვენთვის აუცილებელია რუსეთთან (როგორიც არ უნდა იყოს იგი) მოლაპარაკება და ნორმალური ურთიერთობის დამყარებაც.

ჩვენს გეოგრაფიულ სივრცეს ვერსად გავექცევით!

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის მომავალი ვიზიტი კი იმის იმედს გვისახავს, რომ მსოფლიო, ბოლოსდაბოლოს, მიხვდება, რა როლს თამაშობს საქართველო ამიერკავკასიაში და რეალური დახმარების ხელს გამოგვიწვდის.

იქნებ ახლა მაინც აღარ შევრჩეთ ჩვენს ისტორიულ ბედს ობოლ ქვეყნად.

კობა იმედაშვილი.

კბილის ტკივილმა შეგაწუხათ?
მკურნალობის პროცესი კი [illegible]
· აკრიფეთ ნომერი 22-08-79.
შეთანხმდით ვიზიტზე?
მობრძანდით ვაკის პარკთან მდებარე სტომატოლოგიურ კაბინეტში ბარნოვის 184 11-დან 17 საათამდე.

მკურნალობის უმტკივნეულო მეთოდები, წამყვანი ფირმების Kulzer (გერმანია) და Septodont (საფრანგეთი) უახლესი აპარატურა, სტომატოლოგთა მაღალი პროფესიონალიზმი თქვენი ყველა პრობლემის გადაწყვეტის გარანტიას იძლევა.

შემოგთავაზებთ მსოფლიო სტომატოლოგიის პრაქტიკაში დანერგილ სიახლეს – [illegible] პლომბის საუკეთესო სახეობას Charisma, რომელსაც ვერ გაარჩევთ ჯანსაღი კბილისაგან.

მობრძანდით: ჩვენთან მკურნალობის შემდეგ თქვენი ღიმილი მეტ მომხიბვლელობას შეიძენს!

საზღვარგარეთ წამსვლელთა საყურადღებოდ!

მათ, ვისაც სურთ შექმნან ბიზნესი, ან იმოგზაურონ საზღვარგარეთ, ფირმა „გრაალი" სთავაზობს ყველაზე იაფად, მათთვის ხელსაყრელ ფასებში მოგზაურობას:

1. თბილისი-ბულგარეთი-თბილისი
მგზავრობა თბილისიდან ავტობუსით, ყოველგვარი დამატებითი გადასახადების გარეშე
2. თბილისი-ვარშავა-თბილისი
თბილისიდან თვითმფრინავით, ბარგის გადატანა შეუზღუდავია
3. თბილისი-ირანი-თბილისი
პირდაპირი რეისი თბილისიდან როგორც ავტობუსით, ასევე თვითმფრინავით.
4. თბილისი-ალეპო-თბილისი
პირდაპირი რეისი თბილისიდან როგორც ავტობუსით ასევე თვითმფრინავით
5. თბილისი-გერმანია-თბილისი ქიოლნი
პირდაპირი რეისი თვითმფრინავით თბილისიდან თბილისამდე.
ერთკვირიანი ტური თბილისიდან. ფირმა აგრეთვე გთავაზობთ საბუთების სასწრაფო გაფორმებას გერმანიაში გასამგზავრებლად.
6. მხოლოდ ფირმა გრაალს შეუძლია 3 დღეში გაუფორმოს სათანადო საბუთები სირიაში გასამგზავრებლად როგორც კერძო პირებს, ისე ორგანიზაციებს - ტურისტულ ფირმებს.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ვანის ქ. № 4
(რესპუბლიკის ივირ-ის შენობაში 34-55-58 (დილით),
68-15-48, 71-92-19 (საღამოს).

·საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

დღის დასწრებული:
დრამატული თეატრისა და კინოს, მუსიკალური თეატრის მსახიობი, მუსიკალური თეატრის რეჟისორი, თეატრმცოდნეობა (ისტორია, თეორია, ჟურნალისტიკა), კინოსასცენარო, ხელოვნების ისტორიის მასწავლებელი, სამუზეუმო-საარქივო საქმის სპეციალისტი.

I. დრამისა და კინოს მსახიობის სპეციალობაზე ბარდება:
1. სპეციალობა (სამსახიობო მონაცემების შემოწმება)
2. გასაუბრება
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
4. საქართველოს ისტორია

II. მუსიკალური თეატრის მსახიობის სპეციალობაზე
1. სპეციალობა (ვოკალი, მსახიობის ოსტატობა)
2. გასაუბრება
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
4. საქართველოს ისტორია

III. მუსიკალური თეატრის რეჟისორის სპეციალობაზე
1. სპეციალობა (წერა)
2. გასაუბრება (პრაქტიკული მსახიობის ოსტატობაში)
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
4. საქართველოს ისტორია

IV. თეატრმცოდნეობის სპეციალობაზე
(თეატრის ისტორია, თეორია, ჟურნალისტიკა)
1. სპეციალობა (წერა)
2. გასაუბრება
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
4. საქართველოს ისტორია

V. საექსკურსიო-ტურისტული საქმის კულტურული მომსახურეობის მენეჯერის სპეციალობაზე
1. სპეციალობა (გასაუბრება)
2. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
3. უცხო ენა
4. საქართველოს ისტორია

VI. ხელოვნების ისტორიის მასწავლებლის სპეციალობაზე
1. სპეციალობა (გასაუბრება)
2. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
3. საქართველოს ისტორია

VI. სამუზეუმო-საარქივო საქმის სპეციალობაზე
1. სპეციალობა (გასაუბრება)
2. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
3. საქართველოს ისტორია

VII. კინოსასცენარო სპეციალობაზე
1. სპეციალობა (წერა)
2. გასაუბრება
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
4. საქართველოს ისტორია

დაუსწრებელი განყოფილება

I. კინომცოდნეობის სპეციალობაზე
1. სპეციალობა (წერა)
2. სპეციალობა-გასაუბრება
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
4. საქართველოს ისტორია

აბიტურიენტმა განცხადება უნდა შემოიტანოს რექტორის სახელზე და თან დაურთოს შემდეგი საბუთები: საშუალო განათლების მოწმობა (დედანი), ჯანმრთელობის მოწმობა (ფორმა № 086), 4 ფოტოსურათი (3X4). პასპორტსა და სამხედრო ბილეთს წარმოადგენს პირადად.
განცხადების მიღება დაიწყება 1 ივნისს და მთავრდება 2 ივლისს.
გამოცდები დაიწყება 4 ივლისს.
სამსახიობო ფაკულტეტზე შერჩევითი ტურები დაიწყება 27 ივნისს.
სარეჟისორო ფაკულტეტზე შემსვლელმა 27 ივნისამდე უნდა წარმოადგინოს პიესის რეჟისორული ანალიზი.
კინომცოდნეობის დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან მხოლოდ რაიონებიდან ის აბიტურიენტები, რომლებიც ბოლო სამი წელი ჩაწერილნი არიან საცხოვრებლად და საშუალო განათლება ადგილზე აქვთ მიღებული.
მისამართი- თბილისი, რუსთაველის გამზირი № 19,

მიმღები კომისია

ჭეშმარიტი დემოკრატია — ეს არის კანონის დიქტატურა

(დასასრული).

ში რუსეთის ორი დივიზიის შემოყვანის თაობაზე რომ უარყვეს. ველს შეეშინდა, როგორ შეაფასებდნენ პარლამენტის ოპოზიცია და „ეროვნული პოპულისტები" ამ ნაბიჯს. ახლა, როცა 240 ათასი კაცი საკუთარი სამშობლოდან გამოაძევეს, როცა ამდენი ათასი კაცი დაგვიხოცეს, გაცილებით რთული გზებით ვიბრძოთ იმისათვის, დაახლოებით იგივე რომ გავაკეთოთ, რაც მაშინ სულ იოლად და დაუმარცხებლად შეგვეძლო მოგვეგვარებინა.

— მაშ, ჩავეხუტოთ რუსებს?! — დამცინავად ამბობენ პოპულისტები.

— რუსებს კი არ ვეხუტებით, გამოსავალ გზებს ვეძებთ. ამ გზების დიდი ნაწილი კი, გვინდა თუ არ გვინდა, რუსეთზე გადის. რუსეთთან კავშირის მოგვარებისაკენ მოგვიწოდებს მთელი მსოფლიო. პლანეტას ეშინია რუსეთისა, ჭერჭერობით ეს ბუნებრივი სიმდიდრეებით პირველ ადგილზე მდგომი ქვეყანა მშიერ და გამძვინვარებულ ლომსა ჰგავს, სადაც ძალზე ნოყიერი ნიადაგია იმპერიის ნოსტალგიით დაავადებული ათობით მილიონი ადამიანისა და ჟირინოვსკისნაირი თავგახურებული ავანტიურისტებისათვის.

— რაკი პარლამენტი ახსენეთ, რა აზრისა ხართ ჩვენს პარლამენტზე?

— პარლამენტი რომ გვყავს, ეს უკვე დიდი მოვლენაა ქართველი ერის ცხოვრებაში. მაგრამ არ ვარგა, როცა სამთავრობო თუ საკანონმდებლო ორგანოებს ასე გამუდმებით და ხელაღებით ვლანძღავთ. ჩვენ თვითონვე უნდა გავუფრთხილდეთ მათ ავტორიტეტს. პარლამენტზე მე ადრეც გამომითქვამს შენიშვნები, თუმცა, ობიექტურობა არ დამიკარგავს და შენიშვნებშიც დიდი გულისტკივილი ჩანდა. ამჯერად ჩემი შეფასება უფრო მკაცრი იქნება, დიახ, უფრო მკაცრი და პრინციპული, ვინაიდან უკვე ძალიან გაუვიდათ თავს.

არჩევნების დღეს ყველანი დიდი იმედით მივედით საარჩევნო ყუთებთან. სამწუხაროდ, პირველი შეცდომა ის იყო, რომ ავირჩიეთ ბევრი უცნობი ადამიანი. არ ვიცოდით, ვინ იყვნენ, რას საქმიანობდნენ, რა ღირსება-დამსახურება ჰქონდათ ხალხისა და ქვეყნის წინაშე. პარტიული სიები, მით უმეტეს, საკომპენსაციო სიები. არჩევნების ყოვლად მიუღებელ ფორმად მიმაჩნია. ბოდიშს ვიხდი იმ მართლაც ღირსეული ადამიანების წინაშე, რომლებიც ამ მეთოდით მოხვდნენ პარლამენტში, მაგრამ ისეთნი ძალზე ცოტანი არიან. ამ გზით არჩეულ დეპუტატებს დაავიწყდათ, რომ პარლამენტში ისინი ამომრჩეველების ნება-სურვილს უნდა გამოხატავდნენ. სამწუხაროდ, არად აგდებენ ამომრჩევლების ინტერესებს და მართლა დაიჯერეს, რომ საქართველოს ერთადერთი ჭეშმარიტი გულშემატკივრები ისინი არიან.

სამწუხაროდ, ეროვნული მანტია ყველაზე ლაღად უფრო იმ ადამიანებს აქვთ მოსხმული და მორგებული, ჯერ რომ თავისი ქვეყნისათვის არაფერი გაუკეთებიათ.

ოპოზიციონერობა ადვილია, სხვისი კრიტიკა ადვილია, საქმის გაკეთებაა ძნელი.

ოპოზიციონერი მხოლოდ აკრიტიკებს. ასეც უნდა იყოს. ოპოზიცია იმის ოპოზიციაა, რომ უნდა აკრიტიკოს, ოღონდ ერთი პირობით, საჭიროა პარლამენტს ალტერნატიული გზებიც შესთავაზოს.

ოპოზიცია იმის ოპოზიციაა, რომ სამთავრობო დაწესებულებებს არ მისცეს მცდარი ნაბიჯის გადადგმის, მოდუნების, სიფხიზლის დაკარგვის საშუალება.

ოპოზიცია იმის ოპოზიციაა, რომ პოზიციას ქვეყნის სიყვარულში, უფრო სწორი გზების ჩვენებაში, უმძაფრესი პრობლემებისადმი სწორ მიდგომაში გაეჯიბროს. ნამდვილმა ოპოზიციამ ის არ უნდა იკადროს, როცა უმრავლესობა სწორ გზას გთავაზობს, მხოლოდ ოპოზიციონერობის გულისათვის მისი მოსაზრება არ გაიზიაროს და ყოველივე სასიკეთოს ბრძოლა გამოუცხადოს.

სამწუხაროდ, ასეთი როდია ჩვენი საპარლამენტო ოპოზიცია. იმას ვინლა დაეძებს, რომ საერთოდ არად აგდებენ ამომრჩევლებს, თავს საქართველოს ნამდვილ ბატონ-პატრონებად მიიჩნევენ.

ბოდიშს ვიხდი ძალზე მკაცრი შეფასებისათვის, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება (და არამარტო მე), რომ მათ უხარიათ ყველა ის უბედურება, რაც საქართველოში ხდება.

ძალზე შემზიზღდა უკვე გაცვეთილი გამოთქმა „ვის წისქვილზე ვასხამთ წყალს", მაგრამ ამ შემთხვევაში იძულებული ვარ, თვითონ ვიხმარო ეს გამოთქმა.

დიახ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, როცა საქართველოში ბენზინი არ არის, ხოლო საწვავის უქონლობა უმძიმეს დღეში აყენებს ხალხს, სოფლის მეურნეობას და მრეწველობას, ეს ოპოზიციის წისქვილზე ასხამს წყალს.

როცა საქართველოში არეულობაა, ესეც ოპოზიციის წისქვილზე ასხამს წყალს.

როცა უკიდურესად გაწამებული ხალხი განრისხებულია, ესეც ხომ ოპოზიციის წისქვილზე ასხამს და ასხამს წყალს.

რატომ?

იმიტომ რომ ყველა ოპოზიციონერს ერთი სურვილი ამოძრავებს — სახელმწიფოს მეთაურის გადადგომა.

რაც უფრო ამღვრეულია წყალი, მით უფრო იოლია თევზის დაჭერა. რაც უფრო უკმაყოფილო იქნება ხალხი, მით უფრო იოლია მოითხოვო სახელმწიფოს მეთაურის გადადგომა.

შეიძლება პოლიტიკაში ყველა ხერხი გამართლებულია, ვაჟკაცურიც და ბიწიერიც, მაგრამ ახლა საქართველო ისეთ დღეშია, ფეხზე წამოდგომა რომ სჭირდება, ამიტომაც დიდი თავდაჭერილობა გვმართებს.

დიახ, კიდევ ვიმეორებ, შეიძლება პოლიტიკურ ბრძოლაში ყველა ხერხი გამართლებული იყოს, მაგრამ დღეს, გაჩანაგებულ საქართველოში არაკეთილსინდისიერად გამოიყენო ხალხის უკმაყოფილება, ხელი შეუწყო სიტუაციის კიდევ უფრო გამძაფრებას, რომ უფრო მეტად დაიტანჯოს ხალხი, მერე კი ყველაფერი სხვას გადააბრალო — არამარტო უკადრისი ხერხია, არამედ ღალატის ტოლფასია.

ჩვენი სახელმწიფო ის ქვეყანა არ გახლავთ, რომ პოლიტიკური ამბიციების გასარკვევად გვეცალოს. ჯერ ქვეყანა ფეხზე წამოსაყენებელი, დასამარცხებელია მტერი, რომელთაგან ბევრი უკვე აშკარად გვესხმის თავს და გვჯობნის კიდეც, ბევრი კი თავის დროს ელოდება. დიახ, ჯერ საქართველოა გადასარჩენი!

რაკი „მოსწრებული" კრიტიკით გულს ფხან გაჭირვებულ მოსახლეობას, იზიარებ გატანჯული ხალხის „ინტერესებს", ბუნებრივია, მომგებიანი პოზიცია გიჭირავს. ამიტომაც ყველა ქვეყანაში, სადაც საპარლამენტო თუ სამთავრობო ოპოზიცია არსებობს, ხალხი მათ მხარეს დგება.

საქართველოში, რაც უნდა საოცრად მოგეჩვენოთ, სულ სხვანაირად არის საქმე: **საქართველოს პარლამენტის ოპოზიციას არ ჰყავს მომხრეები.** ან თუ ჰყავს, ძალზე მცირერიცხოვანნი არიან ისინი.

ვფიქრობ, ამან ღრმად უნდა დააფიქროს საქართველოს პარლამენტის ოპოზიცია. დღევანდელი პარლამენტის ოპოზიციაში ბევრია ისეთი, წინა პარლამენტშიც რომ ოპოზიციაში იყო. აბა, გაიხსენონ, როგორ უჭერდა მათ ხალხი მხარს! იმიტომ, რომ მაშინ ისინი მართლები იყვნენ. დღეს კი სიტუაცია შეიცვალა.

ხალხი სამართლიანია, ხალხი ყველაფერს ხედავს. შეიძლება გარკვეულ მომენტში დაიბნეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ყველაფერი თავის ადგილზე დგება.

აღარაფერს ვამბობ ზოგიერთი პარლამენტარის კულტურაზე, უფრო სწორად, უკულტურობაზე. მე ჩემი შვილებისა, მთელი ახალგაზრდობისა მრცხვენია, როცა ზოგჯერ მათ გამოსვლას ვისმენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოპოზიციაში არ იყვნენ კულტურული და ობიექტური დეპუტატები. მე იმ საერთო სურათზე ვლაპარაკობ, რომელსაც დღევანდელი ოპოზიცია ქმნის.

ხალხი მიესალმება ჯანსაღ ოპოზიციას, რომელიც თავისი პოზიციების განმტკიცების, პოლიტიკური ანგარიშსწორებისა და ამბიციებისათვის კი არ იბრძვის, არამედ ცდილობს მთელი თავისი შემართება, ნიჭი და ენერგია სამშობლოს აღორძინებას მოახმაროს, იყოს უკომპრომისო, მაგრამ სამართლიანი.

— იქნებ ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება, თავისუფლების მოტანილია?

— როგორ გეკადრებათ, თავისუფლება ანარქიაში არ უნდა აგვერიოს, თავისუფლება შეიძლება მოიპოვო, მაგრამ ვერ შეიშნო. თავისუფლებას განათლებული, კულტურული საზოგადოება სჭირდება.

ჰე და, ალბათ, თქვენც, ყველას, ვისაც საქართველო უყვარს, გული გვისკდება, რომ ჩვენში სწავლა თითქმის აღარ არის. განათლება უნივერსიტეტებისა და კერძო სასწავლებლების რაოდენობის უკუპროპორციულია. გული გვტკივა, როცა ამდენ ჯანლონით სავსე ახალგაზრდას ვხედავთ ვიღაცვიღაცეების დამცველებად. ავტომატიანი ახალგაზრდები დაქირავებული ჰყავთ დაწესებულებებს, ბანკებს, რესტორნებს, ქარხნებს, ბენზინის გადამყიდველებს, ჯიხურებს.... ისინიც მთელი დღის მანძილზე ავტომატით ხელში უქმად სხედან დასაცავი ობიექტების შესასვლელებში, ან თან დასდევენ დასაცავ პიროვნებებს. არაფერს ქმნიან, არაფერს სწავლობენ. ვინ იქნებიან ისინი მომავალში? იმ სამხედროებზე არ ვლაპარაკობ, ვისთვისაც ეს პროფესიაა და სამხედრო ხელოვნების სხვა დარგებსაც იცნობენ.

ვინმემ შეისწავლა იმ ახალგაზრდების ინტელექტუალურ-კულტურული დონე, ასე უმოწყალოდ რომ ძარცვავენ და ხოცავენ ხალხს? არ მიგაჩნიათ, რომ მათ საქციელს უმეტესად გაუნათლებლობა და დაბალი კულტურა განაპირობებს?

ვინმე დაინტერესებულა, რომელ კონცერტებზე დადის ჩვენი ახალგაზრდობა, რომელი მუსიკა და ლიტერატურა, კინოფილმები იტაცებს მათ?

თუ არ დაინტერესებულან, ახლა მაინც დაინტერესდნენ და დააკვირდნენ, დასავლეთის მასობრივმა კულტურამ როგორ დაიპყრო და დაიმონა ჩვენი ახალგაზრდების უმრავლესობის სული!

ამერიკულმა იაფფასიანმა, მაგრამ შესაშური ოსტატობით გადაღებულმა ფილმებმა ხომ სულ აუბნია თავგზა ჩვენს ახალგაზრდებს. დააკვირდით, ამ ფილმების გმირებივით როგორ დააქროლებენ მანქანებს თბილისის ქუჩებში თუ გზატკეცილებზე. ეს კიდევ არაფერი, გააანალიზეთ ზოგიერთები როგორი სისასტიკით ხოცავენ ერთმანეთს, ან უცხო ადამიანებს, ზუსტად ისე, იმ მეთოდებით, იმ პოზებით, — ამერიკულ ფილმებში რომ უნახავთ.

და თუ ჩვენ ფეხებზე დავიკიდეთ ქართული მწერლობა და კულტურა, თუ ჩვენ ხელი არ შევუწყეთ უცხოეთის ლიტერატურისა და ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშების ახალგაზრდობამდე მიტანას, მაშინ ნახავთ, რა თაობებიც გაგვეზრდება, მაგრამ გვიანღა იქნება თითზე კბენანი.

უკვე სამი თუ ოთხი წელიწადია საქართველოში პორნოგრაფიული და დეტექტიური ჟანრის გარდა თითქმის აღარ შემოდის სხვა წიგნები. ქართველი ბავშვები კარგა ხანია ველარ კითხულობენ იმ აუცილებელ კლასიკურ საბავშვო ლიტერატურას, რომლებითაც იზრდებოდნენ და უნდა აღიზარდონ ჩვენი ბავშვები. უქაღალდობის გამო აღარ გამოდის ეს წიგნები.

განა შემაშფოთებელი არ არის, რომ თითქმის სრულიად შეიცვალა ქართველი ახალგაზრდების სამომავლო ნიშანსვეტი?! მათთვის მხოლოდ დოლარის მოპოვება, თანაც უშრომელად, იქცა ერთადერთ მანათობელ წერტილად. ცოტაღა დარჩა ისეთი, ყოველდღიურ კეთილდღეობას მწერლის, მეცნიერის, ხელოვანის ღატაკ ცხოვრებას რომ ამჯობინებს.

მწერლობა და კულტურა, მეცნიერება კი კატასტროფის წინაშე დავაყენეთ. რაოდენ სამწუხაროა, რომ პარლამენტში, თუ ბევრ სამთავრობო ორგანიზაციაში აგდებულად უყურებენ მწერლობასა და კულტურას. თქვენი თავი თქვენ თვითონვე ირჩინეთ, ისე გვეუბნებიან, თითქოს მეჯინიბეები ვიყოთ, არსად, არცერთ ქვეყანაში კულტურა თავისი შემოსავლით არ არსებობს. პატარა საქართველოში კი როგორ უნდა იარსებოს, ვთქვათ, სიმფონიურმა ორკესტრმა ან ოპერამ? არ მავიწყდება საქართველოს ერთ-ერთმა ყოფილმა დიდი თანამდებობის კაცმა რომ გვითხრა, ქართველმა მწერლებმა ისევე იცხოვრეთ, როგორც გერმანიაში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში ცხოვრობენო. მე ვუპასუხე, ჯერ თქვენ დაამსგავსეთ საქართველო გერმანიას, საფრანგეთსა და შვეიცარიას და შემდეგ ვილაპარაკოთ-მეთქი. თუმცა, მის მსგავსთა გასაგონად მინდა ხაზგასმით გავიმეორო, რომ ვერსად, თვით ამერიკაშიც კი ხელოვნება დაუხმარებლად ვერ იარსებებს. მაგალითსაც ახლავე მოგახსენებთ.

გერმანიამ შეიფარა ლიანა ისაკაძის საქართველოს კამერული ორკესტრი. იმის მიუხედავად, რომ გერმანიაში კლასიკური მუსიკის კონცერტებზე ბილეთები 120 მარკა (90 დოლარი) ღირს. ორკესტრი მაინც ვერ ირჩენს თავს და დანარჩენ ხარჯებს სახელმწიფო სტრუქტურები კისრულობენ. [illegible]ლი ორი წლით ადრე ორკესტრს წინასწარ აქვს გასტროლები დაგეგმილი (მკითხველს ვთხოვ, წაიკითხოს თ. ჩაჩავას მშვენიერი წერილი „მოცარტის ქუჩა № 2", („კავკასიონი" 27.I.94). უფრო მეტიც, უკვე მეორე წელიწადია, ლიანა ისაკაძეს სიმებიან საკრავთა კონსერვატორია გაუხსნეს, კონსერვატორიაში მარტო გერმანელები კი არა, იტალიელები, ავსტრიელები და თურქებიც სწავლობენ. სწავლის მსურველები კი უამრავნი ყოფილან. ამიტომაც გამოუყვეს, თურმე, კონსერვატორიას უბრწყინვალესი შენობა, რომლის რესტავრაცია ბავარიის მთავრობას 15 მილიონი მარკა დაუჯდება. ვარაუდობენ, რომ ლ. ისაკაძის კონსერვატორია ერთ-ერთი პრესტიჟული იქნება მსოფლიოში.

ჩვენ კი რა გავაკეთეთ იმისათვის, ლიანა ისაკაძე რომ საქართველოში დაგვეტოვებინა?

ჩამოვთვალოთ იმ უბრწყინვალეს ქართველ მსახიობთა გვარები, ევროპისა და რუსეთის სცენებს რომ ამშვენებენ?

მათ მაგალითს მალე მიბაძავენ მხატვრები, არქიტექტორები, კინორეჟისორები, მეცნიერები. როგორ გგონიათ, თუ ასე გაგრძელდა, ყველა დაბრუნდება საქართველოში, ვინც კი დღეს საზღვარგარეთ სწავლობს? არავინ იფიქროს, რომ ისინი ნაკლები პატრიოტები არიან თავისი ქვეყნისა, მაგრამ რა ქნან, როცა მათ სულიერ და შემოქმედებით მოთხოვნილებებს სამშობლოში არავითარი გასაქანი არა აქვს?

ასე დადგება განადგურების წინაშე მთელი ქართული მწერლობა, კულტურა, განათლება.

როგორ შევლენ ჩვენი ახალგაზრდები 21-ე საუკუნეში, ინტელექტუალური შრომის საუკუნეში?

როცა ბენზინი ან პური არ არის, ქვეყანას იმ დღესვე ეტყობა მათი უქონლობა, მაგრამ დეფიციტის გამოსწორებაც უმალვე შეიძლება.

როცა მეცნიერება, მწერლობა და კულტურა არ არის, ამას უფრო გვიან გაიგებს ერი, მაგრამ, როცა გაიგებს, საქმეს აღარაფერი ეშველება. საქართველოს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა არასოდეს წარმოადგენდა მსოფლიოში საქართველოს, არც მისი კურორტები, არც „ბორჯომი" და მანგანუმის მადანი. [illegible] ქართული ლიტერატურა და ხელოვნება [illegible] მსოფლიოში საქართველოს სავიზიტო ბარათი და [illegible] რელი.

აი, როგორი სათაურით დაიბეჭდა წერილი ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში: „გერმანული მუსიკის ბრწყინვალე ინტერპრეტატორები ქვეყანაში სუფევს ქურდობა, ბანდიტიზმი, შიმშილი, ქაოსი, განუკითხაობა".

აქვე მინდა მოვიშველიო იუნესკოს პრეზიდენტის აღტაცებული გამონათქვამი საქართველოს კამერული ორკესტრის კონცერტის შემდეგ: „ღმერთო, ეს ვინ ყოფილხართ ქართველები!"

დამეთანხმებით, დღესდღეობით მხოლოდ ქართულ მწერლობასა და კულტურას თუ შეუძლია გააქარწყლოს საქართველოზე ის უკუღმართი წარმოდგენები, დღევანდელი განუკითხაობით რომ შეიქმნა მსოფლიოს.

— მომავალს როგორ უყურებთ?

— რასაკვირველია, იმედიანად. ამას რომ ვამბობ, ერთ მოსაზრებას ვეყრდნობი. ბოლოს და ბოლოს, წყლის ამმღვრევი ხალხი მიხვდება, რომ ისინი საქართველოს უფსკრულისაკენ ეზიდებიან. მიხვდებიან, რომ საკუთარ შვილებს, შვილიშვილებს იმეტებენ დასაღუპავად, მიხვდებიან, რომ ხვალინდელი და ზეგინდელი საქართველოს სიძლიერეს დღესვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი. რად გვინდა ისეთი თავისუფლება, თუ ქვეყანაში ქაოსი და უკანონობა იზეიმებს! რად გვინდა ისეთი თავისუფლება, თუ ქართველი ხალხი აიყრება და უცხოეთში დაიწყებს თავშესაფრის ძებნას? რად გვინდა ისეთი თავისუფლება, თუ ქართველ ახალგაზრდებს ოჯახის შექმნისა შეეშინდებათ და კატასტროფულად შევამცირებთ ისედაც შემცირებულ შვილოსნობას?!

ბოლოს და ბოლოს, უნდა ვაჯობოთ საკუთარ თავს, სამშობლო ჭეშმარიტად უნდა დავაყენოთ ყველაფერზე მაღლა, თუნდაც ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების კეთილდღეობისათვის.

— მაინც რა მიგაჩნიათ დამოუკიდებლობის, დემოკრატიის, წესრიგისა და აღორძინების გარანტად?

— კანონისა და კანონიერების დიქტატურა. ჭეშმარიტი დემოკრატია — ეს არის კანონის დიქტატურა.

ესაუბრა
ზურაბ ლობჟანიძე.

დისკუსია: როგორ ვუშველოთ საქართველოს?

თვალსაზრისი: მე ასე ვხედავ

Argumentum ad Rem

ამ პუბლიკაციას საფუძვლად დაედო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გიორგი ჭანტურიას დასკვნითი მოხსენების მეორე ნაწილი, რომელიც მან წაიკითხა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ღია კონფერენციაზე, თბილისში, 1994 წლის 19 თებერვალს.

მოკლედ, ორი სიტყვით, ასე შეიძლება ჩვენი გასაკეთებლის ჩამოყალიბება: სახელმწიფოებრივი მშენებლობის დაწყება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, მართლწესრიგის დამყარება, არმიის შექმნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეკონომიკური სტაბილიზაცია და კუპონის გამყარების გზით ეროვნულ ვალუტაზე გადასვლა, ხელისუფლების განმტკიცება. (ეს უკანასკნელი უპირველესია თავისი მნიშვნელობით, რადგანაც მტკიცე ხელისუფლების გარეშე სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაზე ლაპარაკიც ზედმეტია).

ძალიან ძნელია, მით უმეტეს, ობიექტური პრობლემების არსებობის პირობებში, ამ ამოცანების გადაწყვეტა, მაგრამ მთელი სერიოზულობით ვაცხადებთ, რომ ეს შესაძლებელია და თუ ჩვენ არსებობა გვსურს, ეს ამოცანები უნდა გადავწყვიტოთ.

როგორ, რა გზებით უნდა მოხდეს ყველა პრობლემის მოგვარება და როგორ უნდა წარიმართოს ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა, ამის თაობაზე ჩვენი შეხედულება გვაქვს, რაც ბევრისათვის უკვე ცნობილია, მაგრამ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი ჩვენი მოსაზრების ხელმეორედ, სქემატურად მაინც, გადმოცემა:

ა) ეკონომიკა.

კატასტროფულია ეროვნული მეურნეობის სფეროში შექმნილი მდგომარეობა. არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად არა მარტო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ნორმალიზაცია, არამედ სახელმწიფოებრიობაც კი შესაძლებელია კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.

მთავრობამ ნათლად ვერ გაიცნობიერა, რომ ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა სისხლხორცეულად დაკავშირებულია მის ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან, რისი საფუძველიც დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკური სისტემაა. ჩვენში აღნიშნული სისტემის არა თუ ჩამოყალიბების პროცესი არ დაწყებულა, პირიქით, უკუპროცესი შეიმჩნევა. ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის უქონლად დარჩენილი საქართველოსათვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა სიმბოლურ ხასიათს შეიძენს.

არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ თავისი ასახვა ჰპოვა ქვეყნის სოციალურ ინფრასტრუქტურაზე. შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში მოქმედებს რიგ განვითარებად ქვეყნებში გავრცელებული ე. წ. „ცალმხრივი გადანაწილების" და არა „ეკონომიკური ზრდის" პრინციპი. „ეკონომიკური ზრდის" პრინციპის განხორციელებისათვის შემდეგი მასტიმულირებელი ფაქტორებია საჭირო: კერძო საკუთრების ინსტიტუტი, თავისუფალი მეწარმეობა, კონკურენცია. აღნიშნული ფაქტორების უარსებობის პირობებში, როცა სახელმწიფო საკუთრებად წოდებულ „წითლების" საკუთრებას მონოპოლიური მდგომარეობა უკავია, რეალურად არ ხდება ახალი ეროვნული სიმდიდრის შექმნა, მიმდინარეობს არსებულის გადანაწილება საზოგადოების მცირე ნაწილის სასარგებლოდ, რომელიც მჭიდრო კავშირშია სახელმწიფო სტრუქტურებთან და ოფიციალურ თუ არაოფიციალურ გასამხედროებულ ჯგუფებთან. ამის შედეგად საზოგადოების ძალზე მცირე ნაწილი სწრაფად მდიდრდება, ხოლო უმრავლესობის ცხოვრების დონე კატასტროფული სისწრაფით ეცემა, რაც სოციალური აფეთქებისთვის მშვენიერ ფონს ქმნის.

სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს მთავრობის მცდარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად წარმოშობილი უმართავი ინფლაციური პროცესები. როგორც ცნობილია, ინფლაცია ყველაზე დამანგრეველ ზემოქმედებას საზოგადოების მცირეშემოსავლიან და სოციალურად ნაკლებად დაცულ ფენაზე ახდენს. თუ არსებული ეკონომიკური სისტემა უცვლელი დარჩება, მოსალოდნელია დიდი კატაკლიზმები, რისი თავიდან აცილებაც მოქნილი სოციალურ-ეკონომიკური ბერკეტების უქონლობის პირობებში მხოლოდ ფიზიკური ძალის გამოყენებით არის შესაძლებელი, ეს კი საქართველოში დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების შექმნას მეტად ილუზიურს ხდის.

საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის ორიენტაცია უნდა გახდეს დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკური სისტემის შექმნა, რაც გულისხმობს საქართველოს ერთიანი ბაზრის, ერთიანი ეკონომიკური სივრცის, ავტონომიური ფულად-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებას.

აქვე, აუცილებელია, შევეხოთ პროვოკაციულად „შემოგდებულ" ე. წ. „სამანეთო სივრცეში" საქართველოს შესვლის თემას. თავი რომ გავანებოთ იმ საკითხს, რომ რუსული „რუბლის" მომხრეები თავს არ იწუხებენ არგუმენტებით და არანაირი მეცნიერული და კომპეტენტური მსჯელობით არ ცდილობენ ოპონენტების, მთელი მოსახლეობის დარწმუნებას, არამედ მხოლოდ დემაგოგიითა და შიშველი პოპულიზმით ცდილობენ ფონს გასვლას, მთავარი სხვაა: არანაირი „რუბლის" ზონა რეალურად არ არსებობს, არის მხოლოდ რუსეთის ფედერაციის მანეთი, რომლითაც სარგებლობენ ამ ფედერაციის სუბიექტები. ყველა ის ქვეყანა და ნახევარ-ქვეყანა, რომელიც ოფიციალურად რუსულ „რუბლს" შემოიღებს, ფაქტობრივად რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილი ხდება.

ის რომ, არაოფიციალურად რუსული მანეთი მაინც არის მიმოქცევაში ჩვენთან, არაფერს ნიშნავს; ჩვენთან მიმოქცევაში დოლარიც არის, თან სახელმწიფოს, თუ ამის სურვილი ექნება, ძალიან ადვილად შეუძლია კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად ქცევა (ეს ადმინისტრაციული ორგანოების საშუალებითაც შეიძლება) და ამ პრობლემის მოგვარება.

იმასაც არ აქცევენ რატომღაც ყურადღებას, რომ კუპონი და მანეთი თვისებრივად ერთნაირი ფულია და განსხვავება მათ შორის მხოლოდ ვარდნის ტემპებშია (ეს განსხვავებაც მალე წაიშლება რუსეთში რეფორმების ფაქტობრივ შეჩერებასთან დაკავშირებით).

ასე რომ, ეკონომიკური თვალსაზრისით რუსული მანეთის შემოღებას არანაირი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს და ის ჩვენი მოსახლეობის მდგომარეობას ოდნავაც ვერ გამოასწორებს. ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ნაბიჯი, რომლის მიზანიც ქართული სახელმწიფოებრიობის საბოლოო დანგრევა და საქართველოს ფაქტობრივად რუსეთის ფედერაციის შემადგენელ ნაწილად გადაქცევა იქნება. (ასევე, ზოგს ჰგონია, რომ ხელფასად ასი ათასი კუპონის ნაცვლად ასი ათას მანეთს მიიღებს, სინამდვილეში მოხდება 100 ათასი კუპონის კურსის შესაბამისი მანეთის გაცემა და ჩვენი მოსახლეობის ფინანსური შესაძლებლობა იგივე დარჩება, რაც დღეს, და ესეც, საუკეთესო შემთხვევაში).

ასევე, ლაპარაკია „ძველი კავშირების" აღდგენაზე, ეს ნონსენსია, რადგანაც „ძველი კავშირების" აღდგენა სოციალიზმის ურესტავრაციოდ შეუძლებელია, სოციალიზმის რესტავრაცია კი წარმოუდგენელია. ჩვენ შეიძლება ვისაუბროთ კავშირების დამყარებაზე ძველ, ასე ვთქვათ, პარტნიორებთან რუსეთში თუ „დე-სე-თეს"" ქვეყნებში მაგრამ ეს თვისებრივად ახალი კავშირები იქნება და „ძველი კავშირების" აღდგენის მსურველებს ეს სასურველ ეფექტს ვერ მისცემს, რისი იმედიც მათ აქვთ.

კავშირების წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ, ვიმეორებთ, საკუთარი ეკონომიკური სისტემისა და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის განუხორციელებლად ეს კავშირები თავისთავად არაფრის მომტანია.

ეკონომიკური პოლიტიკის მიზანს უნდა შეადგენდეს მყარი ეკონომიკური ზრდა, სტაბილური ფულადი სისტემა, დასაქმების საკითხების მოგვარება და საგარეო-ეკონომიკური წონასწორობა. ამისათვის საჭიროა: რეფორმატორების მთავრობის მოსვლა (არ შეიძლება რეფორმა იმ ადამიანებმა განახორციელონ, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლებს აშენებდნენ და დღესაც „ძველ" კავშირებზე, ანუ პარაზიტულ ეკონომიკურ ყოფაზე საუბრობენ), რომელიც მთლიანობაში, ცხოვრების ყველა სფეროში და, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკაში, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების რეკომენდაციებით, ყოველგვარი პოპულიზმისა და მოსახლეობასთან თამაშის გარეშე განახორციელებს რეფორმებს;

— მართვის არსებული სტრუქტურების გარდაქმნა და რაციონალიზაცია;

— ეკონომიკური რეფორმების სამართლებრივი უზრუნველყოფა;

— საკუთრების რეფორმის მეურნეობის ყველა დარგში რეალური განხორციელება;

— ინფლაციური პროცესების შესაჩერებლად, კაპიტალის გადინების შესაწყვეტად და მისი ფორმაციისათვის, სტაბილური ფულადი სისტემის უზრუნველსაყოფად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება;

— კერძო მეწარმეობისადმი და მცირე ბიზნესის განვითარებისათვის სახელმწიფო ზრუნვის პოლიტიკის განხორციელება;

— საგარეო-ეკონომიკური კავშირების ლიბერალიზაცია, ოღონდ რაციონალურად და საქართველოს ღია ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნად გადაქცევა.

საქართველოში ბატონობდა მითი, რომ ბორჯომითა და ჩაით გავიტანდით თავს, რაც დამღუპველი აღმოჩნდა; დღეს მეორე მითი იქმნება, რომ ჩვენ წყალწაღებული ვართ და რუსეთმა თუ არ გვარჩინა, დავიღუპებით, რაც არანაკლებ საშიშია ჩვენთვის. უნდა შევიგნოთ, რომ რეფორმატორთა გუნდით, საბაზრო ეკონომიკაზე დეპოპულიზებული გადასვლით, საკუთარი რესურსების გონივრული გამოყენებით, წმინდა ეკონომიკური კონტაქტებით, მათ შორის „დსთ" ქვეყნებთან (ოღონდ არა პოლიტიკური ქვეტექსტებით) და რაც მთავარია პატიოსნებითა და შრომით შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა და მოსახლეობისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა.

ბ) მართლწესრიგი

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ხელისუფლების სტრუქტურების გაწმენდა კლანების, ბანდიტური დაჯგუფებების წარმომადგენლებისა და ნარკომანებისაგან.

უნდა მოხდეს ზოგიერთი სახის ნარკოტიკული ნივთიერების ლეგალიზაცია, რაც მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებს ფორმირების პროცესში მყოფ ნარკობიზნესს.

იმის მიუხედავად, რომ პრინციპულად წინააღმდეგი ვართ სიკვდილით დასჯისა, დასაშვებად მიგვაჩნია დროებით, 2—3 წლის განმავლობაში, გამოვიყენოთ სასჯელის განსაკუთრებული ზომა ნარკოტიკების გამყიდველ-გამავრცელებელთა, ტერორისტთა და ადამიანების მომტაცებელთა წინააღმდეგ.

ბუნებრივია, უნდა მოხდეს შესაბამისი ცვლილებების შეტანა სისხლის სამართლის კოდექსში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო თვისებრივად უნდა შეიცვალოს და ხელისუფლების დამცველი პოლიტიზებული ინსტიტუტიდან გარდაიქმნას მოქალაქეთა და მათ უფლებათა დამცველ სტრუქტურად.

ყველა პარტიას, მათ შორის, ხელისუფლების მხარდამჭერსაც, უნდა ჩამოერთვას იარაღი. უნდა გაუქმდეს ყველა არაოფიციალური სამხედრო ფორმირება. ყველა იმ პირის, რომელნიც საჭიროებენ დაცვას, დაცვის მუშაკების იარაღი რეგისტრირებული უნდა იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

დამნაშავეობასთან ბრძოლა უნდა ატარებდეს არა კამპანიურ ხასიათს, არამედ უნდა იყოს მიზანმიმართული და ეს ბრძოლა დაიწყოს „ზემოდან" და არა „ქვემოდან" როგორც ეს დღეს ხდება.

არის სპეციფიური საკითხები, რომლებიც ასევე სპეციფიურ მიდგომასა და გადაწყვეტას საჭიროებს.

გ) საგარეო პოლიტიკა

სახელმწიფო უნდა დაუბრუნდეს პროდასავლურ კურსს, ოღონდ, უკვე უნდა გაატაროს ეს კურსი და მხოლოდ დეკლარირებით არ შემოიფარგლოს. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები და კომპრომისებითაც, ოღონდ არა სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და სუვერენიტეტის ხარჯზე, მოახერხოს რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების დამყარება (აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფერი ჩვენზე არ არის დამოკიდებული და მთავარი მაინც ის არის, თუ ვინ იქნება „იქ" ხელისუფლების სათავეში. ელცინი, რომელიც „დერჟავიზმის" გზას უკვე აშკარად დაადგა და ეკონომიკური რეფორმებიც ფაქტობრივად დაასამარა, მსგავსი კურსის გატარების შემთხვევაში აუცილებლად გაიზიარებს გორბაჩოვის ბედს, რადგანაც ეს კურსი არ აკმაყოფილებს არც დემოკრატებს და არც მაქსიმალისტ ნაციონალისტებს. ჩვენ დაინტერესებული უნდა ვიყოთ რუსეთში ხელისუფლების სათავეში გაიდარისა და სხვა ჭეშმარიტი დემოკრატების მოსვლით, მაგრამ დღევანდელი ხელმძღვანელობა და კონკრეტულად ჩერნომირდინის მთავრობა ობიექტურად ნიადაგს სულ სხვა ძალისთვის ამზადებს და ამ ძალებს სათავეში უდგას ჟირინოვსკი).

საქართველომ აქტიურად უნდა ითანამშრომლოს გაეროსთან, ევროთათბირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. განსაკუთრებით მჭიდრო უნდა იყოს ჩვენი კავშირურთიერთობები ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკთან. აუცილებლად უნდა შევუერთდეთ ინიციატივას „თანამშრომლობა — მშვიდობისათვის".

საქართველომ აქტიური მუშაობა უნდა აწარმოოს ჩრდილოეთ კავკასიაში, ოღონდ, ამ ეტაპზე, სახალხო დიპლომატიის დონეზე.

ბოლოს, სწორი და შედეგიანი საგარეო პოლიტიკის საწარმოებლად აუცილებელია საგარეო საქმეთა სამინისტროს ძირფესვიანი რეორგანიზაცია, მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებების განხორციელება (ეს უნდა შეეხოს ჩვენს დიპლომატებსაც, იშვიათი გამონაკლისის გარდა).

საჭიროა სერიოზული საგარეო-პოლიტიკური კონცეფციის შემუშავება, პრიორიტეტების განსაზღვრა და ამ კონცეფციის საფუძველზე მიზანმიმართული მუშაობა.

დ) საშინაო პოლიტიკის ზოგიერთი მიმართულება

უმთავრესია დამოკიდებულება ეროვნულ მოძრაობასთან, რომლის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ხმები აშკარად გაზვიადებულია. პირიქით, თუ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა, ეროვნული მოძრაობა ახალ ძალებს შეიძენს, მოახერხებს სოციალური აქტიურობის გამოყენებასაც და ძველ, არცთუ უშეცდომო, წარსულიდანაც თუ სათანადო დასკვნებსაც გამოიტანს. ფრიად სოლიდურ და უმნიშვნელოვანეს ერთობადაც ჩამოყალიბდება.

სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია ეროვნული მოძრაობის, საერთოდ, „ახალი ადამიანების" მოსვლა მთავრობაში. [illegible] უხერხული, როცა ეროვნული მოძრაობის დამანგრეველ ძალაზე ის პირები საუბრობენ, რომლებიც წლების განმავლობაში ანგრევდნენ ქვეყანას, ყიდდნენ მიწებს, ანიავებდნენ სახელმწიფო ქონებას, მით უმეტეს, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ გამსახურდიას მმართველობის ერთი წელიწადი, რომელიც ასე ძვირად ამოუყვანეს ყელში, არ იყო ეროვნული მოძრაობის მმართველობის წელიწადი. გამსახურდიამ თავისი „ღრმა სახელმწიფოებრივი" საქმიანობა სწორედ ეროვნული მოძრაობის უმაღლესი ორგანოს — ეროვნული კონგრესის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო (აქ ბესო გუგუშვილის კონვერგენციისა და სხვა ანტიეროვნული იდეებისა თუ გადაწყვეტილებების გახსენება შეიძლება). ეროვნული მოძრაობა ჯერ არ ყოფილა ხელისუფლების სათავეში და ამ მოძრაობას გულითაც რომ ნდომებოდა რისამე დანგრევა, ვერაფერს დაანგრევდა. შეიძლება ეროვნული მოძრაობა ბევრს არ მოსწონდეს, მაგრამ კრედიტები მის წარმომადგენელს არ გაუცია; ეროვნულ მოძრაობას შეიძლება სხვადასხვანაირად უყურებდე, მაგრამ ერთდოლარიანი ხორბალი მან კი არ შემოიტანა დოლარად და ოცდაათ ცენტად, არამედ იმ პირმა, რომელიც დღესაც ვიცე-პრემიერია; ეროვნულ მოძრაობას არც ჰუმანური დახმარება შეუჭამია და არც აფხაზეთი დაუკარგავს. ფასადის შესალამაზებლად ეროვნული მოძრაობის ცალკეული წარმომადგენლის ხელისუფლებაში მიყვანაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ხელისუფლების სათავეში ეროვნული მოძრაობის მოსვლას.

ეროვნულ მოძრაობას შეცდომები ჰქონდა და საკმაოდ ბევრიც. მაგრამ მის ჩასაქოლად პირველი ქვა იმან აიღოს, რომელსაც ბოროტება მაინც არა აქვს ჩადენილი საკუთარი ხალხის წინაშე და უშეცდომოა. ამიტომ, ბრალდებებს უნდა მოვეშვათ და იმ ხალხს ვანდოთ ერის ბედი, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოს მშენებლობა და, რაც მთავარია, სურს ეს.

დღეს ხელისუფლება ანარქიის პირად არის მისული, ანარქია კი მზად არის გახდეს ხელისუფლება. ლიხტენბერგის აზრით, ყოველივე სიკეთის წინაპირობა წესრიგშია, მაგრამ რას მივყავართ წესრიგისაკენ? საჭირო ხომ არ არის დემოკრატიაზე უარის თქმა და დიქტატურის დამყარება? არა, საჭირო არ არის, რადგანაც წესრიგის მიღწევა დემოკრატიული სტრუქტურებითაც არის შესაძლებელი. თითქმის ყველა დემოკრატიულმა ქვეყანამ გაიარა „დემოკრატიული ცეზარიზმის" ხანა, ანუ პერიოდი, როცა ძლიერი დემოკრატიული სტრუქტურების შექმნისათვის ხელისუფლება გარკვეულ შეზღუდვებს და სხვა სახის დროებით ღონისძიებებს მიმართავს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც რეფორმების გატარებისას, ხელისუფლება უნდა სარგებლობდეს მოსახლეობის დიდი ნდობით და ამ ხელისუფლებამ ეს ნდობა ბოროტად არ უნდა გამოიყენოს. „დემოკრატიული ცეზარიზმი" ძლიერ საპრეზიდენტო ხელისუფლებას გულისხმობს, ოღონდ ძლიერი პარლამენტითა და, როგორც აღვნიშნეთ, ნდობის დიდი მარაგით.

წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემები მოუგვარებელია და ამ პრობლემების მოგვარებამდე წესრიგსა და სტაბილურობაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება. მოსახლეობისთვის ცნობილია ჩვენი პარტიის შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით, ამიტომ მხოლოდ ერთს დავამატებ: საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა ორივე პრობლემისადმი, რადგანაც, თუ სამაჩაბლოსთან დაკავშირებით შესაძლებელია სამშვიდობო ღონისძიებების ეფექტიანი გამოყენება და გონივრული კომპრომისებით ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, აფხაზეთთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, ჯერ პარტიზანულ ომებზე უნდა გადავიტანოთ აქცენტი, ხოლო არმიის ჩამოყალიბების შემდეგ, კონფლიქტის ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციით გადაწყვეტაზე.

არმიისა და სამხედრო მრეწველობის მშენებლობის საქმე აუცილებლად სამოქალაქო პირებს, პოლიტიკოსებს უნდა ჩაბარდეთ, ხოლო პროფესიონალი სამხედროები სამხედრო-ოპერატიული მართვისა და სხვა სპეციფიკური სფეროების ხელმძღვანელებად უნდა მოგვევლინონ (ისე, როგორც ყველა ნორმალურ სახელმწიფოში).

ე) რით დავიწყოთ?

ობიექტური მიზეზების მიუხედავად, ხელისუფლება, მისი ყოველი შემადგენელი ნაწილი, ქვეყნის დანგრევისა და გაჩანაგების გამო პასუხისმგებლობას თავიდან ვერ მოიხსნის. პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენა კი, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკიდან თუ არა, დაკავებული თანამდებობიდან წასვლით უნდა გამოიხატოს. თუ ეს ნებით არ მოხდება, ჩვენ მრავალგზის აღგვინიშნავს, რომ მოხდება ძალით, სოციალური აფეთქებითა თუ მასობრივი გამოსვლებით, რადგანაც ხალხს სხვა გამოსავალი აღარა აქვს და სინათლეც გვირაბის ბოლოს დიდი ხანია არ ჩანს.

საქართველო მსგავს კატაკლიზმებს ნამდვილად ველარ გადაიტანს და სწორედ ამიტომ კიდევ უფრო აქტუალური ხდება ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლის საკითხი.

პირველ რიგში მისაღებია ახალი საარჩევნო კანონი და დასანიშნია რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები (კონსტიტუციის მიღება არჩევნების პარალელურად შეიძლება, ხოლო აფხაზეთის დაბრუნებამდე არჩევნების გადატანისათვის დროს ჩვენ არავინ მოგვცემს). არჩევნები უნდა მოეწყოს პარტიული სიებით და აუცილებლად ხუთპროცენტიანი ბარიერით პარტიებისათვის (ბლოკებისათვის — ათპროცენტიანი ბარიერით). ამის შედეგად ჩვენ პარლამენტში ორი-სამი მართლაც სერიოზული პარტია გვეყოლება. გამარჯვებული პარტია ან პარტიათა კოალიცია კი დააკომპლექტებს მთავრობას და ბოლოს „ახალი თაობა", ანუ, არასოციალისტური მენტალიტეტის მქონე პირები მოვლენ ხელისუფლების სათავეში.

არჩევნების დღე უნდა გამოცხადდეს სასწრაფოდ, ხოლო მანამდე (შეიძლება ითქვას, დღესვე) მინისტრთა კაბინეტი უნდა გადადგეს (და არა ბიუჯეტის საბაბით), ძველი პარტმუშაკისა თუ ქარხნის ყოფილი დირექტორის ნაცვლად მთავრობას სათავეში უნდა ჩაუდგეს პოლიტიკოსი, რომელსაც ექნება როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ასევე უმცირესობის მხარდაჭერა.

რადგანაც დღეს ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, ჩვენი ძალები უნდა გავაერთიანოთ და ყველამ გავინაწილოთ პასუხისმგებლობა. ეროვნული ხსნის მთავრობა უნდა დაკომპლექტდეს როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის წარმომადგენლებისაგან, რითაც მიიღწევა პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაცია, რეფორმისტულ და პატიოსან ძალთა მოსვლა ხელისუფლების სათავეში და მორალურ-პარტიულ პასუხისმგებლობასთან ერთად კოლექტიური პასუხისმგებლობის ხარისხის ზრდაც, რის დეფიციტსაც ესოდენ მწვავედ განვიცდით. ამ მთავრობას ექნება მხოლოდ ერთი ნაკლი, ის არ იქნება გუნდი მისი შემადგენლობის სიჭრელის გამო, მაგრამ სამაგიეროდ ის იქნება ქვეყნის გამაერთიანებელი და არჩევნებამდე უზრუნველყოფს ქვეყნის სუვერენიტეტის ხელშეუხებლობასა და რეფორმების გატარებას.

ეროვნული ხსნის მთავრობა — ეს არის ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა იმ ქვეყანაზე, რომელსაც საქართველო ჰქვია და რომელიც ყველამ უნდა გადავარჩინოთ და ავაშენოთ, ჩვენი პარტიულობისა, მრწამსისა თუ სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. აი, ჩვენ გვაქვს არჩევანი — ვიყოთ ერთად, ერთად დავუპირისპირდეთ იმ უამრავ პრობლემას, რაც დღეს ჩვენს მოსახლეობას შთანთქვით ემუქრება: ან გავაგრძელოთ ერთმანეთის ჭამა და საქართველოს ნაწილ-ნაწილ მიცემა იმ ძალისათვის, „რომელიც იყო, არის და კიდევ ცოტა ხნით იქნება" ჩვენი რწმენისა და ძალის გამოსაცდელად.

გიორგი ჭანტურია.

ფირმა «A&Co»

მოსახლეობისაგან იღებს სესხებს თვიურად 20 პროცენტის დარიცხვით 1, 3 და 6 თვის ვადით. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

ი. ჭავჭავაძის 49
(სპორტკომიტეტის შენობაში) მე-5 სართული
ტელ: 29-29-05

ვყიდი



გერმანულ პიანინოს "GEBR. NIENDORF" ფასი შეთანხმებით, მსურველებმა მოგვაკითხონ მისამართზე:
ქავთარაძის ქ. № 3 მე-3 ხადარბაზი ბინა 39.
ტელ: 30-03-46.

საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი «კავკასიური სახლი»

გიწვევთ კავკასიის ხალხთა ენების შესასწავლად. სწავლება უფასოა.

იხწავლება:

- ქართული (არაქართველთათვის)
- აფხაზური
- აზერბაიჯანული
- ხომხური
- ადიღეური
- ჩაჩნური
- ხუნძური (დაღესტანი)
- დარგიული (დაღესტანი) ენები

წარჩინებულ მოწაფეებს დაენიშნებათ მაღალი სტიპენდია, გადაეცემათ წამახალისებელი პრემიები და საჩუქრები

ენების შესწავლის შემდეგ (ან შესწავლის პროცესში) მოწაფეებს შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ კულტურულ ურთიერთობათა ცენტრთან არსებულ „კულტურის უნივერსიტეტში" კავკასიოლოგიის ან პოლიტოლოგიის ფაკულტეტზე.

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - „კავკასიური სახლი" იზრუნებს მათი შემდგომი დასაქმებისთვის. მათ, ვინც საფუძვლიანად დაეუფლება კავკასიის ენებს, გაეწევათ რეკომენდაცია შესაბამის სამხ. ხურებში თარჯიმნებად, მთარგმნელებად და პოლიტოლოგებად მუშაობისათვის.

განცხადებები მიიღება ამა წლის 10 მარტამდე, ყოველ დღე 11 საათიდან 3 საათამდე შაბათ-კვირის გარდა.

იჩქარეთ, საქართველოსთვის ყოვლად აუცილებელია მეზობელ ხალხთა ენების მცოდნე ადამიანები.

ჩვენი მისამართია: გალაკტიონის ქ. № 20 (თავისუფლების მოედანთან) ტელეფონი: 93-65-39, 93-23-46

ERC

ვაჟა-ფშაველას გამზ. 44, მე-2 სართ. (მ.„დელისი")
ტელ: 39-87-25, 39-38-03, 30-00-77.
ვაჟა ფშაველაძე

"ELITE-RC" CO. LTD
შპს «ელიტა-ცქ»

3-თვიან კურსებზე შეისწავლება ქართული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური და თურქული ლაპარაკი, წერა და კითხვა. ჯგუფში არის 5 სტუდენტი. მეცადინეობა ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა. მეცადინეობის ხანგრძლივობა – 1ს. და 45 წ.

ქართული ენა (რუსულენოვანთათვის) მ. „სამედიცინო ინსტ-თან", 10:00ს-ზე;
ინგლისური ენა - მ. „დელისთან", დილით, შუადღისას და საღამოს;
— მ. „სამედიცინო ინსტ-თან", დილით, შუადღისას და საღამოს;
— ვაჟა-ფშაველას მე-7 კვარტალში, № 26 ბაგა-ბაღის შენობაში, 10:00 და 5:00;
— ვაკეში, დილით, შუადღისას და საღამოს;
— დიდუბეში, მ „წერეთელთან", 5:00 ს.;
გერმანული ენა მ „დელისთან", დილით შუადღისას და საღამოს.
ფრანგული ენა მ. „ნაძალადევთან", შუადღისას და საღამოს;
— ვაჟა-ფშაველას მე-7 კვარტალში, № 26 ბაგა-ბაღის შენობაში 5:00 ს;
— ვაკეში, დილით და შუადღისას;
თურქული ენა - ვერაზე, სასტუმრო „საქართველოსთან", 5:00;
— მ. „სამედიცინო ინსტიტუტთან", 3:30;
იტალიური ენა — ვაჟა-ფშაველას მე-7 კვარტ. № 26 ბაგა-ბაღის შენობაში: 5:00;

კურსებით დაინტერესებულ სრულ ჯგუფს მეცადინეობა შესაძლებელია ჩაუტარდეთ მათთვის სასურველ დროს და ადგილას. კურსდამთავრებულებს გადაეცემათ მოწმობა. ფასი მხოლოდ 60 დოლარის შესატყვისი თანხა წინასწარ, ნაღდად ან გადარიცხვით.

ყოველ სამ თვეში ერთი უცხო ენა!!!

კომპანია „ინტერბიზნესი"

გთავაზობთ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:

1. ისრაელი
2. არაბეთის გაერთიანებული საამიროები (დუბაი)
3. პაკისტანი (ყარაჩი)
4. ირანი (თეირანი)
5. ბულგარეთი (სოფია)

კომპანია „ინტერბიზნესი" და ისრაელის ცნობილი ფირმა "SENATOR CHARTERS" ერთობლივად, ავიაკომპანია „ორბი"-სთან ერთად, პირველად საქართველოში.

პირდაპირი რეისით თბილისი-თელ-ავივი-თბილისი. 7-დღიანი მოგზაურობა ისრაელში.

ტურისტები იცხოვრებენ ქ.თელ-ავივში 3 ვარსკვლავიან სასტუმროში, ორჯერადი კვებით.

ისრაელში ყოფნისას ტურისტები დაათვალიერებენ, იერუსალიმი: ზეთისხილის მთა, ჯვარცმის გზა, გოლგოთა, ქრისტეს საფლავი, ჯვრის მონასტერი.

ბეთლემი: ქრისტეშობის ტაძარი.

გალილეა, ნაზარეთი, ტიბერიის ტბა, მდინარე იორდანი. დაათვალიერებენ იუდეას უდაბნოს, მკვდარ ზღვას და სხვა ისტორიულ ადგილებს.

ისრაელში ყოფნის პერიოდში ტურისტებს მოემსახურება კომფორტული ავტობუსი და გიდი-თარჯიმანი.

ბიზნესით დაინტერესებულ პირებს დაეხმარებიან ისრაელის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებაში.

ადგილების რაოდენობა შეზღუდულია. საბუთების შემოტანა სასწრაფოა.

ჩვენი მისამართია: დალმაშენებლის გამზირი № 115 ფირმა „თემსო"-ს შენობაში.
ტელ: 96-73-58, 10-დან 16 საათამდე (კვირის გარდა).



კომპიუტერები და ორგტექნიკა

ნებისმიერი კონფიგურაციის კომპიუტერები, პრინტერები, სკანერები, პროგრამული უზრუნველყოფა, ასლგადამღები აპარატები და სხვა ორგტექნიკა.

UPS- (უწყვეტი კვების წყარო) - 500 - 1200 VA, რომელიც დაიცავს თქვენს კომპიუტერს ძაბვის ვარდნისაგან და უზრუნველყოფს მის მუშაობას 15 - 30 წუთის განმავლობაში დენის გამორთვის შემდეგ.

ხარისხი და ფასები, საიმედობა და გარანტია უზრუნველყოფილია უშუალოდ მწარმოებელი ფირმების მიერ

Hewlett Packard-ის, IBM-ის, EPSON-ის, XEROX-ის, Kodak-ის, Microsoft-ის, NOVELL-ის ოფიციალური დილერი-

STEEPLER®

თბილისი, პირსალაქის 8
ტელ. 99 77 12



იყიდება მანქანა „აუდი-სპორტი".
ტელ: 95-59-31.

ტურისტული ფირმა «ომეგა»

გეპატიჟებათ ევროპის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქ ვენაში.

ოთხი დღის განმავლობაში თქვენ გაეცნობით ავსტრიის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ასევე შეგიძლიათ შეიძინოთ ნებისმიერი დასავლური მარკის ავტომობილი.

ჯგუფის გამგზავრება მოსკოვიდან მატარებლით მოსკოვი-ვენა.
გელით შემდეგ მისამართზე:
სასტუმრო „ივერია", ოთახი 117
10.00 საათიდან 14.00 საათამდე ყოველ დღე
(გარდა შაბათ-კვირისა).
ტელეფონი 93-04-47.

იყიდება ჩეხური წარმოების არაყი

"SUVOROV"

ბოთლებში კუპონებზე, 2[illegible] დოლარის შესაბამისი კურსით. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელ: 23-00-2[illegible]

კონკურსი

სააქციო საზოგადოება «საქართველოს ბუნებრივი წყლები»

აცხადებს ღია კონკურსს საზოგადოების ემბლემაზე.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია სამი პრემია კუპონებში 150, 100 და 70 აშშ დოლარის შესაბამისი თანხის ოდენობით. ნამუშევრების წარმოდგენის ბოლო ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირა.

კონკურსის პირობების გაცნობა შეიძლება:
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის 123, ტელ: 96-36-50, 95-92-57.

იყიდება

უმაღლესი ხარისხის პურის ფქვილი 70 კგ. ტომრებით. ტელ: 23-38-89.

ავტომოყვარულთა და ავტოსატრანსპორტო საწარმოთა საყურადღებოდ!

სააქციო საზოგადოება „ია" – აწარმოებს თხევადი გაზის მოწყობილობის დამონტაჟებას მსუბუქ და სატვირთო (ბენზინზე მომუშავე) ავტომანქანებზე, როგორც ნაღდ ანგარიშზე ისე გადარიცხვით.

ამასთან საზოგადოება ფულის შემოტანის დღიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ გაზის მოწყობილობაზე გადახდილ თანხას მყიდველს უბრუნებს უკან იმ სახის ვალუტით, რომლითაც შემოიტანა.



დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სააქციო საზოგადოება „ია"-ს გამგეობას 10-დან 13 საათამდე მისამართზე:
ჯიქიას ქ. №4, მე-4 სართული,
ოთახი №5, 6,
ტელეფონი: 31-91-68.

ვყიდი ოროთახიან ბინას ვაკეში.
ფართი 60 კვ. მ. საგარაჟე ადგილით, ტელეფონით, საერთო ეზოს მეორე სართულზე.

ტელ: 29-10-92 ნიკო
ან 39-47-55 მანანა,
ფასი 6500 დოლარი

კახეთის ზონის მოსახლეობის საყურადღებოდ!

კომპანია «საქაერო» 15 მარტიდან აწყებს ავიარეისებს თელავი-ბათუმი-თელავი ან — 26 ტიპის თვითმფრინავებით. რეისები შესრულდება კვირაში ერთხელ — სამშაბათობით.

თურქეთში მიმავალ ტურისტებს ქ. ბათუმის აეროპორტში დახვდება «იკარუსის» ტიპის ავტობუსი, რომელიც ყოველგვარი გართულების გარეშე 3-4 საათში ჩაიყვანს მათ ქ. ტრაპზონში. მგზავრები უკან დაბრუნდებიან 3 დღეში.

ბათუმსა და ტრაპზონში მგზავრებს საჭიროების შემთხვევაში მოემსახურება ჩვენს მიერ დაჯავშნული სასტუმროები.

კომპანია «საქაერო» გთავაზობთ აგრეთვე ტვირთის გადაზიდვას საქართველოს ადგილობრივი მნიშვნელობის აეროპორტებიდან ყოფილი კავშირის ნებისმიერ ქალაქში.

ბილეთების შესაძენად და სხვა პირობების გასაგებად მიმართეთ თელავის, ლაგოდეხისა და გურჯაანის სამოქალაქო ავიაციის სალაროებს.

ჩვენი მისამართია:
თბილისი, რუსთაველის გამზირი №28, სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტი,
ოთახი №5, ტელ: 93-16-87.

ავიამარშრუტებზე სიახლეა!

6 მარტიდან ყოველ კვირა დღეს შესრულდება ჩარტერული რეისები

კიევი-კოპიტნარი-კიევი.

ბილეთების შეძენა შეიძლება ქუთაისის ავიასალაროებში.

კავკასიის ბანკი

[illegible]

ანგარიშსწორება რუსეთთან!

„კავკასიის ბანკს" პირდაპირი საკორესპონდენტო ურთიერთობები აქვს რუსეთის ეროვნულ კომერციულ ბანკთან, მისი მეშვეობით კი ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის 36 კომერციულ ბანკთან.

РНКБ

ჩვენი კლიენტი რომ გახდებით, საშუალება მოგეცემათ გახსნათ სავალუტო ანგარიში რუსულ მანეთებში და მოახდინოთ ოპერირება რუსეთის ფედერაციისა და თანამეგობრობის სხვა რესპუბლიკების, აგრეთვე ბალტიის ტერიტორიაზე საქართველოდან გაუმგზავრებლად.

ტელეფონები ცნობებისათვის:
ქ. თბილისში – 30-08-31, 30-47-58
ქ. მოსკოვში – 262-99-79.

რეკვიზიტები:
საკორესპონდენტო ანგარიში №1161307, მფო 201791, რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის რკც გუ მოსკოვში, „კავკასიის ბანკის" პირადი ანგარიში – 603022.

მისამართები:
„კავკასიის ბანკი" – ქ. თბილისი,
ჭავჭავაძის პრ. 72,
მე-2 სართული, რუსეთის ეროვნული კომერციული ბანკის –
101006, ქ. მოსკოვი,
მიასნიცკაიას 26.

„კავკასიის ბანკი" ყოველთვის დაიცავს თავისი კლიენტის ინტერესებს.

რუსეთის ეროვნული კომერციული ბანკი „კავკასიის ბანკი"

სააგენტო ტელეპრესი

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გამგეობის განცხადება

საქართველოში დღეს შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე საქართველოს მოქალაქეთა კავშირის სათათბიროს დავალებით კავშირის სათათბიროს ეკონომიკურ საკითხთა საკოორდინაციო საბჭომ ჩაატარა შეხვედრა-სემინარები, კონსულტაციები, თათბირები მეცნიერ-ეკონომისტებთან, მეწარმეებთან, ბიზნესმენებთან, წარმოებათა ხელმძღვანელებთან, სახელმწიფო სტრუქტურების სხვადასხვა წარმომადგენლებთან ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის რეალური გზების ძიების მიზნით.

შეხვედრებმა ცხადყვეს, რომ დღევანდელი სავალალო მდგომარეობა სხვა სერიოზულ მიზეზებთან ერთად შედეგია ბოლო წლებში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის არათანმიმდევრულობისა, ხელისუფლების მიერ ხშირ შემთხვევაში მცდარ, არაგანხორციელებადი კურსის წარმართვისა.

განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა გახდა პრივატიზების პრობლემები.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების მეთოდურად განხორციელება ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრალურ მიმართულებას წარმოადგენს საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემის გარდაქმნასთან ერთად. პრივატიზების ფორსირებულად ჩატარება დღევანდელი აუცილებლობით არის გამოწვეული. პრივატიზების მიზნად მიჩნეული უნდა იქნეს პოტენციურ მეწარმეთა გამოვლენა და მათი ფენის ჩამოყალიბება, საინვესტიციო გარემოს ფორმირება, პრივატიზებულ საწარმოებში მართვის ოპტიმალური სისტემის დანერგვა და წარმოების ამაღლებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა. ამასთან ერთად კაპიტალის პრივატიზების მთელი პროცესი ეკონომიკაში სისტემური ცვლილების განხორციელების წინაპირობად უნდა იქცეს.

აღინიშნა, რომ დღეს მიმდინარე პრივატიზება პრაქტიკულად არ შეხებია წარმოების სფეროს. თუ გავითვალისწინებთ მრეწველობის ობიექტების დღევანდელ მდგომარეობას, მიზნად უნდა დავსახოთ მათი უსწრაფესი ამოქმედება და შემდგომში მათი პერსპექტიული განვითარება, რის გარეშეც შეუძლებელია შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ცხადია, ეს ყველაზე უკეთ შეუძლიათ განახორციელონ იმ ადამიანებმა, რომლებიც წლების მანძილზე მუშაობდნენ ამ სფეროში, კონკრეტულ საწარმოებში, აქვთ გამოცდილება, იცნობენ ბაზარს, ურთიერთობის არხებს და ა. შ., მოკლედ არიან პროფესიონალები.

წარმოების გამოცოცხლების პროცესში უმთავრესი როლი უნდა შეასრულოს საზოგადოებამ, თავად მწარმოებელმა.

ამისათვის აუცილებელია სახელმწიფო საწარმოების აქციონირების მიმდინარეობის დაჩქარება. კერძოდ, საწარმოთა აქციონირების გზით უნდა მოხდეს მათი თავისუფალ ეკონომიკურ სუბიექტებად ჩამოყალიბება. აქციონირების დაჩქარების მიზნით სასურველია ამ საწარმოთა შრომითი კოლექტივების და ხელმძღვანელების დაინტერესება, წინასწარ განსაზღვრულად უნდა გაიზარდოს მათი წილი აქციების საერთო პაკეტში მათთვის აქციების საკონტროლო პაკეტის პირველი შესყიდვის უფლების გადაცემით. ასეთ შემთხვევაში გაიზრდება საწარმოთა ხელმძღვანელების აქტიურობა, რაც ერთ-ერთი ძლიერი კატალიზატორი იქნება აქციონირების სწრაფად განხორციელებაში. დარჩენილი აქციები განაწილდება საპრივატიზაციო ბარათების დასაქონლებისათვის, უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და თავისუფალ ბაზარზე გასაყიდად.

პრივატიზების პროცესში შეიძლება დაისახოს ღონისძიებები მეანაბრეთა სოციალური სამართლიანობის დაცვისათვის, მაგალითად, ანაბრების ძველი მსყიდველობითი უნარიანობის აღდგენისთვის შეიძლება გამოშვებულ იქნას ფასიანი ქაღალდები, რომელთა გამოყენებაც მოხდება მხოლოდ სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში.

შემოთავაზებული მექანიზმი მოხსნის ხელოვნურ დაბრკოლებებს, რომლებიც ამდენი ხანის განმავლობაში ხელს უშლიდა პრივატიზაციის პროცესს.

შედეგად ჩვენ მივიღებთ მესაკუთრეთა და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ჩვენს ვითარებაში, მეწარმეთა ფენას, რომელიც მაქსიმალურად ხელს შეუწყობს წარმოების ამოქმედებას.

უახლოეს ხანებში კავშირი გეგმავს ფართო დისკუსიების მოწყობას პრივატიზების პრობლემებთან დაკავშირებით და ყველა ფაქტორის გათვალისწინებით საბოლოოდ ჩამოაყალიბებს თავის პოზიციას სპეციალურად ამ საკითხზე მოწვეულ სათათბიროს სხდომაზე

1994 წლის 14 თებერვალი

გიორგი რობიტაშვილის სახელობის საქართველოს მეგზევეთა კავშირის მიმართვა

მიმდინარე წლის 4 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა ცნობილი მეგზევე ინჟინრისა და პედაგოგის გიორგი რობიტაშვილის სახელობის „საქართველოს მეგზეველთა კავშირი"

კავშირი უსურვებს საგზაო წარმოების, საპროექტო, სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური სფეროს ყველა, გზის მუშაკს - პენსიონერ, ვეტერან მეგზევე ქალბატონებსა და ბატონებს, გარდაცვლილ მეგზეველთა ოჯახის წევრებს ჯანმრთელობას, ქვეყნად მშვიდობას, მეგობრულ სითბოსა და ერთობას.

მოუწოდებს ყველა კოლეგას, ინდივიდუალურ და კოლექტიურ წევრებად კავშირის რიგებში გაერთიანებას, მეგზევეთა ძველისძველი ერთიანობისა და ხამშენებლო ტრადიციების აღსადგენად, სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის ერთ-ერთი ძირითადი დარგის - საგზაო დარგის გადასარჩენად.

გავერთიანდეთ ერთიან კავშირად, ერთად ვიფიქროთ და ხომ ნათქვამია - „სანთელ საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო".

```
I------------------------------------------------------  I
I  გინვევთ საბუღალტრო კურსებზე დამწყებთათვის:          I
I                                                        I
I  1.ერთობლივი საწარმოების ბუღალტერია                   I
I  2.საინვესტიციო ფონდების ბუღალტერია                   I
I  3.სააქციო საზოგადოებების ბუღალტერია                  I
I  4.კერძო საწარმოთა ბუღალტერია                         I
I                                                        I
I------------------------------------------------------  I
I                                                        I
I  21 თებერვლიდან 10 მარტამდე იმუშავებს კვალი-         I
I  ფიკაციის ასამაღლებელი კურსები ბუღალტერთათვის:        I
I                                                        I
I  ახალი საგადასახადო კანონმდებლობა                     I
I                                                        I
I  მსმენელები მიიღებენ დოკუმენტების სრულ პაკეტს         I
I                                                        I
I--------------------------------------------------------I
I                                                        I
I მსურველებს ვთხოვთ მოგვმართონ საზოგადოება "ცოდნის"   I
I საკონსულტაციო განყოფილებაში: კოსტავას 47.II სართ.    I
I ოთახი 4. 10-დან 14 საათამდე.ტელ.:93-18-46            I
I--------------------------------------------------------I
```

1994 წლის 28 იანვარს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა ჟურნალისტ თეიმურაზ ქორიძის სტატია „სასამართლო მოდის, გთხოვთ, ნუ დაწვებით!“. იგი ეხებოდა „დოლიძის, დომუხოვსკის, გელბახიანის და სხვათა“ გახმაურებულ სასამართლო პროცესს. [illegible] განსასჯელ ვიქტორ დომუხოვსკის გამოხმაურება. გთავაზობთ ვ. დომუხოვსკის წერილს და თ. ქორიძის პასუხს.

ნეტავ მოვიდეს სამართალი!

ავდგებით! გაგვასამართლოს!

თვეში ჩატარდა 20 სხდომა, რამ არცერთი, ვიმეორებ, არცერთი არ ჩატარდა საპროცესო კოდექსის დაურღვევლად. კომუნისტურ პრაქტიკაში შეიმუშავეს კიდეც ასეთი ტერმინი: არსებითი და არა არსებითი დარღვევები. ელთა სპექტრი საკმაოდ ფართო და მიდგომაა სუბიექტური.

სსსკ-ის 247 მუხლის თანახმად სასამართლო განხილვის მონაწილეები თანასწორუფლებიანი, რასაც დოლიძე ყოველ ნაბიჯზე არღვევს. ჩვენ არ გვინდა მივიღოთ მონაწილეობა სახელმწიფოს აპარატის და პროკურატურის მიერ დადგმულ სპექტაკლში (ადრე იყო ცკ-ას აპარატი და პროკურატურა). ჩვენ მხოლოდ გვინდა, რომ სასამართლო პროცესი იყოს ბრალდების და დაცვის პაექრობა და მოსამართლე კანონის თანახმად იყოს ორივე მხარის არგუმენტების და მტკიცებულების შემფასებელი და გააკეთოს თავისი დასკვნა კანონის და თავისი სინდისის თანახმად.

დადგმულ სპექტაკლში ან ფარსში ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებთ. მაშინ ჯობია განაჩენი მოგვიტანონ საკანში ან სასაფლაოზე. კომუნისტური რეჟიმის ბურჯი ყოველთვის იყო დამსმენი (სტუკაჩი). ერთნი ამას აკეთებდნენ საკუთარი ინიციატივით, მეორენი კი — დავალებით. რომელს ეკუთვნის თეიმურაზ ქორიძე — არ ვიცი, თვითონ გაერკვეს. პროცესზე მე იგი არ მინახავს, საიდან მოიკვლია ინფორმაცია? შეიძლება მხოლოდ ჭორებიდან, მაგრამ აშკარად გამოჩნდა, რომ არც ბრალდებულებს, არც დამცველებს არ დალაპარაკებია. რომ თქვა სტატიაში „სასამართლო მოდის, გთხოვთ ნუ დაწვებით“ — სიცრუის ორგანოში „საქართველოს რესპუბლიკა“. 28 იანვარი № 18, ბევრი სიცრუეა, სტატიის ყოველი სიტყვა სიცრუეა, გადავალ კონკრეტულ ფაქტებზე: მაინტერესებს როგორ ლაპარაკებიან გაყიდული სულის ადამიანები თავიანთ შვილებს? ჩვენი შვილები, ხომ ერთ კლასში სწავლობდნენ. მე ჩემი შვილის წინაშე მართალი ვარ, თქვენ?

ბევრი რამ რაც ეხება ამ პროცესს, მე უკვე ვიწინასწარმეტყველე ჩემს სტატიაში „ყვარლის ტყის საიდუმლო“ (იხ. „იბერია სპექტრი“ №87 25-31 აგვისტო 1993 წ.) წაგეკითხა შეკაიკაცო ბევრ შეცდომას აგარიდებდა, ისევე როგორც ერთჯერ მაინც, რომ მოსულიყავით სასამართლოში, ხომ იმას მაინც არ დამაბრალებდით, რის დაბრალებაც ბალუაშვილმაც კი ვერ იკისრა. ლაპარაკია ჩიქოვანის ქუჩის აფეთქებაზე. დაბრალება დაბრალებაა, მაგრამ ეტყობა ბალუაშვილს მეტის სინდისი აღმოაჩნდა, ვიდრე თქვენ. ან არ ეგონა საპრეზიდენტოდ რომ ვიყავი გამზადებული ჩემთვის მხოლოდ ყვარლის ეპიზოდი გაიმეტა.

ეხლა, რაც შეეხება ჩემს ქართულ ენას. ქართული ენა ვიცი, ასევე ვიცი გერმანული, უარესად პოლონური, ცოტა ინგლისური, თურქული, სომხური, მაგრამ ჩემი დედაენა — რუსულია, რომელიც მე კარგად ვიცი, კარგად ვფლობ. სკოლა დავამთავრე რუსული, უნივერსიტეტი — რუსული, მეტალურგიის ინსტიტუტში ვწერდი სამეცნიერო ანგარიშებს რუსულად, იურისპრუდენცია ვისწავლე რუსულად, პირველი ცოლი რუსი მყავდა, რუსულ ჯარში ორი წელი ვიმსახურე ოფიცრად. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია! ეხლა გასაგებია, რომ ეს არ არის სიჯიუტე?

სსსკ-ის მე-15 მუხლის თანახმად: „ბრალდებულს ჩაბარდება დედაენაზე ან სხვა ენაზე, რომელსაც ის ფლობს, თარგმნილი საგამოძიებო და სასამართლო დოკუმენტები“. ეს ჩემი ახირება არ არის, ეს კანონის მოთხოვნაა და თანაც საპროცესო კოდექსსაც მე რუსულად ვითვისებ. იურიდიული ენა რთულია და ყველა ნიუანსს აქვს მნიშვნელობა. ეს არ არის სტატიების წერა „საქ. რესპუბლიკაში“. ისიც სიცრუეა, რომ ვითომ რუსულად საბრალდებო დასკვნა მე მოვითხოვე 13 იანვარს. მე იგი მოვითხოვე 27 აგვისტოს! არ მოიძებნა იმის მერე დრო, რომ აქამდე გადაეთარგმნათ?

მაშინაც ცრუობთ ბატონო თემო, როცა წერთ, რომ ვითომ მე „უმუშევრად დარჩენილი“ — ედუარდ შევარდნაძე ქართულად დავკითხე (სხვათა შორის ერთჯერადში ეს „დიდი პოლიტიკოსი“ დათანხმდა საბჭოთა კავშირის რეამინაციაში მონაწილეობაზე და წავიდა ისევ მინისტრად, მაგრამ ერთ თვეში გააგდეს სმოლენსკის მოედანზე მდებარე შენობიდან). გპასუხობთ: „მე დავკითხე შევარდნაძე რუსულად, რადგან კარგად ვიცი რუსული და გავჭედავდი, გავჭედე კიდევაც. ამის შესახებ მე მიწერია იმ ვრცელ სტატიაში, რომელიც „სვობოდნაია გრუზიაში“ დაიბეჭდა, ხოლო „საქართველოს რესპუბლიკამ“ მისი თარგმანი დაბეჭდა. იურიდიულ კომისიაში კანონებს ვწერდი რუსულად, მერე მითარგმნიდნენ. ჩემი ქართულის ცოდნა ჰკითხეთ იმ ხალხს ვინც მისწორებდა. რუსულად ვაზროვნებ, მაგრამ ვიბრძვი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. თქვენგან განსხვავებით წინააღმდეგი ვარ საქართველოს СНГ-ში შესვლის და არ მინდა საქართველო გახდეს რუსეთის პროვინცია! თქვენ გინდათ?!

პირადად მე ვთვლი, რომ ჩვენი სსსკ კარგია და ჩვენ ვითხოვთ მხოლოდ მის შესრულებას. ამისათვის მირზა დოლიძე აღმოჩნდა სრულიად მოუმზადებელი. არ არის მიჩვეული, რომ პროცესი ჩატარდეს კანონის ფარგლებში. არასოდეს არ გაუსამართლებია კანონით. მთელი რიგი მუხლების არსებობას, ჩვენ ვახსენებთ პროცესზე, ხშირად ძალიან უკვირს და პასუხად გვიუბნება — ჩვენ პრაქტიკაში ეს არა გვაქვს.

რად ღირს ის ფაქტი, როდესაც მოსამართლე პროცესზე საჯაროდ ამბობს — რა გინდათ ჩემგან, რაც მეტ შეცდომას დავუშვებ, თქვენთვის უკეთესი არ არის? — განაჩენი გაუქმდება?! ბოლოს და ბოლოს ბნელა?! როცა ყოველ ნაბიჯზე, ჯერ არ დაწყებულ პროცესზე, ირღვევა შენი უფლებები, როცა შესაშინებლად ახლობლებს უვარდებიან სახლში, სამსახურში, აპატიმრებენ ოჯახის წევრებს, არ უშვებენ სასამართლოზე, აგდებენ დარბაზიდან და 5 იანვარს სხდომიდან ძაღლებით (გერმანული ნაგაზებით — „ვენშერებით“) აგდებენ ხალხს სასამართლოდან, აშინებენ დამცველებს, რასაც თვითონ მოსამართლე მ. დოლიძე აკეთებს და ამის მერე ამბობს, რა გავლენას იქონიებს სასამართლო პროცესზე? — ეს ცინიზმია!

ადრე იყო ცკ-ას ტელეფონის სამართალი, ეხლა კი სახელმწიფოს მეთაურმა შეიტანა ამ სამართალში რაციონალიზაცია. ძალიან დაკავებულია საქართველოს გაყიდვით, არა სცალია მითითებებს რადიოთი აძლევს. გავიხსენოთ მისი უკმაყოფილება, ყვარლის პროცესის „რბილი განაჩენით“ უკმაყოფილოა, რომ არ მისცეს დახვრეტა და პირდაპირ მოითხოვს ჩიქოვანის ქუჩის აფეთქების პროცესის მონაწილეებისათვის დახვრეტას და ამ მითითებას აძლევს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და იუსტიციის მინისტრს (იხ. „საქ. რესპუბლიკა“ 30 ნოემბერი 1993 წ.) ეს ხომ უხეში ჩარევაა სასამართლოს საქმეებში და თქვენ კიდევ წერთ „სასამართლო დამოუკიდებელია“. დიახ, კოდექსში ასე სწერია, მაგრამ ე. შევარდნაძე ამას არასოდეს არ აკეთებდა, უბრალოდ არ აქცევდა ყურადღებას. მისი ბრძანებით უკანონოდ დახვრეტილი იყვნენ იუზა კობახიძე, მღვდელი თემურ ჩიხლაძე, გეგა კობახიძე, ძმები ივერიელები და ბევრი სხვა. უკანონოდ გაასამართლეს და მიუსაჯეს დიდი განაჩენები ო. ლაზიშვილს, პეტრე გელბახიანს (უფროსს), ოპერის „ცეცხლის წამკიდებლებს“, ს. ხაბეიშვილს, ფ. ანანიაშვილს, ყვარლის პროცესის მონაწილეებს და ბევრ სხვას. ჩემზე კარგად არავინ იცის ეს საქმეები... ეს ყველაფერი კეთდებოდა შევარდნაძის ხელმძღვანელობით.

ჩვენ ბევრ რამეს გვაბრალებენ, რაც არ ჩაგვიდენია, ჩიქოვანის ქუჩაზე აფეთქება ჩვენ არ გაგვიკეთებია, ამის შესახებ სხვათა შორის ზაზა ვეფხვაძემაც დაწერა პრესაში. 17 ივნისს აფეთქეს „ბუდა“ თ. ყურაშვილი. მოკლეს ზ. ვეფხვაძე და გ. სვანაძე, ჯ. იოსელიანზე კიდევ იყო რამოდენიმეჯერ ტერ. აქტის მცდელობა, ააფეთქეს ტალახაძე (სხვათა შორის იგივე მეთოდით, რაც გამოყენებული იყო ჩიქოვანის ქუჩაზე), მოკლეს ქალაქის პროკურორი მ. ქურდაძე, ამერიკელი მზვერავი ვუდრუფი! კიდევ კარგი ციხეში ვზივართ, თორემ ამასაც ჩვენ დაგვაბრალებდნენ.

კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოსამართლის სტატუსის შესახებ“ მახსოვს. ჩვენი პროტესტის პასიური ფორმა არ შეადგენს ამ და სხვა კანონების, მათ შორის სსსკ-ის 262-ე მუხლის დარღვევას. მე მახსოვს სხვა კანონიც „საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო წყობილების შესახებ“ 82-ე მუხლის: „მოსამართლეებს და მსაჯულებს შეიძლება ვადამდე ჩამოერთვათ უფლებამოსილება სასამართლო საქმეების განხილვისას კანონის უხეში დარღვევისათვის“. მე მგონი უკვე დადგა ეს დრო მირზა დოლიძისათვის!

სცრუობთ მაშინაც, როდესაც სწერთ, თითქოს ჩვენ გვინდა სხვა საქმეებთან შეერთება. ბორჩაშვილ-ზედგინიძის, დ. ჩოგოვაძის, ყვარლის და ა. შ. სიცრუეა ეს ყველაფერი. ჩვენ გვინდა ამ საქმეების მასალებთან გაცნობა, რადგან ჩვენ ეს ბრალად გვედება. „ყვარლის ბიჭებს“ (და არა მარტო მათ) ცემით და წამებებით გამოძალეს აღიარებები, რაც მათ სასამართლოზე უარყვეს და სიმართლე ილაპარაკეს. ჩვენი გასამართლება კი უნდოდათ ძველი ჩვენებებით...

დაფიქსირებულია, რომ დ. ჩოგოვაძე, მკვლელობაზე მისჯილი იყო ნასედკების კორპუსის (ხალხში შევარდნაძის კორპუსს ეძახიან) უფროსი, ჰქონდა ამ კორპუსის ყველა საკნის გასაღები და აწამებდა ხალხს გახურებული სპირალებით, ზ. წიკლაურს ადუღებული წყალი მან დაასხა და „საკანში მყოფი მანქანიდან გადმოვარდა ზ. წიკლაური და მიიღო შემდეგი დაზიანებები: „აღინიშნება მარცხენა სხივის ძვლის თავის სახსარში და მოტეხილობა ქვედა მესამედში, II-III ხარისხის დამწვრობა დიდ ფართობზე, ტვინის მძიმე შერყევა, კიდურების და ნეკნების რამდენიმე მოტეხილობა (ტ. 1, ს. ფ. 18).

და როცა ზ. წიკლაური ითხოვს საქმეს თავისი დაზიანების შესახებ — არ აძლევენ, ხოლო თქვენ „ჟურნალისტი თეიმურაზ ქორიძე“ ნაძირალურად ქირქილებთ: „მაშინ ხმა გავარდა, გვარიანად სცემეს“. ეს არც ცინიზმია, ეს უკვე ფაშიზმია! ეს სადიზმია! თქვენ ხართ სადისტი და ფაშისტი!!!

ჩემი შვილის თანაკლასელების მამა ხართ და მხოლოდ თუნდაც ამიტომ არ გისურვებთ გამოეცადოთ იგივე „გვარიანი ცემა“.

ზ. გოგიჩაშვილს წამებისაგან სმენა დაუქვეითეს და პირველივე სხდომიდან იძახის: „არ მესმის პროცესზე რას ლაპარაკობენ“ და ამის პასუხად მოსამართლე მ. დოლიძე აძევებს მას დარბაზიდან მოტივით: „მრავალჯერ არ ესმის მოსამართლის მიმართვა“. დიახ, ბატონო არ ესმის!

და ჩვენ ვითხოვდით მხოლოდ უკანონოდ გაძევებული ზ. გოგიჩაიშვილის დაბრუნებას, მეტს კი არაფერს. ამის პასუხად მოს. მ. დოლიძემ კიდევ გააძევა 9. დღეისათვის 19 პატიმრიდან 10 გაძევებულია, დანარჩენი 9 კი გაფრთხილებულია. რა სჯობს ცარიელ საბრალდებულო სკამს, მუნჯ დაცვას და ბრმა მართლმსაჯულებას.

აი, ამის პროტესტად მე დავიწყე შიმშილობა 1994 წლის 13 იანვარს ერთადერთი მოთხოვნით:

1. ჩატარდეს საჯარო, ღია სასამართლო განხილვა ყველა განსასჯელის თანდასწრებით, მათი უფლებების სრული რეალიზაციით.

ეს მოთხოვნა შეესაბამება სსსკ-ის მე-16, მე-17 და 250-ე მუხლებს და ვიშიმშილებ სანამ ჩემი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.

სხვა დანარჩენ მრავალ სიცრუეზე თუ გსურთ გიპასუხოთ მობრძანდით № 37 საკანში და მოგახსენებთ.

ჩვენი ხელები არც მოძმის და არც არა მოძმის სისხლში არ არის გასვრილი; თქვენი და თქვენისთანა ვაი-პატრიოტები კი თავითფეხებამდე სისხლში ხართ დასვრილი.

ღმერთი არა გწამთ? არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა!

არა კაც-ჰქლა!

ვიქტორ დომუხოვსკი.

28 იანვარი 1994 წელი

P. S. ისეთი მიამიტი არა ვარ, რომ იმედი მქონდეს ხინდიხისგან „თავისუფალ“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდება ეს პასუხი, მაგრამ რედაქტორი წაიკითხავს და თქვენც წაგაკითხებენ, სრულიად საკმარისია!

ვ. დ.

ავტორის სტილი დაცულია (რედ.).

მეჩვიდმეტე პაიკი

საქართველოში „კანონიერი ხელისუფლების აღდგენისა და ნათელი მომავლისათვის მებრძოლებისაგან“ მწარე პასუხს ველოდი, მაგრამ დომუხოვსკის წერილმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

28 იანვარს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ ჩემს სტატიაში („სასამართლო მოდის, გთხოვთ, ნუ დაწვებით!“) დ. წ. ოლიძე, დომუხოვსკი, გელბახიანის“ სასამართლო პროცესის ხრულყოფიად ჩატარებაზე იყო საუბარი. ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ მტყუან-მართლის განმსჯელი მხოლოდ სასამართლო უნდა იყოს; განაჩენის დადგენაზე მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი. ისიც ვთქვი, რომ ვინც სასამართლო პროცესის ხელოვნურად შეფერხებას ცდილობს, იგი დათვურ სამსახურს უწევს განსასჯელებსაც და მართლმსაჯულებასაც.

რაც მთავარია, „დომუხოვსკი და კომპანია“ არსად, არასდროს, ერთი სიტყვითაც კი არ მომიხსენიებია დამნაშავეებად. ვიდრე სასამართლო პროცესი არ დამთავრებულა, განაჩენს კანონიერი ძალა არ შესძენია, ისინი ბრალდებულები, განსასჯელები არიან!

• • •

დომუხოვსკის ყველა აბსურდულ ბრალდებაზე პასუხის გაცემას არ ვაპირებ. შევეცდები, ვუპასუხო მხოლოდ იმ მოსაზრებებს, რაც, საერთოდ, დამახასიათებელია „მრგვალი“ აზროვნებისათვის. ან რა უნდა ვთქვა, მაგალითად, ასეთი უაზრობის საპასუხოდ: **„კომუნისტური რეჟიმის ბურჯი ყოველთვის იყო დამსმენი (სტუკაჩი). ერთნი ამას აკეთებდნენ საკუთარი ინიციატივით, მეორენი კი — დავალებით. რომელს ეკუთვნის თეიმურაზ ქორიძე — არ ვიცი, თვითონ გაერკვეს, პროცესზე მე იგი არ მინახავს, საიდან მოიკვლია ინფორმაცია?“**

„სტუკაჩი“, საზოგადოდ, არავითარი რეჟიმის არავითარი ბურჯი არც ერთ ქვეყანაში არასოდეს ყოფილა, ქურდული ჟარგონით, ეს არის კაცი, რომელიც თავისი თანამოაზრეების შესახებ მოიპოვებს ინფორმაციას და მას დამსჯელ ორგანოებს მიაწვდის. ანუ „სტუკაჩი“ არის იმ წრესთან დაახლოებული კაცი, რომლის „ჩაშვებაც“ აქვს განზრახული. კიდევ უფრო გასაგებად რომ ვთქვა, მაგალითს მოვიყვან: „სტუკაჩი“, პოლიციის მიერ დაქირავებული პირი, შეიძლება იყოს თავად დომუხოვსკი, რომელიც მოსალოდნელი სასჯელის შემსუბუქების მიზნით, დაუკავშირდა პოლიციას და გასცა თავისი მეგობრები. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, დომუხოვსკი და სხვები თავიანთ გეგმებს მე არ მიზიარებდნენ და მათი „ჩაშვება-დასტუკაჩება“, ბუნებრივია, სურვილის შემთხვევაშიც კი არ შემეძლო.

ასეთია ძალიან მარტივი ლოგიკა.

რაც შეეხება ინფორმაციას, რომელიც ჩემს წერილში გამოვიყენე, რაიმე საიდუმლოებასთან არ არის დაკავშირებული. ეს არის საბრალდებო დასკვნა, რომლის გაცნობა, პრაქტიკულად, ყველა დაინტერესებულს შეუძლია.

შეუნიღბავი დემაგოგია, რომელსაც ავტორი მიმართავს, ცნობილი და გვარიანად გაცვეთილია: „ჩვენ, „მრგვალები“ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვით. ეს ბრძოლა სამართლიანია და ამიტომ მისი ყველა ფორმა გამართლებულია. ვინც ჩვენს „მრგვალურ“ თეორიებს არ იზიარებს, იგი მოღალატე, აგენტი და „სტუკაჩია“.

ამ თეორიით, ეროვნული მოღვაწე ყველა ნაძირალაც კი, ვინც თავის დროზე ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად „მრგვალ მაგიდას“ მიეტმასნა, თავად დომუხოვსკი არ არის ნაძირალა. იგი ის ხელმოცარული მეცნიერი-მეტალურგია, რომელიც კოჭლი ცხვარივით ფარას უკან მისჩანჩალებს. პარადოქსების დიდოსტატმა რევოლუციურმა სიტუაციამ ერთბაშად ფარა შემოატრიალა და კოჭლ ცხვარს ყოჩის რქები დაადგა. უპატრონო ფარა აირია, გაიქცა და გზის ძებნაში ძალიან ბევრი უფსკრულში ჩაიჩეხა. ყოჩად ქცეული კოჭლი ცხვარი გადარჩა და ისევ მაჩანჩალას როლში აღმოჩნდა.

დომუხოვსკის იქნებ მართლაც გულწრფელად სწამს იმისა, რასაც „ეროვნულ მოძრაობაში“ მისი ყოფნის ორიოდე წლის განმავლობაში ემსახურებოდა. იგი ძალზე უმნიშვნელო ფიგურაა საჭადრაკო პარტიაში, სადაც დებიუტში „შავების“ თავბრუდამხვევი წარმატება, სრული თეორიული უვიცობის გამო, მიტელშპილში უიმედო პოზიციად იქცა, ხოლო ენდშპილი „თეთრების“ უდავო უპირატესობითა და „შავების“ თავზარდამცემი კრახით დამთავრდა. („თეთრებად და შავებად“ დაპირისპირებულ ძალთა დაყოფა ცხოვრებით არის ნაკარნახევი: ზვიადისტები მრავალ სხვასთან ერთად შევარდნაძეს „თეთრი მელას“ ეპითეტითაც ამკობენ, თავის მხრივ, შევარდნაძე ზვიადისტებს „შავ ძალას“ უწოდებს).

მოკლედ, „შავების“ ავანტიურა ჩაიშალა. „თეთრების“ შეტევა, დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ მაინც წარმატებით დაგვირგვინდა: შავი მეფე მოკვდა. დედოფალი სხვა მეფის კარს ამშვენებს. მძიმე ფიგურებიდან ზოგმა ახალ პარლამენტში მოიკალათა, ზოგი საზღვარგარეთ გადაბარგდა. მხედრებიდან ზოგი თეთრებს დანებდა, ზოგი ბრძოლის ველს გაერიდა და თავისი უსაქციელობა საჯაროდ მონანია. კუები კუდამოძუებული გაიქცნენ და დაიმალნენ. ბევრი პაიკი ბრძოლაში დაიღუპა, ზოგი იატაკქვეშეთში გადავიდა, ზოგი გაფირალდა და ტყეში გავარდა.

დომუხოვსკი განზოგადებული სახეა, იგი მეტისმეტად უმნიშვნელო ფიგურაა მეცნიერებაშიც, პოლიტიკაშიც და იმ მოძრაობაშიც, რომელიც საკუთარ თავს „ეროვნულს“ უწოდებს. საჭადრაკო დაფაზე მეჩვიდმეტე პაიკია, თანაც, ყაისფერი. მისი ამბიციურობა გასაგებია — ცარიელ დაფაზე ლაზიერად გასვლის შანსი გაუჩნდა. სამწუხარო ის არის, რომ მეჩვიდმეტე პაიკი ვერ ამჩნევს საკუთარ ტრაგიკომიკურ სიტუაციას და სავსებით სერიოზულად გაიძახის, **„რუსულად ვაზროვნებ, მაგრამ ვიბრძვი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. თქვენგან განსხვავებით წინააღმდეგი ვარ საქართველოს — СНГ-ში შესვლის და არ მინდა საქართველო გახდეს რუსეთის პროვინცია! თქვენ გინდათ?!“**

• • •

მეჩვიდმეტე პაიკის პირით, საზოგადოდ, ზვიადიზმი ლაპარაკობს. ამის ორ კლასიკურ ნიმუშს მოვიყვან. ერთს — დომუხოვსკის წერილიდან, მეორეს — 18 თებერვლის გაზეთ „რეზონანსიდან“.

„მისი (ე. შევარდნაძის — თ. ქ.) ბრძანებით უკანონოდ დახვრეტილი იყვნენ იუზა კობახიძე, მღვდელი თემურ ჩიხლაძე, გეგა კობახიძე, ძმები ივერიელები და ბევრი სხვა. უკანონოდ გაასამართლეს და მიუსაჯეს დიდი განაჩენები ო. ლაზიშვილს, პეტრე გელბახიანს (უფროსს), ოპერის „ცეცხლის წამკიდებლებს“, ს. ხაბეიშვილს, ფ. ანანიაშვილს, ყვარლის პროცესის მონაწილეებს და ბევრს სხვას. ჩემზე კარგად არავინ იცის ეს საქმეები... ეს ყველაფერი კეთდებოდა შევარდნაძის ხელმძღვანელობით“ — წერს დომუხოვსკი.

ბოლო წლებში ძალიან ბევრი ლაპარაკია უდანაშაულობის პრეზუმფციაზე. სხვებთან ერთად, მეც მიმაჩნია, რომ მართლმსაჯულების ეს წმიდათაწმიდა პრინციპი საბჭოთა სინამდვილეში მართლაც უგულებელყოფილი იყო. პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში ძალიან ხშირად მითქვამს კიდეც ამის შესახებ.

მაგრამ ამ უზენაესი პრინციპის დასაცავად საჭირო იყო და არის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც, ფაქტობრივად, არც საბჭოთა სოციალისტური მართლმსაჯულების დროს არსებობდა და არც ახლა არსებობს. არ არის საჭირო გაუთავებელი ლაყბობა კანონების ნაკლოვანებაზე — საჭიროა ახალი, შეძლებისდაგვარად უზადო კანონმდებლობის შექმნა. ეს დღემდე ვერ მოხერხდა. რატომ ვერ მოხერხდა, ეს ძალიან ადვილი ასახსნელია: ჩვენ, ჯერჯერობით, ვერ მოვიცალეთ აღმშენებლობისათვის. ჩვენ, ჯერჯერობით, ნგრევა-განადგურებით და პოლიტიკური დებატებით ვერთობით.

ახლა სხვა მხრიდანაც შევხედოთ პრობლემას.

თუ ეს ყბადაღებული უდანაშაულობის პრეზუმფცია უნდა გავრცელდეს იმ ხალხზე, ვისაც დღეს ბრალი ედებათ მკვლელობებში, ტერორში, დივერსიებში, სხვა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში, რატომ არ უნდა გავრცელდეს ეს პრინციპი, ვთქვათ, ედუარდ შევარდნაძეზე?

შევარდნაძე დიდხანს იყო საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი. წარმოიდგინეთ, საქართველოში მაშინაც ბრძანდებოდნენ მკვლელები, დივერსანტები, მექრთამეები თუ ხაზინის ქურდები. ზოგ მათგანს მაშინაც აპატიმრებდნენ და ასამართლებდნენ. დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის სსკ-ის 96¹ მუხლი დახვრეტას ითვალისწინებდა. ასევე სიკვდილით ისჯებოდა სამშობლოს ღალატი, განზრახ მკვლელობა და სხვა მძიმე დანაშაული. თვითმფრინავის გამტაცებლებს სწორედ ასეთ მძიმე დანაშაულში დაედოთ ბრალი და სასამართლომ მათ სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯა. რა შუაშია აქ შევარდნაძე! ნუთუ ვინმე დღესაც სერიოზულად ფიქრობს, რომ თუნდაც ცეკას მდივანს საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის კორექტირება შეეძლო? შევარდნაძეს, მიუხედავად მისი მაღალი პოსტისა, არც დასჯის ბრძანების გაცემის უფლება ჰქონდა და არც შეწყალებისა. ამიტომ საბჭოთა მართლმსაჯულების ცოდვების პიროვნებაზე (თუნდაც ეს პიროვნება ძალიანაც არ გვიყვარდეს) გადაბრალება საკუთარი უსუსურობის აღიარებაა და სხვა არაფერი.

ბევრს მიაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურზე ყველაფრის დაბრალება შეიძლება, რადგან იგი მაინც არაფერს იტყვის და არაფერს მოიმოქმედებს. ანუ დომუხოვსკის და კომპანიას შეუძლია ლანძღოს, აგინოს, ცილი დასწამოს შევარდნაძეს, ამ უკანასკნელმა კი ხმა არ უნდა გაიღოს, თორემ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დარღვევა დაბრალდება და ვინმე განსასჯელი ციხეში შიმშილობას გამოაცხადებს!

როცა საჯაროდ, პრესით, ტელევიზიით, ეგრეთ წოდებულ საინფორმაციო მიტინგებზე საქართველოში ცნობილ და პატივცემულ ადამიანებს — მეცნიერებს, მწერლებს, რეჟისორებს — აგენტებს, მოღალატეებს, პროვოკატორებს, ქურდებს უწოდებდნენ, მაშინდელ „მრგვალებს“ სიტყვაც კი არ დაუძრავთ უდანაშაულობის პრეზუმფციაზე. როცა იმავე შევარდნაძეს საქვეყნოდ შეურაცხყოფდნენ, მკვლელს, ჯალათს, სისხლიანს უწოდებდნენ, მრგვალ ჰუმანისტებს არც მაშინ გამოუთქვამთ პროტესტი. ხოლო როცა შევარდნაძემ თქვა, დამნაშავე უნდა დაისაჯოსო, ერთი აგანგალა ატყდა, არიქა, შევარდნაძე ადამიანის უფლებებს ლახავს, უდანაშაულობის პრეზუმფციას არ ცნობსო.

სხვათა შორის, არსებობს დანაშაულის პრეზუმფცია, რომლის ძალითაც, დამნაშავედ ითვლება ყველა მსჯავრდებული, რომლის მიმართაც სასამართლოს განაჩენი არ გაუუქმებია. ყველამ არა, მაგრამ კანონების მწერალმა კაცმა ამდენი უნდა იცოდეს.

ახლა, როგორც დაგპირდით, „რეზონანსში“ გამოქვეყნებული მორიგი მეწინავე წერილის ციტატასაც გაგაცნობთ (წერილი, ტრადიციულად „ხალხურია“ — უავტოროა): **„საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო სისტემა ისეთივე წარმართული და ბარბაროსული დარჩა, როგორიც იყო კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის დროს. ამავე დროს, საქართველოს სასამართლო სისტემა კვლავ განიცდის მნიშვნელოვან გავლენას სახელმწიფოს ხელისუფლების სხვა შტოებისგან და არც კომუნისტური კანონები შეუცვლია ვინმეს.**

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სისტემის რეფორმა არ მოითხოვს ისეთ დიდ ხარჯებს, როგორიც, ვთქვათ, დამოუკიდებელი არმიის შექმნა. საკუთარი საფინანსო სისტემის ჩამოყალიბება და მისი ისტებლიშმენტი არ აპირებს სასამართლო რეფორმის დაწყებას: მათ სურთ გავლენის ქვეშ იყოლიონ სახელმწიფო სისტემის ეს მძლავრი ინსტიტუტი“.

„რეზონანსში“ გამოქვეყნებული წერილის სათაური მქუხარეზე მეტია — „დამოუკიდებელი საქართველოს წითელი მართლმსაჯულება“.

ვფიქრობ, არ ღირს თავის შეწუხება არც „წითელ მართლმსაჯულებაზე“ და არც „ყვითელ პრესაზე“ ლაპარაკით. ვიტყვი ძალზე პროზაულად: სასამართლო რეფორმის განხორციელება (თუ კი იგი მართლაც მიზანშეწონილია), დიახაც დიდ ხარჯებსა და უამრავ დროს მოითხოვს, რადგან იგი ვერანაირად ვერ განხორციელდება სამართლებრივი რეფორმისაგან დამოუკიდებლად. შარშან, დეკემბერში, სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით, შეიქმნა „სამართლებრივი რეფორმის კომისია“ იუსტიციის მინისტრის თედო ნინიძის ხელმძღვანელობით. კომისიამ მუშაობა უკვე დაიწყო. ოპტიმალურ სავარაუდო ვადად ორი წელიწადია განსაზღვრული. ასე რომ, დომუხოვსკი და კომპანიის სასამართლო პროცესთან კონტექსტში სასამართლოს წარმართულად, ბარბაროსულად მოხსენიება და მოსამართლე დოლიძის უნიათო, არაკომპეტენტურ იურისტად წარმოდგენა არის მხოლოდ სატყუარა გონებასუსტებისთვის. ანუ, თუ მართლმსაჯულება ნაკლოვანია, მაშინ დოლიძის ადგილას პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, სენატორი ანატოლი კონიც ვერაფერს გააწყობს.

სპეკულანტურ მსჯელობას სასამართლოს ბარბაროსობასა და მოსამართლის უნიათობაზე, როგორც ადრე მოგახსენეთ („საქართველოს რესპუბლიკა“, 28 იანვარი), ერთადერთი მიზანი აქვს — როგორმე საეჭვო გახადონ სასამართლოს ნებისმიერი განაჩენი და განსასჯელები „პოლიტიკურ მოღვაწეებად“ წარმოადგინონ.

ასეთი უგუნური და წამქეზებლური კამპანია ვნებს, უპირველეს ყოვლისა, განსასჯელთა ინტერესებს — სასამართლოს კანონით მინიჭებული აქვს უფლება, თუ საჭიროდ მიიჩნევს, სასამართლოს დარბაზიდან გააძევოს განსასჯელი და უმისოდ გამოიტანოს განაჩენი. საქმის ასე შემოტრიალება ვერც განსასჯელთა ინტერესებს მოემსახურება და ვერც მართლმსაჯულებას შემატებს რამეს. ეს უნდა გაითვალისწინონ დომუხოვსკი და კომპანიის ფასიანმა და უფასო ადვოკატებმა.

„რეზონანსში“ გამოქვეყნებული მეწინავეების ინკოგნიტო ავტორის (თუ ავტორების) საყურადღებოდ ერთიც უნდა ვთქვა: პროცესის მიმდინარეობისას სასამართლოს შემადგენლობისა და მართლმსაჯულების უაპელაციო ლანძღვა არის სწორედ სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობა. არ არის გამორიცხული, რომ „წითელი მართლმსაჯულება“, როცა საჭიროდ მიიჩნევს, უთუოდ წარმატებით გამოიყენებს მამაცი „რეზონანსის“ მიერ ბოძებულ ამ კოზირს.

• • •

ჩვენს მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცინცხლად არის შემონახული ზვიად გამსახურდიას მრგვალი თეორია „ამერიკელი ხალხის სიკარგისა და ამერიკის პრეზიდენტის სიცუდის“ თაობაზე. არც „საქართველოსა და პირადად მისი პრეზიდენტის წინააღმდეგ მსოფლიო იმპერიალისტური შეთქმულების“ ვერსიაა არის დავიწყებული.

მძიმეა, მაგრამ, მოდით, მაინც გავიხსენოთ პრესითა და ტელევიზიით ვინ მოუწოდებდა ხალხს იარაღის ხელში აღებისაკენ; ვინ „აღმოაჩინა“ საქართველოში ასი ათასობით მოღალატე, მტერი და აგენტი; ვინ თესდა საოცარ შუღლსა და მტრობას საქართველოს მოქალაქეებს შორის; ვინ ამტკიცებდა ქართველებისადმი ოსთა „ისტორიულ მტრობას“ და აფხაზი ხალხის არარსებობას...

პროვოკატორულ მრგვალ ხელისუფლებაში განხეთქილება მოხდა, სამოქალაქო ომი დაიწყო, საქართველო განადგურდა და ლამის სისხლში ჩაიხრჩოს. პასუხისმგებლობა კი, თურმე, ამისთვის ეკისრება არა იმ ხელისუფლების წარმომადგენლებს, ვინც ქვეყანა დააქცია, არამედ, თურმე, ჟურნალისტს, ვისაც ხელში იარაღი არასოდეს აუღია, ბრძოლისკენ არასოდეს არავინ წაუქეზებია: **„თქვენ ჟურნალისტი თეიმურაზ ქორიძე ხართ სადისტი და ფაშისტი!“.**

„ჩვენი ხელები არც მოძმის და არც არა მოძმის სისხლში არ არის გასვრილი, თქვენ და თქვენისთანა ვაი-პატრიოტები კი თავითფეხებამდე სისხლში ხართ დასვრილი“.

როცა ასეთ რამეს ვკითხულობ, საქართველოს [illegible] ძალიან ახლოს მგონია მებრალება, გულწრფელად მებრალება ის ხალხი, ვისი „ხსნისთვისაც“ ეს ტვინგადაბრუნებული ნამრგვალმაგიდარი პაიკი იბრძვის.

დომუხოვსკი ზვიადიზმის ნამსხვრევია. იმის მანიშნებელია, რომ ჩვენი ტანჯული ქვეყნის ტრაგედია „შავი მეფის“ სიკვდილით არ დამთავრებულა; რომ ზვიადიზმი კიდევ დიდხანს იცოცხლებს ადამიანების გონებაში და კიდევ ბევრ უბედურებას მოუტანს ჩვენს შვილებს.

ნუვინ იფიქრებს, რომ შანთით და ტყვიით შეიძლება ამ სენის მკურნალობა. მხოლოდ დრო თუ დაგვიამებს უზარმაზარ წყლულს ჩვენს დაუძლურებულ სხეულზე.

თეიმურაზ ქორიძე.

სავაჭრო-სამრეწველო [illegible]
«ᲐᲜᲘ»
ითვალისწინებს რა თქვენს სურვილებს, აგრძელებს თანხების მიღებას შემდეგი პირობებით:

1 თვით – 17%
3 თვით – 18, 5 – 20, 5%
6 თვით – 21 – 26%
12 თვით – 28%

მომსახურების კომპიუტერული სისტემა, მჭიდრო კონტაქტები საზღვარგარეთის საქმიან წრეებთან, საინვესტიციო საქმიანობა, სასაქონლო ოპერაციები თქვენი თანხების უსაფრთხოების გარანტიაა.
ჩვენი მისამართია: თბილისი,
დავით აღმაშენებლის 75.
საინფორმაციო ტელეფონი: 95-44-35
9-დან 18 საათამდე.
მიღება 14-დან 18 საათამდე.
თან იქონიეთ პასპორტი!

განცხადება

საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და დაინვალიდებულთა ოჯახებმა წარმოადგინონ ე. გ. ე. კ. სამდივნოში შემდეგი ცნობები, ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის შესადგენად და განსახორციელებლად:
1. ფორმა №1 სახლმმართველობიდან
2. ცნობა სამხედრო კომისარიატიდან ან სამხედრო ნაწილიდან.
3. ცნობა დაინვალიდების შესახებ (საავადმყოფოდან, ავადმყოფობის ისტორიის ამონაწერი).
მისამართი: ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას ქ. №7, მინისტრთა კაბინეტი, მე-10 სართული, ტელ: 98-99-72, 98-88-69.

უახლოეს მომავალში
იხსნება კაზინო
«ᲘᲕᲔᲠᲘᲐ»
[illegible]
დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მიმართონ ბატონ სანდრო [illegible] „ივერია“-ში ქვედა სართულზე 10 თებერვლიდან [illegible] შაბათ-კვირის გარდა 11-დან 14 საათამდე.

კლინიკა «ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲘ»
და ბანკი «ᲓᲠᲝ»
გთავაზობთ ხურაფად და შედეგიანად დამლიოთ ნევროზი, შიშიანობა, დეპრესია და შფოთვა, სტრესით გამოწვეული გულ-სისხლ-ძარღვთა ფუნქციონალური დარღვევები, ალერგიები, ჰიპერტონია, ასთმა, ცუდად გაზრდის მოლოდინი. პროფესორი ნოდარ ხარჯველაძე მოგემსახურებათ ამერიკაში აპრობირებული მაღალეფექტური მეთოდებით:
ნეიროლინგვისტური პროგრამირება და მედიტაცია. ეს უწამლო ფსიქოთერაპია ფასიანი, ხოლო თუ გაზდებით ბანკი „დროს“ მეანაბრე, პრაქტიკულად უფასოა.
მისამართი: თბილისი, ქავთარაძის 16, მე-2 საავადმყოფო-პოლიკლინიკა, მე-7 სართული, კლინიკა „უნიკალი“, ტელ: 37-56-40.

ვიყიდი ნახმარ „მოსკვიჩს“,
კარგად შენახულს ან 07-ს
დარეკეთ 93-84-65 ოთარი.

ᲡᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲝ
ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲤᲘᲠᲛᲐ
«ᲛᲝᲓᲘᲜᲐᲮᲔ»
ასრულებს გარაჟების, საცხოვრებელი სახლების და შენობანაგებობების ბრტყელი გადახურვების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს.
ჩვენი მისამართია: მ. წინამძღვრიშვილის 123/1 (ყოფილი კლ. ცეტკინის ქუჩა)
ტელ: 96-80-99.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲠᲔᲖᲘᲜᲘᲡ
[illegible]
ორგანიზაცია გთავაზობთ მოსკოვის წარმოების უმაღლესი ხარისხის რეზინის ჩექმებს და სხვადასხვა სახის რეზინის ფეხსაცმელს. ფასი სახელშეკრულებო.
გადახდის ფორმა – ნებისმიერი.
ტელ: 23-04-04; 23-71-39;
23-71-38; 39-29-14.

ინფორმაცია

მიღება პატრიარქთან

ამ დღეებში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიიღო საქართველოს აგრარული პარტიის თავმჯდომარე როინ ლიპარტელიანი და თანათავმჯდომარეები ბონდო პაპიძე და გიორგი წითლანაძე. შეხვედრას ესწრებოდნენ პარლამენტის წევრი ჯუმბერ პატიაშვილი და სოფლის მეურნეობის სხვა წარმომადგენლები. საუბარი შეეხო აგრარულ სექტორში შექმნილ კატასტროფულ მდგომარეობას.

საგნობრივი საუბარი ოთხ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ითქვა, რომ საქართველოს ეკლესია და საქართველოს აგრარული პარტია ყველაფერს გააკეთებენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის.

კიდევ — სამოცდაათზე მეტი

ქუთაისი, 2 მარტი. რადიოხიდი გაიდო წითელი ჯვრის საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის შტაბბინასა და ჯვარს შორის, საითკენაც მიპყრობილია მთელი საქართველოს ყურადღება.

ჯვარში არსებული საგანგებო შტაბიდან რადიოთი საქინფორმის კორესპონდენტს მაკა კილაძეს აცნობეს, რომ გალიდან გამოიყვანეს ათასზე მეტი ადამიანი. ბოლო დღეებში სახიფათო ზონის მაშველი სამსახურის აქტიური ჩარევით საშიშროებას თავი დააღწია 70-ზე მეტმა გატანჯულმა ადამიანმა.

ამ ეტაპზე ჯვარსა და მუჟავაში მყოფ სამაშველო ჯგუფების უმთავრეს ამოცანად რჩება სახიფათო ზონიდან ცოცხლად გადარჩენილთა გამოყვანა. ქუთაისიდან გრძელდება მედიკამენტების, პროდუქტების, ტანსაცმლისა და სხვა საჭირო ტვირთის გაგზავნა.

გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანებს დიდი დახმარება გაუწიეს წითელი ჯვრის, წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საქველმოქმედო დახმარების კორპორაცია „ექსჩორჩის“ და სხვა საერთაშორისო, რესპუბლიკურმა ორგანიზაციებმა. კვლავ მოწოდების სიმაღლეზე არიან ახალგაზრდა ესპანელი მედიკოსები ორგანიზაციიდან „ექიმები საზღვრებს გარეშე“, რომლებიც ერთ-ერთი პირველები ჩავიდნენ უბედურების ზონაში.

პოლიტიკური პარტიების შეკრება

2 მარტს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით მისსავე შტაბ-ბინაში შეიკრიბნენ ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების, მათ შორის საქართველოს სახალხო ფრონტის, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის, „ქარტია-91“-ის, რესპუბლიკური პარტიის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წარმომადგენლები. შეხვედრას უძღვებოდა პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე.

შეხვედრის მთავარი მიზანი, როგორც გამოირკვა, იყო კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება. მაგრამ საქართველოს პარლამენტის 1 მარტის სხდომაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილების რატიფიკაციის ფაქტმა შეკრება მთლიანად ხელისუფლების პოლიტიკური კურსის მკვეთრი კრიტიკისაკენ მიმართა. მონაწილეებმა გადაწყვიტეს გამართონ ანალოგიური შეხვედრები და მოლაპარაკებები, რომლებზეც უფრო საფუძვლიანად შეიმუშავებენ ხელისუფლებისა და მისი პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების ტაქტიკას.

ააფეთქეს რკინიგზის ხიდი

[illegible] 3 მარტს, [illegible] მარნეულის რაიონის წერეთელ-შულავერის მონაკვეთზე ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა ააფეთქეს 70 მეტრის სიგრძის რკინიგზის „ხრამის“ ხიდი. მოძრაობა დროებით შეწყვეტილია.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

„პაპილა, ჩემო პაპილა“!

…„პაპილა“… „პაპილა“… — თურქეთის გზებზე ბევრ სატვირთო თუ სპეციალურ მანქანას ნახავთ ასეთი წარწერით. ზოგს ცოცხალი თევზი გადააქვს, ზოგს საშენი მასალა, ზოგსაც სამშენებლო ნაწარმი…

„პაპილა“… მართლაც, რაღაც არის მასში ეგზოტიკური, მიმზიდველიც, რეკლამისთვის ესოდენ აუცილებელი ელეგანტურობით, ორიგინალურობით რომ იქცევს ყურადღებას, მაგრამ ვერასოდეს ვიფიქრებდი იმას, რომ ამ სახელწოდებას, რომელსაც თურქეთის ქვების მრეწველობაში საკმაოდ ცნობილი ფირმა ატარებს, რაიმე კავშირი ექნებოდა ჩვენს ქვეყანასთან, საქართველოსთან.

აი, გავცილეთ „სარფის კარი“ და სულ მალე ხოფაში შევალთ… იქ ჩემი თანამგზავრის — აჭარის სატრანსპორტო გაერთიანების გენერალური დირექტორის გოგი ზოიძის მეგობარი და პარტნიორი, ფირმა „პაპილას“ ერთ-ერთი დამაარსებელი, ჩვენი ლაზი თანამოძმე ბატონი ახმედ პაპილა გველოდება.

ჩავუარეთ სოფელ მაკრიალს (ახლა ქემალ ფაშად წოდებულს) და გულში გამკენწლა. სხვისი რა ვიცი, მაგრამ ჩემთვის, მართლაც ერთ რამედ ღირს ეს ეგერადი, მართლაც კრიალა სიტყვა, რომელიც, აჭაურების თქმით, სიტყვა „მარგალიდან“ (მეგრელი) უნდა მოდიოდეს. მართლაც, რომ ჩაჰყვე, ჩაუღრმავდე ამ ტოპონიმს, ვინ იცის, საუკუნეთა რომელ შრეებსა და სიღრმეებში ამოგაყოფინოს თავი. აქ ხომ ლაზიკაა — ჩვენი სისხლი და ხორცი, ადგილი, სადაც „სკანი გოლუფირონს“ ისევე გეტყვიან, როგორც, მაგალითად, წალენჯიხაში.

აი, ხოფაც… სასტუმრო „პაპილას“ წინ მისი პატრონი, ჩვენი მასპინძელი ბატონი ახმედ პაპილა გვეგებება.

ჩვენი წინაპრები, პაპაები, — მეუბნება ბატონი ახმედი, ამ ხუთი საუკუნის წინათ კოლხეთში მორიგი ომიანობის შემდეგ, სანაკის მიდამოებიდან აქეთ გადმოსახლებულან… მამაჩემი — ჰუსეინი ვაჭარი იყო. ოთხი ძმა გაგვზარდა, გზაზე დაგვაყენა. სამმა ძმამ ჩამოვაყალიბეთ ფირმა „პაპილა“. ჯერ სამშენებლო ფირმა გვქონდა, შემდეგ გავაფართოეთ. ჩვენგან უფროსმა, ხასანმა, დიდი მარიფათი გამოიჩინა, თურქეთში ერთ-ერთი მდიდარი მრეწველი გახდა, სწორედ მან მოაწყო პირველად დიდი საკალმახე მეურნეობები, ქვების მრეწველობის საწარმოები, რომლის პროდუქციასაც ჰყიდდა მთელ ევროპაში. ასე წარმოიშვა ჩვენი მრავალდარგოვანი საგვარეულო ფირმა „პაპილა“. ჩემს შუათანა ძმას — ალირიზას სამშენებლო მასალების ფირმა აქვს. მე, ისევ მამისეული თევზის მოშენება, სასტუმრო მეურნეობის მოწყობა და ვაჭრობა ავირჩიე.

ჩემს ძმას მუსტაფას, რომელიც ინჟინერი და მწერალია, ასევე თევზის, მეფრინველეობისა და მესაქონლეობის ფირმები აქვს. ასე რომ, დღეს ფირმა „პაპილა“ ერთ-ერთ მრავალდარგოვან და მაღალი რეიტინგის ფირმად ითვლება თურქეთში.

ბატონი ახმედი საკუთარ სასტუმროში მოწყობილ ოფისში გვიწვევს. მართლაც, მოგხიბლავს მყუდრო, გემოვნებით მოწყობილი სასტუმრო „პაპილა“, თავისი რესტორნითა და კაფე-ბარებით, მომსახურე პერსონალით.

— სარფის კარი რომ გაიხსნა, — ამბობს მასპინძელი, — სწორედ აქ, ხოფაში, ჩემი რესტორნის ფოიე დარბაზში დაილია ჩვენი ქვეყნების ახალი დაახლოების პირველი სადღეგრძელო. აქ იყვნენ როგორც საქართველოს, ისე თურქეთის ოფიციალური წარმომადგენლები. ტრადიციად დამკვიდრდა: მას შემდეგ ვინც საქართველოდან თურქეთში მიდის, როგორც წესი, ჩემთან უნდა შემოიაროს. თურქეთიდან თქვენსკენ წამოსულნიც აქ ჩერდებიან. ასე რომ, სასტუმრო „პაპილა“ დღეს თავისებური ხიდია საქართველოსა და თურქეთს შორის… ქართველ ბიზნესმენებთან კონტაქტებიც ერთ-ერთმა პირველებმა ჩვენ დავამყარეთ. 1989 წლიდან დაიწყო ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობა აჭარის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებასთან, რომელსაც რუსეთიდან და უკრაინიდან ტრანზიტით შემოჰქონდა ქვანახშირი, სამშენებლო მასალები, ხე-ტყე, სასუქები.

— მარტო შარშან, — ერთვება საუბარში გოგი ზოიძე, — ამ ფირმის მეშვეობით აჭარასა და გურიის რეგიონში შემოვიტანეთ ჩვენს მიერ გამომუშავებული 70 ათასი დოლარის ღირებულების პროდუქტი, უმეტესად ფქვილი, რაც იმ დროს დიდი შეღავათი იყო ჩვენი მოსახლეობისათვის.

— საზღვრისა და გზის გახსნამ, — განაგრძობს ახმედ პაპილა, — ცხადია, ბევრ ქართველს შემახვედრა. რადგან ჩემს სასტუმროში იმართებოდა ყველა შეხვედრა თუ მოლაპარაკება, რომელიც ამ ფაქტთან იყო დაკავშირებული. ჩვენ ყველას კარგად გვესმის, თუ რას ნიშნავს ახალი ურთიერთობების დამყარება საქართველოსთან. თქვენ ვერ შეგადარებთ ჩვენს სხვა მეზობლებს: ირანს, საბერძნეთს, რადგან ჩვენ მეზობლები კი არა, ერთმანეთის სისხლი და ხორცი, ნათესავები ვართ.

ხიდები

აკი ამიტომაც ამბობს ხოლმე ჩვენი პრეზიდენტი ბატონი დემირელი — ჩვენ მეგობრები კი არა ძმები უნდა ვიყოთ. ასეც არის.

ისე კი, ძალიან დამწუხრებული ვართ იმით, რაც ახლა თქვენთან ხდება. ამ არეულობამ დიდი დაბრკოლება შეგვიქმნა, ჩაიკეტა გზები, აღარ მოძრაობს ტრანსპორტი, ეს რომ არ იყოს, აუარება პროდუქტს შემოვიტანდით აჭარაშიც და მთელ საქართველოშიც.

ამასთან, ჯერ კიდევ გვაქვს მოსაგვარებელი მთელი რიგი პრობლემები. უნდა გავაადვილოთ ჩვენი ურთიერთობა სასაზღვრო რეგიონებში. გავამარტივოთ ე. წ. ფორმალური მხარე, ერთობლივად ვნახოთ თუ რა უშლის ხელს ამ თანამშრომლობას. ამისათვის ჩვენს საბაჟოსთან გახსნილია სპეციალური ბიურო, რომელიც მოვალეა მოიპოვოს და ანალიზი გაუკეთოს ინფორმაციას და მოხსნას დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის ამ თანამშრომლობის კიდევ უფრო გაფართოებას. ასეთი ბიურო თუ სამსახური რატომღაც არ არის თქვენს საბაჟოზე. როგორც იცით, ახლა ბევრი თურქი მუშაობს გერმანიაში, იტალიაში, სხვაგან. საქართველოში კი ჯერჯერობით არ შეიქმნა ამის პირობები. ქართველები აქა-იქ უკვე მუშაობენ ჩვენთან. მაგალითად, ჩემთან სასტუმროში სამ ქართველს ვამუშავებ. თითოეულს თვეში 220 დოლარს ვუხდი… ბინა და კვება უფასო აქვთ. პერსპექტივაში ბევრი კარგი საქმე მაქვს ჩაფიქრებული, მაგრამ ამისათვის უპირველესად, სიმშვიდე და წესრიგი უნდა აღდგეს საქართველოში.

იცით რას ვუსურვებ ქართველებს? — პირველ რიგში ერთიანობას. ამ მხრივ თქვენთვის კარგ მაგალითად გამოდგება ისრაელი. ნახეთ, როგორ ერთ მუშტად არიან შეკრული, როგორ იცავენ თავს გარშემორტყმული მტრებისგან. განა არ ხედავთ, როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველო. როგორც კი დაინახეს, რომ დასუსტდა, აირია, მაშინვე წამოგვესივნენ… ასე იყო ოდითგან. ასეა ახლაც. გაიხსენეთ, ასეთ დროს რას აკეთებდნენ ჩვენი წინაპრები… ერთიანდებოდნენ, ერთი დროშის ქვეშ დგებოდნენ და მხოლოდ ასე ინარჩუნებდნენ ქართველობასაც და ქვეყანასაც.

მიწა კარგი გაქვთ და კლიმატიც. ტყე და მდინარე არ გაკლიათ, ულამაზესი შესანიშნავი კურორტები, გზა მიეცით ტურიზმს და უდიდესი შემოსავლის წყარო გექნებათ. მაგრამ ამას სათანადო მომზადება და შესაბამისი ატმოსფერო უნდა.

აი, ჩვენთან, თურქეთში, ტურისტს რომ ცუდად მოექცეს ვინმე, მას უდიდეს ჯარიმას გადაახდევინებენ. ასე უნდა იყოს თქვენთანაც.

როგორმე უნდა აამუშაოთ თქვენი საწარმოები, უნდა გამოუჩნდეს მათ პატრონი, უნდა გამოუშვათ პროდუქცია, რომ ბაზარზე საქონელი გამოჩნდეს… მხოლოდ მონდომება, მისწრაფებაა საჭირო და ყველაფერს ეშველება.

ახლა კი თქვენ ავლენთ ჰგავხართ. რასაც ისინი აკეთებდნენ, იმას აკეთებთ… გაუფრთხილდით ერთმანეთს, მოეფერეთ, იშრომეთ და ვერავინ მოერევა საქართველოს…

ვუსმენდი ბატონ ახმედს და ცხადად ვგრძნობდი, როგორი გულისტკივილია ჩვენთან შექმნილი ვითარებით ყველა ჩვენი თანამოძმე, რომელიც თურქეთში ცხოვრობს.

აი, მასპინძელმა თავისი ძმის მუსტაფა პაპილას ლექსების კრებული „ლაზისტანი“ გადმოგვიღო და გვითხრა, ნახეთ, რას წერს ჩემი ძმა ამ წიგნის თავფურცელზე. „ჩვენ დიდი დავითისა და თამარის მოდგმისანი ვართ და ამიტომაც ასეთი სიყვარულით ვუმღერით ჩვენს მიწას“. ასეა მართლაც…

ბატონ მუსტაფა „პაპილას“ ხოფასთან ახლოს, იქვე, ძველ „ნამეწყრალში“ ჰქონია მამული… ჩვენც ავდექით და ვეწვიეთ.

ულამაზესი ადგილია, ზღვის სანაპიროსთან მაღალ გორაკზე გაშლილი მეფრინველეობის, მეძროხეობის ფერმები, საკალმახე მეურნეობა. მოვლილი ეზო-კარი და ულამაზესი სახლი იმაზე მიგანიშნებს, რომ აქ მაღალი გემოვნების გამრჯე მეურნე სახლობს.

ბინდდებოდა… შვიდ ათეულს მიღწეული მუსტაფა-ბეგი სიხარულით შემოგვეგება. აღტაცებას ვერ ფარავდა…

ჩვენც გაოცებული შევცქეროდით მასპინძელს. ჩვენი კინოფილმის „დაკარგული სამოთხის“ პერსონაჟი მეგონა. ფაფარაყრილი თმებით, აწკეპილი ულვაშებითა და მართლაც დაუვიწყარი, ნახევრადირონიული ღიმილით. ისეთი შთაბეჭდილება გვქონდა მოსულთ, რომ აი ახლა მოიღერებს გვერდზე კისერს მუსტაფა-ბატონი და გასძახებს: — ბიჭო, ლაზარია, დაკალი მამალი!“

[illegible], უქათმობას, უძროხობას, უთევზობას ვერ დაიჩივლებს მუსტაფა პაპილა. როგორც ადრე ვთქვი, მას აქ უდიდესი ფერმები აქვს და არც მუშახელი უჭირს.

— ახლა, ახალ ფერმას ვაკეთებ 100 სულ ძროხაზე. საქართველოდან სამი ოჯახი მინდა მოვიწვიო ჩემთან სამუშაოდ. მათაც გამოვადგე და მეც და ჩემმა ჯალაბმაც ქართული კარგად ვისწავლოთ, — გვეუბნება მასპინძელი და ოჯახში, ბუხართან გვიწვევს…

იქვე მისი ლექსების კრებულები აწყვია… მათში შეტანილია მუსტაფას თურქულად და ლაზურად დაწერილი ლექსები.

— როგორია მეთქი თქვენი კრებულების თემა? — ვეკითხები…

— ჩემს ლაზისტანზე, ჩვენს წესსა და ადათზე, ჩვენი გვარის წარმომავლობაზე, ლაზეთის ისტორიაზე… სიყვარულზე, კაცთმოყვარეობაზე… დიდ დავითზე, თამარზე, რომელთა სახელებზეც ვლოცულობთ.

ახლა საქართველოსთან დაახლოებამ, გზის გახსნამ, სიხარულთან ერთად სადარდებელიც გაგვიჩინა. ველოდები, როდის დაწყნარდება თქვენთან ყველაფერი. მინდა ჩამოვიდე, გავიხედ-გამოვიხედო, ჩემი თვალით ვნახო ყველაფერი, რომ…

გამოთხოვებისას მასპინძელმა თავისი წიგნები მაჩუქა, თავფურცელზე ლაზურად წააწერა გულთბილი, საქართველოს სიყვარულით გამთბარი სიტყვები.

— ახლა, — მეუბნება ბატონი ახმედი, — ერთი ფიქრი და წადილი მაქვს. ბატონი შევარდნაძისა და აბაშიძის თურქეთში ვიზიტისა და ხელშეკრულებების დადების შემდეგ მინდა აქ შევკრიბო საქართველოს მოსაზღვრე ვილაიეთების გუბერნატორები, კულტურის სფეროს წარმომადგენლები და მოვაწყო მათი შეხვედრა ჩვენი მეზობელი აჭარის წარმომადგენლებთან.

ჩვენს ხალხს დიდი სურვილი აქვს ნახოს, მოისმინოს ქართული ლექსი, სიმღერა, გაეცნოს მის კულტურას, ამასთან, ჩვენ სხვაც ბევრი გვაქვს მოსალაპარაკებელი. პირველ რიგში ის, თუ როგორ ავაწყოთ უკეთ ჩვენი სასაზღვრო-ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობანი.

ჩვენ ვიცით, რომ ასევე ფიქრობენ აჭარაში, საქართველოში… ასე რომ, იმედი გვაქვს ამ ჩვენს გულისნადებს ეტყვით აჭარის ხელმძღვანელობას. რაც შეეხება ასეთი კულტურული შეხვედრის მასპინძლობას — „პაპილა“ მზად არის ამისათვის, სიყვარულისა და თანადგომისათვის.

გია ჭელიძე.

თამაშობენ ნორჩები

ქართული ფეხბურთის ცნობილი მეცენატის თემურ გიორგაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ნორჩ მინი-ფეხბურთელთა ტურნირს ორი კვირის მანძილზე მასპინძლობდა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დარბაზი. ასპარეზობის თაოსანი გახლდათ „შევარდენის“ რესპუბლიკური საფეხბურთო სკოლა (დირექტორი — დ. ჯინჯარაძე), ხოლო სპონსორი — ჩარხმშენებელი ქარხანა „დია“ (დირექტორი — თ. ქათამაძე).

დედაქალაქის 1982-84 წლებში დაბადებულთა თორმეტმა გუნდმა ქვეჯგუფებში გამოავლინა საუკეთესო ოთხეული, რომელმაც წრიული სისტემით გაითამაშა პირველობა. საბოლოოდ ბურთების უკეთესი სხვაობით გაიმარჯვა „დინამო-1“-მა (სკოლის დირექტორი — ო. გეგეჭკორი, მწვრთნელი — გ. გომელაური). არანაკლები სიმპათია დაიმსახურა შეჯიბრების მეორე პრიზიორმა — „შევარდენი-1“-მა (მწვრთნელები — ზ. დიდებაშვილი, გ. პაელიაშვილი), რომელმაც მთელი ტურნირი ბრწყინვალედ წარმართა. მესამე ადგილი წილად ხვდათ „ავაზა-83“-ის ბავშვებს (სკოლის დირექტორი — მ. მესხი, მწვრთნელი — ა. ზუკაკიშვილი).

უძლიერესი სამეულის ოსტატობა თასებითა და ფულადი პრემიებით აღინიშნა, ხოლო საუკეთესო ფეხბურთელებს გადაეცათ ძვირფასი საჩუქრები. ეს ჯილდოები დაიმსახურეს მეკარე მინდია ბიბილაშვილმა („დინამო-1“), მცველმა თენგიზ ჩიკვილაძემ („ავაზა-83“), ნახევარმცველმა გიორგი არჯევანიძემ („კავკასიონი-1992“), თავდამსხმელმა ირაკლი მიქელაძემ („შევარდენი-1“), პერსპექტიულმა მოთამაშემ გიგა დათუნაშვილმა („შევარდენი-2“), მაყურებელთა სიმპათია — კობა ნადარაიამ („შევარდენი-1“), ბომბარდირმა ირაკლი სამხარაძემ („დინამო-1“), ტექნიკურმა ფეხბურთელმა — გიორგ გელაშვილმა („ავაზა-84“) და ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელმა პაატა დათუნაშვილმა („შევარდენი-1“). საუკეთესო მწვრთნელებად დაასახელეს გ. გომელაური და ზ. დიდებაშვილი.

ვიმედოვნებთ, რომ ეს ასპარეზობა ტრადიციული გახდება.

ტურნე დასრულდა

ისრაელიდან დაბრუნდა საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები, რომელმაც ამ ქვეყანაში ორი ამხანაგური მატჩი გამართა.

მასპინძელთა პირველ ნაკრებთან განცდილი მარცხის (0:2) შემდეგ ქართველმა ფეხბურთელებმა გამომგზავრების წინ სძლიეს ადგილობრივ ოლიმპიელებს — 3:1. ებრაელთა კარში ბურთები გაიტანეს ჯამარაულმა, ყაველაშვილმა და ჯანაშიამ.

აქ უკვე აღარავინ მღერის…

„გაიხარე, გამახარე…“ როდის გავიგონებთ ამ ხმატკბილ ჰანგებს?

„სიბერემდე სიკვდილს ელოდეო“, ნათქვამია. გურიამ გაგვაოცა; ვინ იფიქრებდა, რომ ეს ულამაზესი, სტუმართმოყვარე, მშრომელი და ინტელიგენტი ადამიანებით სავსე კუთხე, ნარკომანების, ყაჩაღებისა და ყოველგვარი ბანდიტების სათარეშო გახდებოდა, სრული ნგრევის, ქაოსისა და შიშიანობის მარწუხებში მოექცეოდა.

• • •

ანასეულელები გულით დასტიროდნენ ავაზაკურად მოკლული პოლიციელის შოთა სანიკიძის სიცოცხლეს. წარმოშობით ვანელს, ამ სოფელში დიდხანს ემუშავა უბნის ინსპექტორად და აქვე დასახლებულიყო. მასზე ავის მთქმელი არავინ მინახავს — „კარგი, სამართლიანი, პროფესიონალი კაცი იყოო“, ამბობდა ყველა.

ოზურგეთელები ამ ტრაგედიის დანარჩენ მსხვერპლთა გვარებსაც ვერ იხსენებდნენ უცრემლოდ.

ნიკოლაიშვილი, ბორჩხაძე, ხაბულიანი…

— ეს ტრაგედია ოზურგეთთან ახლოს, ტყის ზონაში მოხდა, — მითხრა ოზურგეთის პოლიციის უფროსმა ბონდო დოლიძემ, — ჩვენს თანამშრომლებს ფსიქიკურად დაავადებული ახალგაზრდა საავადმყოფოში გადაჰყავდათ. ამ დროს ისინი მოტაცებული ავტომანქანით მიმავალ ყაჩაღებს გადაეყარნენ. „ჩვენ ხომ არ მოგვდევენო“, შეშინდნენ ყაჩაღები და პოლიციელებს ესროლეს. ყველაფერი რამდენიმე წამში მოხდა. პოლიციელებმა იარაღის შემართვა კი მოასწრეს, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო…

ამის შემდეგ მოტაცებული ავტომანქანა ავაზაკებმა გზაზედ დააგდეს და გადაიკარგნენ.

პოლიციამ იცის მათი ვინაობა და ქვესკნელშიც რომ ჩაძვრნენ, მაინც ვერ წაუვლენ პასუხისმგებლობას…

ოპერაცია, რომელშიც შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების თანამშრომლები, აგრეთვე არმიის ცალკეული ნაწილები მონაწილეობდნენ, 24 თებერვალს დაიწყო და ერთ კვირაზე მეტხანს გასტანა.

მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ოზურგეთში ხუთშაბათს, ადრიან დილით ჩავედით.

მძიმე საბრძოლო ტექნიკის გრუხუნს არ შეუშინებია აქაურები, ისინი ამას კარგა ხანია მიეჩვივნენ. უსინათლო, ბნელ და ცივ ქალაქში კაცის ჭაჭანება არ იყო. არც ცნობისმოყვარეთა გაკვირვებული სახეები დამილანდავს ფანჯრებში. სულიერად გატეხილ, მოღუნებულ და დამშეულ გაძარცვულ ხალხს იმ დილით ნაკლებად აინტერესებდა [illegible] ქუჩებში მოსული ჯარისა და ტექნიკის [illegible].

[illegible] მალე [illegible] ქალაქს. ხალხი ქუჩაში გამოვიდა და მთელი კვირის განმავლობაში აღარ მოშორებია პოლიციის განყოფილების ტერიტორიას.

რაც დაიგვიანეთ, დიდი ხანია გელოდითო, ამბობდნენ.

გურიაში აღარ იცხოვრება, თქვენ გენაცვალეთ, იქნებ გვიშველოთ რამეო და ა. შ.

ერთი სიტყვით, ხალხს იმედი მიეცა. გაქვავებულ სახეზე ღიმილი აუთამაშდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების პირად შემადგენლობასთან ხანმოკლე თათბირის შემდეგ ოპერაცია დაიწყო.

ცოტაც და პირველი დაპატიმრებულები მოიყვანეს…

რატომ იკიდებს ეს წრიპა, გამხდარი, 33 წლის კაცი განუწყვეტლივ მუცელზე ხელს და სიგარეტს სიგარეტზე ეწევა?

რატომ ღელავს და შფოთავს ასე?

საქართველოს ერთ-ერთი ძლევამოსილი ფორმირების — გურიის რაზმის უფროსს ხომ ყველა საბუთი წესრიგში აქვს. მართალია, იარაღი არ ჩამიბარებიაო, ამბობს, მაგრამ მთლად ავტომატი არ უნდა იყოს მისი ნერვიულობისა და დაძაბული გამომეტყველების მიზეზი.

მის ბიძაშვილს გაქცევა მოუსწრია.

ცოტაც და ბიძაშვილების ოჯახების ჩხრეკა დაიწყო.

დამბაჩა, ავტომატი, თოფები, ჭურვები, რადიოები, ავტომანქანის საბურავები, ერთი დიდი და პრესტიჟული თურქული საფირმო მაღაზიის სამყოფი იმპორტული ტანსაცმელი, ნილაბი, საშინელებათა ფილმების ყველაზე საშინელ პერსონაჟს რომ გაგახსენებს… იქვე, გვერდზე, გურიელების საკადრის სასახლეს აშენებენ.

ხალხს პურის ფული არა აქვს, ეს ყველაფერი საიდან, რა სახსრებით, რისთვის?! — კითხულობენ ბიჭები..

ამას წინათ თურქეთის ფირმა „ართვინ ექსპრესის“ ტურისტული ავტობუსი გაძარცვეს, 42 ათასი ამერიკული დოლარის ღირებულების საქონელთან ერთად, ნაღდი ფულიც — 1700 დოლარი და 850 ათასი რუსული მანეთიც წაიღეს.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

როგორ ჰგავს ეს ნივთები იმ ნაძარცვს…
რა მოკლეა ავკაცობისა და ბოროტების გზა!

• • •

დავდივარ ოზურგეთის ამ ულამაზესი, კოპწია ქალაქის ქუჩებში და გული მიკვდება.

როგორ გაჩანაგებულა და მიწასთან გასწორებულა ყოველივე.

აქ უკვე აღარავინ მღერის, აღარავინ ილხენს…

არც სოფლებში სცალიათ სახალისოდ.

იავარქმნილია უმდიდრესი სოფლების — ნასაკირალის, შრომის, ნატანების საზოგადოებრივი მეურნეობები. [illegible], ყაჩაღების შიშით და უპატრონობის გამოისობით, ადამიანები პლანტაციებში ვერ გადიან საბარავად.

…გაძარცული და მწყობრიდან გამოსულია რეგიონის ჩაის ფაბრიკები, სხვა სამრეწველო ობიექტები. [illegible] ბაგა-ბაღები, სკოლები… იშვიათად ცხვება პური, არ არის შუქი, საწვავი, არსებობისათვის აუცილებელი ელემენტარული პირობები.

…წინა ღამით, ორ საათზე, სამინისტროს სამხედრო სამმართველოს ბიჭებმა ცეცხლსასროლი იარაღის ერთი დიდი „არსენალი“ მოიტანეს. ავტომატები, ნაღმები, ყუმბარმტყორცნისა და მძიმე საბრძოლო ტექნიკის ჭურვები, ხიშტ-დანები, რამდენიმე ყუთი ტყვია-წამალი…

იმხანადვე გავიგე, რომ ჩოხატაურში სატრანსპორტო პოლიციის ოთხი თანამშრომელი მძიმედ დაიჭრა, „იკარუსის“ მძღოლი კი გარდაიცვალა. ის ადგილი, სადაც ბიჭებს ცეცხლი დაუშინეს, დანაღმული ყოფილიყო…

• • •

სოფელ ბაღდათის მცხოვრებ ალექსანდრე ბორჩხაძის ერთ-ერთი ვაჟი ქობალიას რაზმში იბრძოდა. წინასწარი მონაცემებით, ის ახლაც ავტომატს ინახავდა სახლში. ყველაფერი გადააქოთეს გორის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ბიჭებმა, მაგრამ ავტომატი ვერ იპოვეს. ამ დროს, ვიღაცამ სახლის უკან, ბოსტანში საეჭვო მიწაყრილი შენიშნა…

მალე მიწაში დაფლული სამლიტრიანი ქილა ნახეს. ავტომატის ტყვიებით იყო სავსე.

სოფელ ცხემლისხიდში მოტაცებული ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“ მიაგდოთ, ოღონდ მისი გაძარცვა ვერ მოესწროთ.

სოფელ დვაბზუში კი „ვოლგა“ ნახეს.

ეგრეთ წოდებული, „კანონიერი ქურდი“ ღლონტი, მეტსახელად „კოკილი“, კარგა ხანია მოსკოვშია. მკურნალობს, საწყალს ფილტვებიდან სისხლდენა აწუხებსო, გვითხრეს მეზობლებმა.

როცა დედამისს ჰკითხეს, 32 წლის კაცმა ასეთი სახლი როგორ ააგო ან ასეთი ქონება რით დააგროვაო, უპასუხა: — „მე მეჩაიე ვიყავი, ჩემი ქმარი კი 30 წელიწადი ჩაის ფაბრიკაში მწონავად მუშაობდა“… „მეჩაიეს სახლკარი, აი, ის არის“ — ხელი გაიშვირეს ბიჭებმა მეზობელი სახლისკენ და გული მოუკვდათ.

ქალაქის სხვა ნაწილში ტანკი მიემალათ, ჰქონდათ ქვემეხი, ქვეითთა საბრძოლო მანქანები, სხვა ტექნიკა.

ამრიგად, დააკავეს ათეულობით დამნაშავე, აღიძრა მრავალი სისხლის სამართლის საქმე, ავაზაკებს ჩამოერთვათ ავტომატები, დამბაჩები, ასაფეთქებელი ნივთიერებები, დიდძალი ტყვია-წამალი, ამასთან, „ნურსის“ სისტემის ჭურვები, ვერტმფრენი, ათეულობით მილიონი მანეთის ნაძარცვ-ნაყაჩაღარი…

ეს წერილი რომ იწერება, ოპერაცია გურიის რეგიონში დამთავრებული არ არის, ამიტომ საბოლოო შედეგებს მოგვიანებით მოგაწვდით.

• • •

მე კვლავ დავუბრუნდები გურიის ოპერაციის პერიპეტიებს, რადგან ყოველივე ის, რაც ვთქვი, რაღაც მესიდა, იმ დანაშაულობების, იმ მოვლენების მაინც ზოგადი ნაწილია, რაც გურიის რეგიონში ხდებოდა.

[illegible] ამ [illegible] პოლიციაო? ის დემორალიზებული, შეშინებული იყო და ცხვირს გარეთ ვერ ჰყოფდა. არც დაუმალავთ, ფორმის ჩაცმას ვერ ვბედავდითო, თქვეს.

საერთოდ, ოპერაცია გართულებებისა და ექსცესების გარეშე მიმდინარეობდა.

კარგად იყო ორგანიზებული ოპერაციის მონაწილეთა კვების, დასვენებისა და ტრანსპორტის საწვავით მომარაგების საკითხები.

პოლიციელები თავისი ღირსების შესაფერისად მოქმედებდნენ.

ზოგიერთი სამხედრო მოსამსახურის არაკაცური საქციელი რომ არა, ოპერაციას ჩრდილს ვერაფერი მიაყენებდა…

რაც მთავარია, ხალხი კმაყოფილი და დაიმედებული იყო.

ამ საღამოს ოზურგეთში აღარ გრუხუნებდნენ ტანკები. რეგიონში, ძირითადად, პოლიციის ძალები დარჩა.

ზაურ მაკარაძე.

ხსოვნა

სოფიკო ურგებაძე-[illegible]



მძიმე ავადმყოფობის [illegible] ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ [illegible] განმავლობაში მუშაობდა მარნეულის რაიონში ექიმად. 1962 წლიდან თბილისის [illegible], ხოლო 1978 წლიდან № 1 ტუბდისპანსერში მუშაობდა ექიმ-ფტიზიატრად, განყოფილების გამგედ.

უმაღლესი კატეგორიის ექიმი სოფიკო ურგებაძე მოწოდებით იყო მკურნალი, ყველა ავადმყოფისა და გაჭირვებულის შემატკივარი. უშურველად, უანგაროდ, თავდადებით ემსახურებოდა თავის საქმეს.

იყო გულმხურვალე პატრიოტი. მისი ხსოვნა დარჩება კოლეგების, მეგობრების, ყველა ახლობლის გულში.

თბილისის № 1 ტუბდისპანსერი; საქართველოს ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო.

გრიგოლ თოდაძე

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი, თბილისის სავაგონო დეპოს ინსტრუქტორი გრიგოლ ლეონტის ძე თოდაძე.

1947 წელს რკინიგზის სასწავლებლის დამთავრებისთანავე მოვიდა თბილისის ლოკომოტივების შემკეთებელ ქარხანაში, საიდანაც დაიწყო მისი მრავალწლიანი შრომითი ბიოგრაფია. სხვადასხვა დროს მუშაობდა სავაგონო დეპოს უფროსის მოადგილედ, რკინიგზის განყოფილების მოძრაობის უსაფრთხოების რევიზორად, სატვირთო-სავაგონო დეპოს ინსტრუქტორად, დაჯილდოებული იყო მთავრობის მრავალი ჯილდოთი.

წავიდა კაცი, რომელიც უდიდესი მიმტევებლობით, გულისხმიერებითა და შრომისმოყვარეობით იყო გამორჩეული, დიდთან თუ პატარასთან თავისი დიდი გულითა და კაცური კაცობით შეძლო სიყვარული მოეპოვებინა. მოკრძალებულსა და უხმაუროს ყველა ჭეშმარიტ თბილისელად იცნობდა.

ბატონი გრიგოლის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ოჯახის წევრებისა და მისი მრავალრიცხოვანი მეგობრების გულში.

თბილისის სატვირთო სავაგონო დეპ

ესტატე ბაინდუროვი

ტრაგიკულ სიტუაციაში გარდაიცვალა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმატიკისა და ჯანდაცვის კომპლექსური ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული საოჯახო მედიცინის ცენტრის ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ესტატე (ტიტე) გრიგოლის ძე ბაინდუროვი.

ტიტე ბაინდუროვი დაიბადა 1922 წელს ქ. გორში. 1946 წელს ჩაირიცხა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1952 წელს. 1953-57 წლებში მუშაობდა სომხეთის იჯევანის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ, 1958-78 წლებში — თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურში. 1978-88 წლებში იყო ქ. თბილისის № 1 საავადმყოფო-პოლიკლინიკის კარდიოლოგიური განყოფილების გამგე და მთავარი ექიმის მოადგილე, ხოლო 1988-[illegible] წლებში თბილისის სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სადგურის მთავარი ექიმი. მინიჭებული აქვს თერაპევტის უმაღლესი კატეგორია.

თავისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში ბატონმა ტ. ბაინდუროვმა მოანდომა საოჯახო მედიცინის ცენტრის შექმნას, რომლის ძირითადი დანიშნულებაა საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის დაღუპულ მეომართა ოჯახების უსასყიდლო სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა. ეს ცენტრი, რომლის გახსნა ამ წლის 5 თებერვალს შედგა, ბატონმა ტიტემ დაარქვა თავისი ერთადერთი ვაჟიშვილის — გიას სამახსოვროდ, რომელიც 1992 წლის აგვისტოში აფხაზეთში საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში დაიღუპა.

წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომელიც თავისი უანგარო და კეთილშობილი მოღვაწეობით ფართოდ იყო ცნობილი საქართველოს მთელი სამედიცინო საზოგადოებისათვის.

მედიცინის ყველა მუშაკის ვალს უნდა წარმოადგენდეს ამ ნათელი პრინციპებისა და იდეალების გაგრძელება და განმტკიცება, რასაც ბოლომდე მიუძღვნა თავისი სიცოცხლე ბატონმა ტიტე ბაინდუროვმა.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; ინფორმატიკისა და ჯანდაცვის კომპლექსური ავტომატიზაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.

საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამმართველოს უფროსის რეზო ცხვიტავას დედა

ფიდოსია ერასტის ასული შარტავა

და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

გივი ჩოხელის დაკრძალვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის განკარგულებით გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გივი დიმიტრის ძე ჩოხელის დაკრძალვის მოსაწყობად შეიქმნა კომისია კახი ასათიანის თავმჯდომარეობით.

გივი ჩოხელი სახელმწიფო ხარჯზე საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაიკრძალება.

კავშირგაბმულობის სამინისტრო აცხადებს, რომ საწვავის დეფიციტის გამო ყოველთვის არ ხერხდება ქ. თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული საფოსტო ყუთებიდან წერილების დროული ამოღება. ამ პრობლემის ნაწილობრივ გადაჭრის მიზნით რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ბაქანზე დადგმულია საფოსტო ყუთი — ამ ყუთით სარგებლობის შემთხვევაში საგრძნობლად შემცირდება ადრესატებისათვის წერილების ჩაბარების დრო.

ასევე წერილობითი კორესპონდენციის და სხვა სახის საფოსტო გზავნილებათა განვლადობის დაჩქარების მიზნით დამყარდა პირდაპირი საფოსტო კავშირები, საავიაციო ტრანსპორტის გამოყენებით, გერმანიასთან, ავსტრიასთან, საბერძნეთთან, ეგვიპტესთან, ისრაელთან, ჩეხეთთან, პოლონეთთან და პაკისტანთან. აღნიშნული ქვეყნების მისამართით ქ. თბილისის კავშირგაბმულობის განყოფილებებში ჩაბარებული ფოსტა ადრესატებს ჩაბარდება 8-10 დღის განმავლობაში.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი რვაგვერდიანია. შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 5 მარტს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოზიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

[illegible] წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

[illegible] პოლიგრაფიული წუნის [illegible] „საქართველო“ [illegible] თბილისი, [illegible]
ტელეფონი — 54-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА